# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მარტი **ხუთშაბათი** 2012
№062 (13668) ფასი 80 თეთრი


**მობრძანდით, გელით!**

საქართველო 2013 წელს მოჭიდავეთა ევროპას უმასპინძლებს




10

# 4:1-ებით 1/4-ფინალში

## რეალმა და ჩელსიმ ცსკა და ნაპოლი დაიბრიყვეს




**ესეც TOP 8**

UEFA CHAMPIONS LEAGUE

აპოელ
ბაიერნი
ბარსელონა
ბენფიკა
მარსელი
მილანი
რეალი
ჩელსი

7

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტოები



13

## ასე ვემზადებით რუსეთისთვის

## მანჩესტერელები თუ პირენეელები?

გადამწყვეტი მერვედფინალები ევროპალიგაზე




9

## ქართული ფეხბურთი

● 19-წლამდელების შეკრება დაიწყო

# ოთარ კორღალიძე: ცუდი ნაკრები არ უნდა გვყავდეს


19-წლამდელები ოთარ კორღალიძის ხელმძღვანელობით პირველად შეიკრიბნენ www.gff.ge

**გიორგი დევდარიანის** გადადგომის შემდეგ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები **ოთარ კორღალიძეს** ჩააბარეს. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა გუნდი პირველად შეკრიბა, სასტუმრო „ვარაზში" დააბინავა და ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური ცენტრის, „ბასას" ხელოვნურსაფარიან მინდორზე ავარჯიშა.

შეკრებაზე კორღალიძემ შემდეგი მოთამაშეები გამოიძახა: **ლევან ტყეშელაშვილი, გიორგი პაპავა, თევდორე კაკულია, ლაშა პარუნაშვილი, სანდრო რეხვიაშვილი, ნიკა სანდოხაძე, ბუდუ ზივზივაძე, გიორგი გაგნიძე, ბუბა რუხაძე, ნიკა კაჭარავა (ყველა – "დინამო" თბილისი), გიორგი ჯგერენაია, ნოდარ კიკნაველიძე (ორივე— „გაგრა"), თორნიკე გრიგალაშვილი, თევდორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, გურამ სამუშია (ყველა – "ზესტაფონი"), გიორგი ბერია, კოტე ზარნაძე, დავით გელაშვილი (ყველა – "სპარტაკი", ცხინვალი), თემურ მარკოზაშვილი („ტორპედო", ქუთაისი), გიორგი კალანდია („ვიტ ჯორჯია"), ავთო ენდელაძე („ბაია", ზუგდიდი).**

ამ ეტაპზე მწვრთნელს ნაკრებში არ გამოუძახებია ლეგიონერები: გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი (ორივე — "ვიტესი", ჰოლანდია), მერაბ გიგაური ("იაგელონია", პოლონეთი) და დავით სხირტლაძე ("ორჰუსი", დანია), რადგან მათ დაამტკიცეს, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ და კორღალიძემ მათი კლუბებში დატოვება ამჯობინა. მათ გარდა, შეკრებაზე არაა 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე და ლიდერი, მცველი **დავით ხოჭოლავა** – "დინამოს" მცველი ტრავმირებულია.

თბილისური შეკრების შემდეგ, 18 მარტს ნაკრები კვიპროსზე გაემგზავრება, ლარნაკაში კი კვიპროსელ თანატოლებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს მიმდინარე საკითხებზე ველაპარაკეთ.

**- ლევან ბარათაშვილის გარდა, ვინ შევიდა თქვენს სამწვრთნელო შტაბში?**

- ერთი ეს ცვლილებაა, ბარათაშვილი გიორგი მიქაძის ნაცვლად იმუშავებს, ყველა დანარჩენი კი დავტოვეთ, მათ შორის, მეკარეთა მწვრთნელი ირაკლი ბალაძე და ადმინისტრატორი.

**- კვიპროსში გამგზავრებამდე საკონტროლო მატჩს გეგმავთ?**

- ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, 17 მარტს უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდთან გვეთამაშა, მაგრამ ვერ მოხერხდა. ახლა მთელ საქართველოში გამოიდარა, ალბათ, ჩემპიონატის ტურიც აღარ გადაიდება და ამიტომ 17 მარტს ორმხრივ თამაშს დავჯერდებით. თუ კარგი ამინდი იქნება, კარლო მჭედლიძის აკადემიაში ვითამაშებთ, თუ არადა, "ბასას" ხელოვნურსაფრიან მოედანზე.

**- გამოძახებულთა შორის რატომ არ არიან ნაკრების ძირითადი მეკარე დავით ლეგაშვილი და გუნდის კაპიტანი არჩილ ტვილდიანი?**

- ტვილდიანი "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, რაც უკვე ბევრს ნიშნავს. ამიტომ მისი გუნდში დარჩენა და სხვა მოთამაშეებზე დაკვირვება ვამჯობინეთ.

რაც შეეხება დავით ლეგაშვილს, სამწუხაროდ, მას თითი აქვს მოტეხილი და ვერ ვარჯიშობს. მაგრამ, პირველ მეკარედ სწორედ ის წარმომიდგენია და იმედია, მაისამდე მომჯობინდება. თუმცა, ისედაც უგუნდოდ იყო და ძალიან მინდა, ფედერაციას დახმარება ვთხოვო, მომჯობინების შემდეგ რომელიმე გუნდში რომ ჩაირიცხოს. ასეთი ნიჭიერი ბავშვი უგუნდოდ არ უნდა ცდებოდეს.

**- ჭანტურიას, ყაზაიშვილის გიგაურისა და სხირტლაძის გარდა, ლეგიონერებში ვის აკვირდებით?**

- უცხოეთში ბევრი ქართველია და მინდა, საუკეთესოები ჩამოვიყვანოთ. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ "კრასნოდარში" თამაშობს ნახევარმცველი ხალვაში, კიევის "ობოლონში" კი 1994 წელს დაბადებული ირაკლი ლერკენაშვილი, რომლითაც კახა კაჭარავაც დაინტერესდა. თუმცა ბავშვების მოძიებას საქართველოშიც გავაგრძელებთ, საინტერესო ბიჭები არიან "გაგრას" ნახევარმცველი ჭკუასელი და ქუთაისის "ტორპედოს" თავდამსხმელი ფანცულაია, ძალიან აქებენ ზუგდიდის მეკარე ზურაშვილსაც. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ცუდი ნაკრები არ უნდა გვყავდეს.

**- პირველ დღეს გუნდი ნაკრების ბაზის ხელოვნურსაფრიან მოედანზე ავარჯიშეთ და არა ნატურალურზე – შეკრების ბოლომდე ასე გააგრძელებთ?**

- მთავარ მოედანზე თოვლი იდო და იქ შესვლას მინდვრის გაფუჭების შიშით მოვერიდეთ, მაგრამ დღეს ბალახზე (14 მარტს – რედ.) ვივარჯიშებთ.

**- ცოტა უცნაურია, რომ ნაკრებს საკუთარი ბაზა აქვს, სადაც საცხოვრებელი ოთახებია, თქვენ კი სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდით.**

- ნაკრების ბაზაზე მხოლოდ ეროვნული გუნდის წევრები ცხოვრობენ. სხვათა შორის, პორტუგალიასთან შეკრებამდე დილომში, სასტუმრო "ბომონდ გარდენში" შესვლა გადავწყვიტეთ, რადგან "ვარაზი" ქალაქის ცენტრშია და მუდმივი საცობების გამო, მოუხერხებელია.

**- ელიტ რაუნდის შემადგენლობას როდის დაასახელებთ?**

- ბოლო შეკრებას 15 მაისს დავიწყებთ, 19 ან 20 მაისს ხორვატიაში გავემგზავრებით. შემადგენლობას კი გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამოვაცხადებ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი



# იმერული დერბი გადადების პირასაა

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურია, ტურის ცენტრალური მატჩი კი "ზესტაფონი"-"ტორპედოა". "იმერული დერბის" მნიშვნელობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს უაღრესად პრინციპული შეხვედრა გადადების საფრთხის წინაშეა. მიზეზს ალბათ, ხვდებით – უმაღლესი ლიგის კალენდარში შეფერხება, შესაძლოა, კვლავ დიდთოვლობამ შეიტანოს.

შეგახსენებთ, გასულ ტურში ამავე მიზეზით "დინამო"-"დილა" და "ტორპედო"-"მერანი" ვერ ჩატარდა. ასე რომ, ქუთაისელებს ზედიზედ მეორე მატჩის გადადება ემუქრებათ, რაც, ცხადია, არც ერთი გუნდისთვის არ არის მისაღები. თავის მხრივ, თამაშის გადადება ხელს არც ზესტაფონელებს აძლევთ, რომლებსაც საქართველოს თასის ნახევარფინალში ორი შეხვედრა ელით და ამის გამო ისედაც მჭიდრო სათამაშო გრაფიკი კიდევ უფრო გაურთულდებათ.

ზესტაფონის "დავით აბაშიძეზე" 17-18 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლი დევს, რასაც ყინვა და ამინდის არასასიამოვნო პროგნოზი ემატება და "ზესტაფონის" პრესსამსახურის ინფორმაციით, მოედნის გადაწმენდის შემთხვევაში ბალახის საფარი მნიშვნელოვნად დაზიანდება. "ტორპედო" "ზესტაფონს" ამ საქმისთვის ტექნიკასა და მუშახელს სთავაზობს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონები მეზობელთა წინადადებაზე უარს სწორედ ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო ამბობენ.

ამგვარ შემთხვევებში ერთ-ერთი გამოსავალი მასპინძელი ქალაქის შეცვლაა (ამაზე შეთანხმდნენ "დინამო" და "მერანი"), მაგრამ "იმერულ დერბიში" ეს, ფაქტობრივად, გამორიცხულია – ქუთაისის სტადიონზეც თოვლი დევს და მატჩის გასამართად იქაც სტადიონის განმენდითი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო, რაც, ბუნებრივია, საფარს ისევე დააზიანებს, როგორც ზესტაფონში. "ტორპედო" მასპინძლობის წინააღმდეგია და ახლა "ზესტაფონის" მოქმედებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

შეიძლებოდა მატჩის სხვა ქალაქში გამართვაც, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ზესტაფონურ-ქუთაისური საფეხბურთო დაპირისპირება იმერეთში არ გაიმართოს? ამით ორივე კლუბის ქომაგები დაიჩაგრებიან და ამას ისევ თამაშის გადადება სჯობს.

"ლელოსთან" საუბარში "ტორპედოს" პოზიცია კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა** ასე ჩამოაყალიბა: *"მატჩი აუცილებლად უნდა ჩატარდეს. ქუთაისში თამაში გამორიცხულია, მოედანზე 35 სანტიმეტრი სისქის თოვლი დევს. შეხვედრის მასპინძელი "ზესტაფონია" და თამაშიც მის მოედანზე უნდა გაიმართოს. ფეხბურთის ფედერაციასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს და ჩვენ, რა თქმა უნდა, მის გადაწყვეტილებას დავემორჩილებით".*

გადაწყვეტილებას კი, სავარაუდოდ, დღეს მიიღებენ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მატჩი გადაიდება. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტი ამ შეხვედრას, ალბათ, 29 მარტს დანიშნავს, 1 აპრილს დანიშნული ტური კი მეორე დღეს გაიმართება.

"ზესტაფონიცა" და "ტორპედოც" თბილისში ვარჯიშობენ და საშეჯიბრო კომიტეტის ვერდიქტს დედაქალაქში დაელოდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U17

# თბილისი ელიტის დასახვედრად ემზადება

გუშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ლუქსემბურგში იქაური თანატოლები სპარინგ-მატჩში 6:0 გაანადგურეს, თბილისში კი ამ დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის ემზადება.

იოლი არც ოთხგუნდიანი მინი-ტურნირის ორგანიზებაა და სფფ-მ თადარიგი ადრიანად დაიჭირა. საკმაო ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ ელიტრაუნდის მატჩები "დინამო არენასა" და "მიხეილ მესხზე" ჩატარდება, საქართველოს ნაკრები კი ყველა საშინაო შეხვედრას ვაკის სტადიონზე გამართავს.

ესპანეთის, ინგლისისა და უკრაინის ნაკრებები თბილისს 24 მარტს ეწვევიან და სამივე გუნდი სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" დაბინავდება. უკვე ცნობილია ისიც, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე დაბანაკდება, ინგლისელები "ბენდელას" სტადიონზე ივარჯიშებენ, უკრაინელები – რუსთავის "ფოლადზე", ესპანელთა საწვრთნელი ადგილი კი ჯერ დასაზუსტებელია.

სხვა დეტალების შესახებ რამდენიმე დღეში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე შევიტყობთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან თბილისურ ელიტრაუნდს სკაუტები დაესწრებიან და ქართველი 17-წლამდელებისთვის თავის გამოსაჩენად აქ გამართული მატჩები საუკეთესო საშუალებაა. არაერთი ქართველი ჭაბუკი ძლიერ ევროპულ კლუბში სწორედ ამ დონის ტურნირებზე წარმატებული თამაშით მოხვდა.

ელიტრაუნდის კალენდარსაც შეგახსენებთ:

**26 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
ინგლისი-უკრაინა

**28 მარტი**

საქართველო-ინგლისი
ესპანეთი-უკრაინა

**31 მარტი**

საქართველო-უკრაინა
ესპანეთი-ინგლისი

შეგახსენებთ, ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გადიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**


17-წლამდელები გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადებიან

● ზესტაფონი

# ლაზარეთი დაიხურა

იმერული დიდთოვლობის გამო "ზესტაფონი" საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ვერ ვარჯიშობს და საწვრთნელ პროცესს ამ დღეებში თბილისში ატარებს. **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდში რამდენიმე სიახლეა და ამის შესახებ მოკლედ გიამბობთ.

ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშს შეუდგნენ **შოთა ბაბუნაშვილი** და **ალექსი ბენაშვილი**, რომლებსაც წელს ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებიათ. თუკი ბენაშვილის მდგომარეობა საგანგაშო არ ყოფილა, ბაბუნაშვილმა ესპანურ შეკრებაზე ხერხემალი დაიზიანა და ძალიან გაუმართლა, რომ მისი კარიერა და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ დადგა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი დაზიანების კვალობაზე გამოცდილი ნახევარმცველი მოედანზე სარეკორდოდ მოკლე ვადაში დაუბრუნდება.

**აბაიომი ოვონიკოკოს** სარეაბილიტაციო პროცესი კი ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია. "ზესტაფონის" ნიგერიელი ახალწვეული უკვე საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს და თამაშიც სულ მალე შეეძლება. მოედანს მალე დაუბრუნდებიან **გიორგი ხიდეშელი** და **თორნიკე აფციაურიც**.

ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ "ზესტაფონის" პირველ გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა **როსტომ გეწაძემ**. ეს პერსპექტიული ნახევარმცველი რუსთავის "მეტალურგის" გამოცდილი წევრის, **რევაზ გეწაძის** ძმაა და რომ არა მძიმე ტრავმა, დღეს, შესაძლოა, უკვე ყოფილიყო "ზესტაფონისთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელი.

**ჯაბა დვალმა** და **შოთა გრიგალაშვილმა** თამაში უკვე განაახლეს, მიკროტრავმა მოიშუშა **თემურ ლონლაძემ** და დღეისთვის უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ზესტაფონს" ტრავმირებული ფეხბურთელები აღარ ჰყავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეროელთა ისედაც გრძელი სათადარიგოთა სკამი კიდევ უფრო დაგრძელდება და კონკურენციაც ერთიორად გამძაფრდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**


აბაიომი ოვონიკოკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ჩიხრაძე ახალ სარბიელზე: ქვირიანი პროექტის ხელმძღვანელი

ქართველი მწვრთნელები უცხოეთში – ასეთი ბევრი არ არის და როცა გადაწყდა, რომ **გიორგი ჩიხრაძე** აზერბაიჯანულ "სიმურგს" ჩაუდგებოდა სათავეში, ასპარეზზე კიდევ ერთი ჩვენებური გამოჩნდა.

**კახა ცხადაძე** და **შოთა არველაძე,** მანამდე **თემურ ქეცბაია** – ყოფილი ნაკრებელებიდან საზღვარგარეთ სხვას ჯერ არ უმწვრთნელია, ნაკრებში თამაში კი მწვრთნელის ბიოგრაფიისთვის ცოტას არ ნიშნავს, ეს რეკლამაცაა და გამოცდილებაც.

ჩიხრაძე ნაკრებში შეპეტოვკის "ტემპიდან" მოხვდა, როცა ჩვენს ეროვნულ გუნდს **ალექსანდრე ჩივაძე** თავკაცობდა. ჩიხრაძე მარცხენა მცველი იყო და საიმედო თამაშით გამოირჩეოდა, მგონი ვერავინ გაიხსენებს ნაკრების ისეთ მატჩს, რომელიც ჩიხრაძემ ჩააგდო, როცა ჩიხრაძის შეცდომით იზარალა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა.

ჩიხრაძეს აქვს ხასიათი, მწვრთნელისთვის აუცილებელი ნებისყოფა, მოთმინების უნარი, ის ზედმიწევნით გაწონასწორებული ადამიანია. ვინძლო ამ თვისებების გამო, მას საქართველოში ჩააბარეს ერთ დროს საკმაოდ ამბიციური კლუბი – თბილისის "ამერი".

ყველა საიდანღაც იწყებს, ჩიხრაძემ კი ამბიციური გუნდით დაიწყო. "ამერში" ის არ იყო ავანტიურისტი მწვრთნელი, მისი გუნდიც არ გამოირჩეოდა ლამაზი და ზედმიწევნით შემტევი სტილით, მაგრამ ჩიხრაძე მუშაობდა იმაზე, რაც ყველაზე მთავარია – შედეგი. "ამერმა" ორჯერ მოიგო საქართველოს თასი და სუპერთასი. ჩიხრაძეზე ვერავინ იტყოდა, გარიგებულ თამაშებშია გახვეულიო, ვერც იმას, ფეხბურთელების ტრანსფერების წილში ზისო – ჩიხრაძემ კარგი რეპუტაციაც მოიპოვა.

მწვრთნელი ჩიხრაძის გემოვნება ზოგს არ მოსწონდა, თუმცა ესეც ალბათ ფეხბურთის ნაწილია – გემოვნებაზე, იმ ფეხბურთელებზე კამათი, რომელიც მწვრთნელს მოსწონს თუ არ მოსწონს. კარგად მახსოვს საქართველოს თასის ის ფინალი, როცა "ამერმა" "ზესტაფონს" 1:0 მოუგო. ბურთს ფეროელები აკონტროლებდნენ, უფრო მეტს უტევდნენ, "ამერმა" კი კონტრშეტევაზე გამოიჭირა მოწინააღმდეგე და **დიმიტრი ტატანაშვილის** გოლით გაიმარჯვა. იმ ფინალიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩიხრაძემ ინტერვიუში თქვა, დაცვით თამაშსაც შესრულება უნდაო.

ჩიხრაძე არ ყოფილა მაინცდამაინც კატენაჩოს მიმდევარი, მაგრამ როცა საქმეს დასჭირდა, ამაზეც წავიდა და შედეგს მიაღწია. "ზესტაფონს" თასის ფინალში მანამდეც მოუგო, ოღონდაც მაშინ სულ სხვა ტაქტიკა აირჩია. ერთი სიტყვით, ჩიხრაძე არ იყო რაღაცაზე ჩაციკლული მწვრთნელი.


გიორგი ჩიხრაძე

მისგან ქედმაღლობაც არავის ახსოვს, საქართველოს თასის ორჯერ მომგებმა არ ითაკილა და ბაქოს "ინტერში" კახა ცხადაძის თანაშემწედ წავიდა. მეორე მწვრთნელი საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციაა დალაგებულ, სწორად მომუშავე კლუბში. ბაქოს "ინტერს" წლობით აქვს ისეთი კარგი ბიუჯეტი, რომ კლუბი ძალაუნებურად ვერ გაჩერდებოდა ერთ ადგილზე და გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ჩიხრაძის იქ მუშაობა უმნიშვნელო ვერ იქნებოდა.

*"წესითა და რიგით, "სიმურგი" სეზონის დასრულების შემდეგ უნდა ჩამებარებინა, მომდევნო სეზონში კლუბის პრეზიდენტს სერიოზული გუნდის შექმნა სურს. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა "სიმურგიდან" ახლა დამიკავშირდნენ და გუნდის მყისვე ჩაბარება შემომთავაზეს. გუნდი გასავარდნ ზონაშია, ზედიზედ ოთხი თამაში წააგო და შესაბამისად, ვითარება მძიმეა, მაგრამ ისიცაა, რომ სიძნელეები ჩემთვის ახალი ნამდვილად არ არის".*

ჩიხრაძემ ისიც გვითხრა, საქმეს კიდევ ის ართულებს, რომ სატრანსფერო ფანჯარა აზერბაიჯანშიც დახურულია და ახალი ფეხბურთელებით გუნდს ვერ გავაძლიერებთო.

აზერბაიჯანული ფეხბურთი ჯერ კიდევ მაშინ მოფულიანდა, სანამ ჩვენთან "ვარდების რევოლუცია" მოხდებოდა. ჩიხრაძეს ამაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, აზერბაიჯანის ჩემპიონატის სპეციფიკაზე.

*"აზერბაიჯანის ჩემპიონატში ახლა საკმაოდ ბევრი ძლიერი გუნდია, ზედა ექვსი გუნდი დაახლოებით თანაბარ პირობებშია, "ყარაბახსა" და "ნეფთჩის" თუ არ ჩავთვლით, ყველა მოწინავე გუნდს ჰყავს ბევრი ძვირადღირებული ლეგიონერი. ზუსტად ვერ გეტყვით, ვის რა ბიუჯეტი აქვს, მაგრამ თუ აზერბაიჯანულ გუნდებს ქართულ კლუბებს შევადარებთ, ჩვენს მოწინავე გუნდებზე 2-3-ჯერ მეტი დაფინანსება აქვთ".*

"სიმურგის" ქართველი დამრიგებელი იმ ცნობილ განცხადებაზე გვესაუბრა, საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა რომ გააკეთეს:

*"თუ ერთ-ორ გამოსვლას არ მივიღებთ მხედველობაში, აზერბაიჯანში ევროპის ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარების იდეას ყველა დადებითად უყურებს, კამათი მხოლოდ იმაზე მიდის, რამდენად რეალურია ამის განხორციელება".*

სანამ ორი ქვეყანა განზრახვას სისრულეში მოიყვანს და უეფაში განაცხადს შეიტანს, ჩიხრაძეს საკუთარი კარიერა აქვს გასამდიდრებელი:

*"მიმაჩნია, რომ "ინტერში" გატარებული პერიოდი ჩემთვის ერთობ ნაყოფიერი იყო, მქონდა წინადადებები ქართული გუნდებიდან, მაგრამ აზერბაიჯანში დარჩენა ვამჯობინე, რადგან "ინტერი" ამბიციური კლუბია, იგივე მიზანი აქვს "სიმურგსაც". ჯერ არ ვიცი, რომელი ფეხბურთელებით გაძლიერდება გუნდი მომავალ სეზონში, გამორიცხული არ არის, რომ ქართველი ფეხბურთელებიც მოვიწვიოთ".*

ჩიხრაძე საიმედოა – დიდი ეჭვია, რომ ზაქათალის "სიმურგმაც" ამის გამო აირჩია ჩვენებური ძვირიანი პროექტის ხელმძღვანელად.

**დავით თავართქილაძე**



ინტერი-ხაზარი 3:2. უტევს გირტს კარლსონსი

# ტრილერი შაფაზე

ჩვენი არ იყოს, აზერბაიჯანის ჩემპიონატიც ორ ეტაპად ტარდება და იქაც ორი ტურნირი მიმდინარეობს: საუკეთესო ექვსი გუნდი ჩემპიონობისა თუ ევროტურნირების საგზურებისათვის იბრძვის, ქვედა ექვსეული კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულები არავისთვის „ნაურთმევიათ", ანუ, „ჩვეულებრივ პირველობას" ატარებენ. თუმცა, გარკვეული „მსგავსება" მეზობლებს მაინც გაგვაჩნია: ჩვენი არ იყოს, აზერბაიჯანის გუნდებსაც ერთობ შემჭიდროებული გრაფიკით უწევთ ასპარეზობა. განსაკუთრებით კი ეს ზედა ექვსეულის გუნდებს ეხებათ და ამის ნათელ მაგალითად, იქაური ყველაზე „ქართული გუნდის", ბაქოს „ინტერის" კალენდარიც მოწმობს: **კახა ცხადაძის** შეგირდებს 3 მარტიდან 1 აპრილამდე 8 ოფიციალური მატჩის ჩატარება უწევთ! აზერბაიჯანის ჩემპიონატის მომდევნო ტურის მატჩები ამ უქმეებზე ჩატარდება, გუშინ კი ამ ქვეყნის თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, იმ შეხვედრებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სადაც ქართველები მონაწილეობდნენ. დედაქალაქურ „დერბიში" მოედანზე 90 წუთი გაატარა **ნუგზარ კვირტიამ,** თუმცა მისი გუნდი („აზალი") 1:3 დამარცხდა „ბაქისთან". სტუმრად, ფრედ (2:2) ითამაშა „ყარაბაღმა", თუმცა **გიორგი ადამიას** ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. ყველაზე დიდ ინტერესს კი „ინტერი" — „ხაზარის" დაპირისპირება იწვევდა და შეხვედრამაც ინტერესი გაამართლა. „ტრილერი შაფაზე", — აი, ასეთი სათაურებით იყო „აჭრელებული" გუშინ აზერბაიჯანული ვებგვერდები და ძნელია, ამაში არ დავეთანხმოთ. „შაფას" სტადიონზე ჩატარებულ მატჩში ანგარიში „ინტერმა" გახსნა, თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში „ხაზარმა" ორი ბურთის გატანა მოახერხა და ანგარიშშიც დაწინაურდა. ამის შემდეგ, ბაქოელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ სამი ფეხბურთელი შეცვალა, თავისი გუნდის ტაქტიკური სქემაც გადააწყო და შეხვედრის ბოლო 12 წუთში მასპინძლებს ეს აქტიურობა დაუფასდათ კიდეც (გოლები გაიტანეს ბულგარელმა **ენიო კრასტოვჩევმა** და ლატვიელმა **გირტს კარლსონსმა**). „ინტერის" შემადგენლობაში, ტრადიციულად, ძირითად შემადგენლობაში იყვნენ **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი** და **ვალერი აბრამიძე;** რაც შეეხება **ბაჩანა ცხადაძეს,** „ინტერის" საუკეთესო ბომბარდირს ამ მატჩში მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია. აზერბაიჯანის თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები 28 მარტს ჩატარდება.

**გია გაგოშიძე**

ფუტსალი

# ქართველები რუსეთის თასს დაეუფლნენ


ზვიად კუპატაძე


ბესო ზოიძე

ფუტსალში რუსეთის თასის მფლობელი "გაზპრომ-იუგრა" გახდა. იუგორსკელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, რუსეთის სუპერლიგაში მეხუთე ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ ტიუმენის ოლქის 32-ათასიანი ქალაქის გუნდის წარმატება დიდი სენსაცია აღმოჩნდა.

ამ ამბავით იმიტომ დავინტერესდით, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი და დუბლების დამრიგებელი ქართველი სპეციალისტი **ბესო ზოიძეა,** "იუგრას" ძირითადი მეკარე კი 34 წლის **ზვიად კუპატაძეა,** რომელიც გუნდში 2004 წლიდან თამაშობს.

რუსეთის ფუტსალის თასის მფლობელი "გაზპრომ-იუგრასა" და მოსკოვის "დინამოს" ორმატჩიან დაპირისპირებაში გაირკვა. იუგორსკელებმა პირველი მატჩი 6:2 მოიგეს და მეორეში წაგების (3:5) მიუხედავად, თასს დაეუფლნენ.

ალსანიშნავია, რომ ტიუმენელები ფინალში მესამედ გავიდნენ, მაგრამ თასს პირველად დაეუფლნენ.

*"შარშან ფინალში მოსკოვის "დინამომ" ორივეჯერ მოგვიგო. ამიტომ რევანშზე ვფიქრობდით და განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებოდით. გამართლებაზე ლაპარაკი უაზრობაა, რადგან ბიჭებმა გასაოცარი ჟინი გამოავლინეს, საკუთარ თავს აჯობეს და გამარჯვება დაიმსახურეს. ყველაზე მეტად ის მახარებს, დღეისათვის რუსეთის ყველაზე ძლიერი და ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი რომ დავამარცხეთ. ფინალში აქამდეც გავსულვართ, ჩემპიონატში საპრიზო ადგილებიც დაგვიკავებია, მაგრამ დღემდე ტიტული არ გვქონდა"* - თქვა მატჩის შემდეგ რუსეთის ფუტსალის ასოციაციის ვებგვერდთან ინტერვიუში ბესიკ ზოიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ერთი ფოტოს ამბავი

# გენო სარჩიმელია, ქალბატონი კრიკკე და ვიტესი


მარცხნიდან: ქალბატონი პაულინე კრიკკე, გენო სარჩიმელია და „ვიტესის" ხელმძღვანელობა

ქართული ფეხბურთის ვეტერანი, 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილი **გენო სარჩიმელია** ახლახან ევროპაში ტურისტად იმყოფებოდა და შესაძლებლობა ჰქონდა 4 მარტს ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩს დასწრებოდა ქ. არნემში, სადაც ადგილობრივმა „ვიტესმა" დაძაბულ ბრძოლაში 2:0 სძლია „გრააფსხაპს". ერთ-ერთი საუკეთესო ამ შეხვედრაში მასპინძელთა გუნდის კაპიტანი **გურამ კაშია** იყო. ვიპ ლოჟაში კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად იმყოფებოდა არნემის მერი, მის **პაულინე კრიკკე,** რომელმაც ყველას მიულოცა გამარჯვება.

„ვიტესმა" მომდევნო თამაში სტუმრად მოუგო (3:1) „გრონინგენს" და სატურნირო ცხრილში მე-7 პოზიცია განიმტკიცა. ამ ადგილის შენარჩუნება „ვიტესს" შესაძლებლობას მისცემს პლეი ოფში იბრძოლოს ევროპის ლიგის საგზურისთვის. R

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა



საჩხერის ჩიხურა უმაღლესი ლიგისთვის იბრძვის

ფოტო: www.fcchikhura.ge

## ახალი, უმოტივაციო ტურნირი

რამდენიმე დღის წინ პლეი აუტის ტურნირი დაიწყო, სადაც მომავალი სეზონისათვის უმაღლესი ლიგის ოთხი საგზური თამაშდება. შეგახსენებთ, რომ ამ რვაგუნდიან გათამაშებაში უმაღლესი ლიგის ოთხი („ვიტ ჯორჯია", „გაგრა", „სპარტაკი", „სიონი") და პირველი ლიგის ასევე ოთხი („ჩიხურა", ბათუმის „დინამო", „გურია", „მერცხალი") გუნდი მონაწილეობს. ამ უკანასკნელმა ოთხეულმა უმაღლეს ლიგაში ალზევების შანსი პირველ ეტაპზე წარმატებული ასპარეზობის შედეგად მოიპოვა: პირველი ლიგის „ა" ზონაში ბათუმის „დინამომ" და „მერცხალმა" აჯობეს კონკურენტებს, „ბ" ზონაში კი — „ჩიხურამ" და „გურიამ". თუმცა, ეს ყველაფერი პირველ ეტაპზე მოხდა და, ალბათ, ისიც საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ გაგრძელდება პირველი ლიგის გათამაშება დანარჩენი იმ 16 გუნდისათვის, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი აუტში რომ ვერ მოხვდნენ. ამ შემთხვევაში, ყველაფერი რეგლამენტის მიხედვით წარიმართება: უკვე სეზონის დაწყებამდე იყო ცნობილი, რომ ეს 16 გუნდი მეორე ეტაპზე პირველ ლიგაში დასარჩენად იბრძოლებდა. თანაც, ასევე ცნობილი იყო, თუ როგორ გადანაწილდებოდნენ გუნდები A და B ჯგუფში, სადაც ერთმანეთთან ნათამაშები ქულები (ბურთები) გადაჰყვებოდათ. A ჯგუფი უნდა შეედგინათ „ა" ზონის III, VI, VIII, IX და „ბ" ზონის IV, V, VII, X ადგილებზე გასულ გუნდებს; B ჯგუფი კი — „ბ" ზონის III, VI, VIII, IX და „ა" ზონის IV, V, VII და X ადგილებზეგასულ გუნდებს. საბოლოოდ, ჯგუფები ასე დაკომპლექტდა: A — „ჭიათურა, „კოლხეთი", „მესხეთი", „სამტრედია", „სქური", „ზოოვეტი", „სამგურალი", „აეტი"; B — „იმერეთი", „ნორჩი დინამოელი", „adელი", „სულორი", „ჩხერიმელა", სტუ, „ლოკომოტივი", „მეშახტე".

ეს ტურნირიც ორწრიანია და ჯგუფებში ბოლო ადგილზე გუნდებს პირველი ლიგის დატოვება მოუწევთ, ხოლო VII ადგილზე გასული გუნდები ერთ მატჩში (ნეიტრალურ მოედანზე) გაარკვევენ ურთიერთობას. ამ შეხვედრაში გამარჯვებული მომავალ სეზონში კვლავაც პირველ ლიგაში იასპარეზებს, დამარცხებული კი — მეორე ლიგაში. აი, ასეთია პირველი ლიგის რეგლამენტი, თუმცა, უმაღლესი ლიგისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც არაფერი გაგვიკვირდეს; ანუ, რეგლამენტის მოსალოდნელ ცვლილებებს ვგულისხმობთ, რაც, ბოლო წლებში, ჩვენთან უკვე ტრადიციასავით იქცა. პირველ ლიგაში პირველ ეტაპზე გატანილ ყველა გოლს ვიდრე შემოგთავაზებდეთ, ისიც გვინდა ვიკითხოთ: ამ ახალ ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებს, ნეტავ, რა მოტივაცია უნდა ჰქონდეთ?..

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

### ა ზონა

**სტუ – 39 გოლი**

ავთანდილ ბაგაშვილი - 9, ლევან ჯიქიძე - 9, მიხეილ კოსტავა - 5, ალექსანდრე ლალაძე - 3, გოგიტა გოგატიშვილი - 3, ჯაბა კოლუა - 2, ნიკოლოზ მახვილაძე - 2, ლევან ციკოლია - 1, ზურაბ ჭავჭავაძე - 1, გიორგი ჯიშკარიანი - 1, ლევან საბაძე - 1, შოთა გვაზავა - 1, დათო საჯაია („ლოკომოტივი", საკუთარ კარში).

**ჭიათურა – 30**

ზაურ ხაჭიპერაძე - 6, გიორგი ქირია - 5, ნიკა გაფრინდაშვილი - 4, ლაშა ცუცქირიძე - 3, დავით სევასტოპულო - 2, დავით ქირია - 2, იაკობ დეისაძე - 2, ლევან ქურდაძე - 2, ომარ კურტანიძე - 1, ბექა ჭუმბურიძე - 1, შალვა ფირცხალავა - 1, მიხეილ კოპალიანი („მეშახტე", საკუთარ კარში)

**ლოკომოტივი – 30**

დავით ჯიქია - 9, გიორგი გოროზია - 5, გიორგი შარანგია - 3, ლაშა კვარაცხელია - 2, გიორგი მაისურაძე - 2, ნუგზარ შერაზადიშვილი - 1, დავით ბაქრაძე - 1, გიორგი კაპანაძე - 1, დავით დარციმელია - 1, დათო საჯაია - 1, ბორის მახარაძე - 1, დავით მიქავა - 1, ამირან გუგუშვილი - 1, ზვიად ლობჟანიძე („დინამო", საკუთარ კარში).

**დინამო (ბათუმი) – 28**

მიხეილ ჯორბენაძე - 8, თორნიკე ბერიძე - 3, ალექსანდრე ბაციკაძე - 3, ამირან მუჯირი - 2, ნიკა დიასამიძე - 2, კარენ მაკარიანი - 2, მამია ჟვანია - 2, ნიკა ნასუაშვილი - 2, ლაშა გაბრიჭიძე - 1, ზვიად ლობჟანიძე - 1, ვაჟა ქორიძე - 1, გელა გოგიტიძე - 1.

**მერცხალი – 24**

სერგო გელას-ძე ჩიგოგიძე - 6, გიორგი ტყეშელაშვილი - 4, ლაშა კალანდაძე - 4, ზაზა ტულუში - 2, თეიმურაზ ვარდუაშვილი - 2, მიხეილ ქობულაძე - 2, ლაშა კოტრიკაძე - 1, ირაკლი ბაჯელიძე - 1, ლევან ათუაშვილი - 1, ნოდარ მაჭავარიანი - 1.

**ჩხერიმელა – 24**

დაჩი კოსტავა - 9, გიგა ბოხუა - 7, ალექსანდრე ლაბაძე - 2, ალექსანდრე ქაშაკაშვილი - 1, გიორგი თურმანიძე - 1, ირაკლი გვეტაძე - 1, ოთარ გიორგობიანი - 1, მიხეილ თევდორაძე - 1, ბექა ახალაია - 1.

**მესხეთი – 19**

ირაკლი ცნობილაძე - 8, დავით ინასარიძე - 2, მიხეილ მურმანიშვილი - 2, დავით ხანიშვილი - 2, კობა ხანიშვილი - 1, დავით ტლაშაძე - 1, მამუკა მელაძე - 1, ზურაბ ბარძიმაძე - 1, გივი მურადაშვილი - 1.

**კოლხეთი (ხობი) – 18**

ცოტნე ბუკია - 4, ოთარ ფიფია - 4, ბაკურ ბუკია - 2, გელა ლომაია - 2, ირაკლი გერგაია - 2, გიორგი გოგენია - 1, ვაგნერ ფირცხელავა - 1, მამუკა ჭკადუა - 1, ლევან ჩაჩიბაია -1.

**მეშახტე – 16**

ვილენ ჭრელაშვილიი - 4, გიორგი ხეცურიანი - 3, ლაშა გაბრიჭიძე - 3, თემურ ხარებავა - 2, ავთანდილ მეტონიძე - 1, დავით კუტალია - 1, ნიკოლოზ ხარაბაძე - 1, ირაკლი ღიბრაძე - 1.

**სამტრედია – 15**

პაპუნა შათირიშვილი - 3, ტარიელ რუხაია - 2, პაატა ბაკარაძე - 2, რეზო ნინუა - 2, ირაკლი ხვადაგიანი - 2, ლევან სუთიძე - 1, შოთა კერძევაძე - 1, ლაშა ხაჭაპურიძე - 1, დავით ჩხიკვაძე - 1.

### ბ ზონა

**გურია – 41**

იაგო დეისაძე - 14, გიგა კვერენჩხილაძე - 8, ლაშა კობახიძე - 4, გიორგი მელქაძე - 4, ივანე კილაძე - 3, ტარიელ კუკულაძე - 2, დავით მაისაშვილი - 2, გია თოდუა - 1, გურამ ნათენაძე - 1, ლევან კვანტალიანი („ადელი", საკუთარ კარში), ვახტანგ ბრეგაძე („იმერეთი", საკუთარ კარში).

**ჩიხურა – 40**

თორნიკე მუმლაძე - 12, ნიკა კვასხვაძე - 6, ლაშა ნოზაძე - 4, გიორგი სილაგავა - 3, ირაკლი ლილუაშვილი - 3, ჯაბა ბერიანიძე - 2, ლევან ბაკურაძე - 2, ირაკლი ზაბახიძე - 2, გიორგი სალარიძე - 2, ლაშა ვაშაკიძე - 2, ნიკა გუშარაშვილი - 1, ბექა დვალიშვილი („სულორი", საკუთარ კარში)

**იმერეთი – 31**

იაკობ დეისაძე - 11, ნიკოლოზ ჩიხლაძე - 7, გიორგი გოდერიძე - 4, ლევან გაჩეჩილაძე - 3, ბექა ჩხეტიანი - 3, რომან კაშია - 1, გიორგი ცაგარეიშვილი - 1, ირაკლი გვეტაძე - 1.

**ნორჩი დინამოელი – 30**

ილია ქავთარაძე - 6, ზურაბ ძაგანია - 6, ვახტანგ ჭანტურიშვილი - 3, ლევან ლაბარტყავა - 3, თამაზ ჩარგეიშვილი - 3, იოსებ ჩახვაშვილი - 2, ზვიად კვარაცხელია - 2, მიხეილ ხოკერაშვილი - 1, გიორგი ოქრუაშვილი - 1, გოგა ქვარაია - 1, ბექა შუბითიძე - 1, ალექსი ლვთისავრიშვილი - 1.

**სამგურალი – 27**

გიორგი ბუხაიძე - 7, თორნიკე შეყრილაძე - 3, ბესიკ ხაჭიპერაძე - 3, რაულ ჩიხლაძე - 2, ირაკლი შალიკაშვილი - 2, ლაშა ნავერიანი - 2, ზვიად კუხალაშვილი - 1, ხვიჩა უგრეხელიძე - 1, რევაზ კვერნაძე - 1, ლაშა ცხადაძე - 1, ზვიად ჩიხლაძე - 1, გიორგი გელენიძე - 1, გიორგი თევდორაძე - 1, ავთანდილ მეტონიძე - 1.

**სქური – 25**

გელა ჭკუასელი - 11, ლეონ გაბუნია - 6, გიორგი შელია - 2, ლევან ბოჯგუა - 2, ალექსანდრე სოხინი - 1, დათა რაფავა - 1, გიორგი სართანია - 1, გივი ხაჩიძე („ადელი", საკუთარ კარში).

**ზოოვეტი – 23**

ირაკლი სვანიძე - 6, ლაშა ჯოხაძე - 4, ზურაბ ტიელიძე - 2, გიორგი ჯოხაძე - 2, თორნიკე მოსიაშვილი - 2, უჩა მამულაშვილი - 1, ლევან ლობჟანიძე - 1, ირაკლი ალასანია - 1, შოთა ფარულავა - 1, მიხეილ მახათაძე - 1, ბესიკ ბარბაქაძე - 1, ბესიკ ხაჭიპერაძე („სამგურალი", საკუთარ კარში)

**ადელი – 19**

ამირან აბუსელიძე - 6, ალექსანდრე ლორია - 3, დავით ჯალაღანია - 3, გურამ სირაბიძე - 2, ლაშა მამეიშვილი - 2, გულად ქოქოლაძე - 1, ვაჟა ხიდეშელი - 1, გივი ხაჩიძე - 1,

**აეტი – 13**

გიორგი ნარსია - 3, ლაშა არაყიშვილი - 2, გიორგი მარგიანი - 2, პავლე კვიკვინია - 2, გიორგი ჯაჭვლიანი - 2, ნიკოლოზ ზაქარიაძე - 1, გიორგი სოსელია - 1.

**სულორი – 11**

თორნიკე მალლაკელიძე - 3, ბექა სულაბერიძე - 2, ნოდარ გიორგაძე - 2, მიხეილ ნაფეტვარიძე - 1, თამაზ ძაგნიძე - 1, გიგა ნიკოლეიშვილი - 1, კონსტანტინე კვიმსაძე - 1.

### პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იაგო დეისაძე (გურია) | 14 |
| იაკობ დეისაძე (იმერეთი/ჭიათურა) | 13 |
| თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა) | 12 |
| გელა ჭკუასელი (სქური) | 11 |
| ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ) | 9 |
| ლევან ჯიქიძე (სტუ) | 9 |
| დავით ჯიქია (ლოკომოტივი) | 9 |
| დაჩი კოსტავა (ჩხერიმელა) | 9 |



ბომბარდირებში 14 გოლით იაგო დეისაძე ლიდერობს

### A ზონა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჭიათურა | 0 | 0 | 0 | 0 | 9-4 | 14 |
| 2. ზოოვეტი | 0 | 0 | 0 | 0 | 10-6 | 13 |
| 3. სქური | 0 | 0 | 0 | 0 | 10-6 | 11 |
| 4. სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 10-9 | 7 |
| 5. მესხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 5-7 | 7 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 0 | 0 | 0 | 0 | 5-5 | 6 |
| 7. სამტრედია | 0 | 0 | 0 | 0 | 4-7 | 5 |
| 8. აეტი | 0 | 0 | 0 | 0 | 3-12 | 3 |

**I წრე**

**I ტური**

**19 მარტი**

სქური-კოლხეთი (ხ)
სამგურალი-მესხეთი
ზოოვეტი-სამტრედია

**20 მარტი**

აეტი-ჭიათურა

**II ტური**

**23 მარტი**

ზოოვეტი-ჭიათურა
აეტი-მესხეთი
კოლხეთი (ხ)-სამგურალი
სამტრედია-სქური

**III ტური**

**27 მარტი**

ზოოვეტი-აეტი
სამგურალი-სამტრედია
სქური-ჭიათურა
მესხეთი-კოლხეთი (ხ)

**IV ტური**

**2 აპრილი**

სამტრედია-მესხეთი
აეტი-კოლხეთი (ხ)
ჭიათურა-სამგურალი
ზოოვეტი-სქური

**V ტური**

**7 აპრილი**

სქური-აეტი
სამგურალი-ზოოვეტი
კოლხეთი (ხ)-სამტრედია
მესხეთი-ჭიათურა

**VI ტური**

**12 აპრილი**

ჭიათურა-კოლხეთი (ხ)
სქური-სამგურალი
ზოოვეტი-მესხეთი

**14 აპრილი**

აეტი-სამტრედია

**VII ტური**

**19 აპრილი**

სამტრედია-ჭიათურა
კოლხეთი (ხ)-ზოოვეტი
სამგურალი-აეტი
მესხეთი-სქური

**VIII ტური**

**24 აპრილი**

სამტრედია-ზოოვეტი
კოლხეთი (ხ)-სქური
ჭიათურა-აეტი
მესხეთი-სამგურალი

**IX ტური**

**29 აპრილი**

სქური-სამტრედია
სამგურალი-კოლხეთი (ხ)
მესხეთი-აეტი
ჭიათურა-ზოოვეტი

**X ტური**

**3 მაისი**

ჭიათურა-სქური
აეტი-ზოოვეტი
კოლხეთი (ხ)-მესხეთი
სამტრედია-სამგურალი

**XI ტური**

**7 მაისი**

მესხეთი-სამტრედია
სამგურალი-ჭიათურა
სქური-ზოოვეტი
კოლხეთი (ხ)-აეტი

**XII ტური**

**11 მაისი**

აეტი-სქური
ჭიათურა-მესხეთი
სამტრედია-კოლხეთი (ხ)
ზოოვეტი-სამგურალი

**XIII ტური**

**19 მაისი**

კოლხეთი (ხ)-ჭიათურა
სამგურალი-სქური
სამტრედია-აეტი
მესხეთი-ზოოვეტი

**XIV ტური**

**25 მაისი**

ზოოვეტი-კოლხეთი (ხ)
აეტი-სამგურალი
ჭიათურა-სამტრედია
სქური-მესხეთი

### B ზონა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ/დინამოელი | 0 | 0 | 0 | 0 | 15-6 | 15 |
| 2. იმერეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 12-5 | 15 |
| 3. სტუ | 0 | 0 | 0 | 0 | 20-13 | 13 |
| 4. ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 19-11 | 10 |
| 5. ჩხერიმელა | 0 | 0 | 0 | 0 | 8-11 | 8 |
| 6. ადელი | 0 | 0 | 0 | 0 | 6-12 | 3 |
| 7. სულორი | 0 | 0 | 0 | 0 | 5-15 | 3 |
| 8. მეშახტე | 0 | 0 | 0 | 0 | 5-17 | 2 |

**I წრე**

**I ტური**

**18 მარტი**

სტუ-ადელი

**19 მარტი**

იმერეთი-მეშახტე
ნ/დინამოელი-სულორი
ლოკომოტივი-ჩხერიმელა

**II ტური**

**23 მარტი**

მეშახტე-ჩხერიმელა
ადელი-ლოკომოტივი
სულორი-სტუ
იმერეთი-ნ.დინამოელი

**III ტური**

**27 მარტი**

სტუ-იმერეთი

**28 მარტი**

ნ/დინამოელი-მეშახტე
ლოკომოტივი-სულორი
ჩხერიმელა-ადელი

**IV ტური**

**4 მარტი**

მეშახტე-ადელი
სულორი-ჩხერიმელა
იმერეთი-ლოკომოტივი
ნ/დინამოელი-სტუ

**V ტური**

**7 აპრილი**

ლოკომოტივი-ნ.დინამოელი
ჩხერიმელა-იმერეთი
ადელი-სულორი

**8 აპრილი**

სტუ-მეშახტე

**VI ტური**

**12 აპრილი**

მეშახტე-სულორი
იმერეთი-ადელი
ნ/დინამოელი-ჩხერიმელა

**13 აპრილი**

სტუ-ლოკომოტივი

**VII ტური**

**19 აპრილი**

ადელი-ნ.დინამოელი

**20 აპრილი**

სულორი-იმერეთი
ლოკომოტივი-მეშახტე
ჩხერიმელა-სტუ

**VIII ტური**

**24 აპრილი**

ადელი-სტუ

**25 აპრილი**

მეშახტე-იმერეთი
სულორი-ნ/დინამოელი
ჩხერიმელა-ლოკომოტივი

**IX ტური**

**29 აპრილი**

სტუ-სულორი

**30 აპრილი**

ჩხერიმელა-მეშახტე
ლოკომოტივი-ადელი
ნ/დინამოელი-იმერეთი

**X ტური**

**4 მაისი**

მეშახტე-ნ/დინამოელი
იმერეთი-სტუ
სულორი-ლოკომოტივი
ადელი-ჩხერიმელა

**XI ტური**

**8 მაისი**

ადელი-მეშახტე
ჩხერიმელა-სულორი
ლოკომოტივი-იმერეთი
სტუ-ნ/დინამოელი

**XII ტური**

**12 მაისი**

მეშახტე-სტუ
ნ/დინამოელი-ლოკომოტივი
იმერეთი-ჩხერიმელა
სულორი-ადელი

**XIII ტური**

**19 მაისი**

სულორი-მეშახტე
ადელი-იმერეთი
ჩხერიმელა-ნ.დინამოელი
ლოკომოტივი-სტუ

**XIV ტური**

**24 მაისი**

მეშახტე-ლოკომოტივი
სტუ-ჩხერიმელა
ნ.დინამოელი-ადელი
იმერეთი-სულორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. ლივერპულის დერბის გამოხმაურება

# კარგი იყო, კაპიტანო!



სტივ ჯერარდმა ლივერპულში საიუბილეო მე-400 შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა

"ენფილდზე" პრემიერლიგის 26-ე ტურის გადადებულ შეხვედრას "ლივერპული" და "ევერტონი" განსხვავებულ განწყობაზე შეხვდნენ. სტუმარი 2-თვიანი ნაუგებელი სერიით საკუთარ ძალებში დარწმუნებული იყო. აკი **დევიდ მოიესი** თამაშის წინ აცხადებდა კიდეც, მოგებას და ცხრილში მეტოქის გადასწრებას ვაპირებთო. "ლივერპული" კი - ჩემპიონატში 4-მატჩიანი მოუგებელი და აქედან სამი ზედიზედ მინყობილი ნაგებით. "წითლები" სამაგიეროდ უფრო გაბრაზებულები ჩანდნენ, რაც თამაშის მიმდინარეობისას დაამტკიცეს კიდეც. გუნდებმა ერთმანეთთან ისტორიაში 217-ედ ითამაშეს. მატჩი ისტორიული გამოდგა – **სტივენ ჯერარდმა** "ლივერპულის" შემადგენლობაში მე-400 თამაში ჩაატარა, იუბილე ჰეთ თრიკით აღნიშნა და პირველი ფეხბურთელი გახდა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ვინც დერბიში სამჯერ შეძლო თავის გამოჩენა. ბოლოს ეს 1982 წელს **იან რაშს** ჰქონდა გაკეთებული. სამწუხაროა, რომ დაპირისპირების საყურებლად კონტინენტური ევროპის გულშემატკივრებს არ ეცალათ, მათი უმრავლესობა ჩემპიონთა ლიგას უყურებდა.

თამაშის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, როცა ცნობილი გახდა, რომ მარტო დერბის კი არა, **გლენ ჯონსონი** "ლივერპულს" რამდენიმე კვირით დააკლდებოდა. სტივ ჯერარდი კი ძირითადში აღმოჩნდა. "ლურჯებს" **ფილ იაგიელკა, სტივენ პიენაარი** და **ჯეკ როდუელი** დაუბრუნდნენ. პირველი მომენტი მასპინძლებმა მე-7 წუთზე შექმნეს, როცა **ლუის სუარესის** პასის შემდეგ სტივი კარგ პოზიციაზე აღმოჩნდა. **ტიმ ჰოვარდმა** მოიგერია, დამატებაზე კი თავგანწირვით ითამაშა **სიმუს კოულმენმა**, ვინც **ჯონათან ჰენდერსონს** არ მისცა დარტყმის საშუალება. 2 წუთში "ევერტონის" პასუხი ვნახეთ. **ლეიტონ ბეინსის** პასით პიენაარი ურტყამდა, თუმცა არაზუსტად. ტაიმის შუაწელს სტუმრებმა მოახერხეს ბურთზე კონტროლის დაწესება. თუმცა გარკვეულწილად ეს შეიძლება **კენი დალგლიშის** ჩანაფიქრსაც დავაბრალოთ. 34-ე წუთზე ანგარიში მოულოდნელად გაიხსნა. **სტივენ კელის** დარტყმას ჰოვარდი თითქოს ადვილად გაუმკლავდა, მაგრამ ბოლო წამს ხელიდან გაუვარდა და საბოლოოდ ჯერარდს ფეხებთან მიუგორდა. რაკი მეკარეს პოზიცია დაკარგული ჰქონდა, კაპიტანმა მსუბუქი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია – 1:0. ზუსტად 2 წუთში შეეძლო ანგარიშის გაზრდა კელის, მაგრამ მცველს სიზუსტე არ ეყო.

ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე, მაგრამ ფაქტია – "ევერტონმა" მეორე ტაიმში ახალი ვერაფერი მოიფიქრა. ასე რომ, "ლივერპულმა" მეტოქე ისევ ადვილად მიიმწყვდია კუთხეში და 51-ე წუთზე ანგარიში უკვე 2:0 გახდა. ჰენდერსონმა ბურთი ცენტრის ხაზთან მიიღო, შეიწია ცენტრისკენ და სუარესს ფლანგზე დაუბრუნა. ურუგვაელმა ორ მეტოქეს გვერდი იოლად აუარა და საჯარიმოში შეჭრილ ჯერარდს დაუგორა, ვისაც 5-6 მეტრიდან გატანა აღარ გასჭირვებია. ანგარიშის შეცვლის შანსი შეხვედრის ბოლომდე "ევერტონს" ნაკლებად ეძლეოდა, "ლივერპულს" კი მაინცდამაინც მოტივაცია არ ეტყობოდა. გოლის გატანას ხანდახან წამებიც ჰყოფნის. სწორედ ეს დაამტკიცა ბოლო წამებზე სუარესი-ჯერარდის დუეტმა. კაპიტანმა ბურთი საკუთარ ნახევარზე ჩაჭრა, მეტოქის საჯარიმომდე ირბინა და თანაგუნდელს გადააწოდა. ლუისმა მცველები ჩამოიშორა და პასი უკან დაუბრუნა. სტივის დარტყმისგან კარს უკვე აღარავინ იცავდა – 3:0.

### მატჩის შემდეგ

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *"ეს გამარჯვება საჩუქარი იყო ბიჭების თავდადებისთვის. ვფიქრობ, ყველამ კარგად ითამაშა. სპარინგი შეუდარებელი იყო, კარაგერი და კელიც მყარად იდგნენ. ყოჩაღ მათ. სტივენმა სულაც ჰეთთრიკი შეასრულა. მისთვის ეს ბედნიერება იყო, რადგან სეზონის დიდი ნაწილი ტრავმების გამო გაუცდა. რაც უნდა მოხდეს, არავის აქვს უფლება მის საფეხბურთო ღირსებებში ეჭვი შეიტანოს. მან მთელი კარიერა "ლივერპულს" მიუძღვნა და რა კალიბრის ვარსკვლავიც იყო, ბოლომდე იმად დარჩება".*

**სტივ ჯერარდი** (ლივერპული): *"იან რაში ჩემი კერპი იყო ბავშვობაში. ხშირად ვუყურებდი ხოლმე ვიდეოებს მისი მონაწილეობით. ვფიქრობ, მისი უძველესი მიღწევის გამეორება ჩემთვისაც განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ ჩვენი შედარება მაინც არალოგიკურია. ის სულ სხვა გაქანების ფეხბურთელი იყო".*

კონფლიქტი



ჰოვარდ ვებმა ფეხბურთელები ყვითელი ბარათებით ძლივს დააშოშმინა

# კაჭკაჭები ვან პერსის აკრიტიკებენ

"არსენალი"-"ნიუკასლის" მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ ლამის 90 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა სიტყვიერი დაპირისპირება **რობინ ვან პერსისა** და **ტიმ კრულს** შორის. მასპინძელთა თავდამსხმელი ყოველ ჯერზე, როცა "კაჭკაჭების" მეკარე დროის გაყვანას ცდილობდა, საშინლად ღიზიანდებოდა. მას შემდეგ კი, რაც ანგარიში 2:1 გახდა, ფეხბურთელებს შორის ლამის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. **ჰოვარდ ვებმა** ორივეს ყვითელი ბარათი უჩვენა და ისე დააშოშმინა. *"რობინთან მომხდარი ინციდენტის გამო იმედგაცრუებული ვარ, თუმცა არაფერი იქამდე გაუგონარი არ მომხდარა. ჩვენ პროფესიონალი სპორტსმენები ვართ და გვესმის, რომ რაც მოედანზე ხდება, იქვე მთავრდება. მით უფრო, რომ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ვთამაშობთ და როცა მინდორზე ვართ, მხოლოდ მოგებაზე ფიქრის დროლა გვრჩება,"* - განუცხადა ჟურნალისტებს თამაშის მეორე დღეს ტიმ კრულმა.

ამავე ინციდენტს გამოეხმაურა "ნიუკასლის" ცენტრალური მცველი **ფაბრისიო კოლოჩინიც**. არგენტინელის თქმით, მისთვის კონფლიქტის წარმოშობის რეალური მიზეზები უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა. მიზეზი მარტივია: ვან პერსი და კრული ერთმანეთთან ჰოლანდიურად ლაპარაკობდნენ: *"ისინი თავიანთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. მე მხოლოდ იმას ვხვდებოდი, რომ ეს მეგობრული საუბარი არ იყო. ტიმი ძალიან მშვიდი ადამიანია და რაკი მას ასეთი მწვავე რეაქცია ჰქონდა იმაზე, რაც მოისმინა, ჩემვის ეს უკვე ნიშნავს, რომ ვან პერსი ტყუოდა. მან მეორე გოლის აღნიშვნისას ფეარ პლეის ნესები ფეხქვეშ გათელა".*

მცირე კომენტარი გააკეთა **ხონას გუტიერესმაც**. *"დარწმუნებული ვარ, რომ ვან პერსი მართალი არ იქნებოდა. ის, რაც მან გააკეთა, ნამდვილად ზედმეტი იყო. მათ ხომ იმ მომენტისთვის თამაში უკვე მოგებული ჰქონდათ? არ მესმის ამ ადამიანის. როცა მოგების შემდეგ ასე იქცევი, ნიშნავს, რომ ცუდი პიროვნება ხარ. მე არ ვლაპარაკობ ვან პერსიზე, როგორც ფეხბურთელზე. ხომ ნახეთ, მას დაწყნარებისკენ თანაგუნდელებიც კი მოუწოდებდნენ. კარგია, რომ ტიმი სიმშვიდეს ბოლომდე ინარჩუნებდა,"* - უთხრა მან ESPN-ს.

ჩელსი

# ტაიმსი: გვარდიოლა არ იქნება

"ბარსელონაში" ჯერ კიდევ დარწმუნებულები არიან, რომ **პეპ გვარდიოლა** დათანხმდება კლუბთან ახალ ერთწლიან ხელშეკრულებას და ამით დაასამარებს "ჩელსის" ოცნებას, რომ ის **ანდრე ვილაშ ბოაშის** მემკვიდრედ დანიშნოს. კატალონიელებს სჯერათ, რომ ეს უახლოეს დღეებშიც კი შეიძლება მოხდეს. აი, რა თქვა "ბარსას" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლეს ვილარუბიმ** პრესკონფერენციაზე: *"პეპმა იცის, რომ აქ ის სახლშია და მას მთელი "ბარსელონა" გვერდში უდგას. ყველაფერი კარგად დამთავრდება. პეპი აუცილებლად განაგრძობს ჩვენთან მუშაობას, რადგან ესმის, თუ რამხელა პასუხისმგებლობა აქვს ნაკისრი".* თავის მხრივ "ჩელსიმაც" დაზვერა სიტუაცია გვარდიოლასთან დაკავშირებით, თუმცა ჯერ კონკრეტული პასუხი არ მიუღია.

**ლიონელ მესის** მიაჩნია, რომ რაც უნდა ძალიან მოვინდომოთ, გვარდიოლას გადაფასება შეუძლებელიაო: *"პეპი კლუბისთვის, რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე ნებისმიერი ფეხბურთელი. მან მოსვლის დღიდან ყველაფერი შეცვალა ჩვენ ირგვლივ. ჩემთვის გვარდიოლა საკლუბო პროექტების განუყოფელი ნაწილია. იმედი გვაქვს, რომ ის დარჩება, თუმცა რას გადაწყვეტს, ეს მხოლოდ მისი საქმეა. გულსატკენი იქნება, თუკი საქმის გაგრძელება მის გარეშე მოგვიწევს".*

როგორც ჩანს, ვილაშ ბოაშის მემკვიდრეთა სია კიდევ ერთით შეთხელდა. "რეალის" თავდამსხმელის **კრიშტიანო რონალდოს** თქმით, ის დარწმუნებულია, რომ **ჟოზე მოურინიო** "სანტიაგო ბერნაბეუზე" მომდევნო სეზონშიც დარჩება. პორტუგალიელ სპეციალისტს ლონდონში დაბრუნებას უკვე დიდი ხანია უწინასწარმეტყველებდნენ. რონალდომ შეკითხვაზე, დამოკიდებულია თუ არა მოუს "რეალში" დარჩენა ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირში გამარჯვებაზე, მოკლედ უპასუხა: "არა"!

თუმცა საბოლოოდ ვინც უნდა მივიდეს "ჩელსიში" სამუშაოდ, შეუძლია ნაკლებად ინერვიულოს გუნდში ვეტერანი ფეხბურთელების ძალაუფლებაზე. **ხუან მატამ** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომ ვილაშ ბოაშის თანამდებობიდან დათხოვნა ფეხბურთელების მიერ გასახდელში დაიგეგმა. *"არც ერთ ფეხბურთელს მსგავსი რამ არ ჩაუდენია და მწვრთნელის გაშვება ამ გზით არ უფიქრია. ის ჩვენი მწვრთნელი იყო და ჩვენ მისი ბოლომდე გვჯეროდა. მას მართლა კარგი იდეები ჰქონდა. კლუბში დიდი ცვლილებების დანერგვა სურდა, მაგრამ ამის გამო მას მტრად არავინ გადაკიდებია. თუმცა რამდენად იყო ეს იდეები მორგებული "ჩელსის", სხვა საქმეა. მას იმ ჩანაფიქრების განხორციელება სურდა, რომლებზეც ის ჯერ კიდევ "პორტუში" ფიქრობდა. მეტოქეზე მაქსიმალური ზეწოლა, ბურთის ართმევა და გამუდმებული შეტევები არ არის "ჩელსის" სტილი. ჩვენც შემტევი, თუმცა უფრო ძალისმიერი გუნდი ვართ. შესაძლოა, ის რასაც მწვრთნელი აკეთებდა, იდეების თავზე მოხვევა ვუწოდოთ, რომელსაც გუნდი ვერა და ვერ შეეგუა,"* - ამბობს ესპანელი.

გარი ჯეიკობი. ტაიმსი



გვარდიოლა არსადაც არ წავაო, გვარწმუნებს ბარსელონას ვიცე-პრეზიდენტი

ამბები

## პოლდის შემოწმება გაიარა

"დეილი სტარის" ინფორმაციით, "კიოლნისა" და გერმანიის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელი **ლუკას პოდოლსკი** ორშაბათს ლონდონში იყო, სადაც "არსენალის" ბაზაზე სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. როდის შედგება კონტრაქტზე ხელის მოწერა, ჯერჯერობით უცნობია. ასე რომ, "ბილდისა" და "კიკერის" მიერ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გავრცელებული ინფორმაცია, კლუბებს შორის ტრანსფერის თაობაზე შეთანხმება მიღწეულიაო, დადასტურდა. გერმანული მხარე ფეხბურთელის სანაცვლოდ 10,9 მილიონ ფუნტს, ანუ ზუსტად 13,09 მილიონ ევროს მიიღებს.



## ჩელსიმ ფეხბურთელი დაითხოვა

მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ "ჩელსიში" მცირე სკანდალი მოხდა. დეტალების გარკვევა თავის თავზე კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **რონი გურლეიმ** აიღო. საქმე იმაში იყო, რომ მაშინ, როცა გასახდელში რეზერვისტები იმყოფებოდნენ, იქ ორმა ადამიანმა ე.წ. "საკვამლურები" შეყარა (მკითხველს განვუმარტავთ, რომ Smoke Bomb-ის უკეთესი ქართული დასახელება ვერ მოვიფიქრეთ), რამაც ფეხბურთელებს შორის მცირე არეულობა გამოიწვია. მართალია, არავინ დაზარალებულა, მაგრამ საქმისადმი ძალიან არასერიოზული მიდგომის გამო კლუბმა ხულიგნების დასჯა გადაწყვიტა. გავიდა რამდენიმე დღე და გაირკვა, რომ იდეის ავტორები და განმხორციელებლები **ჯეიკობ მელისი** და **ბილი კლიფორდი** ყოფილან. "ჩელსიმ" პირველს კონტრაქტი გაუუქმა, მეორის ბედი კი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

რომა

# ლუის ენრიკე: ნეტა, იტალიაში მეთამაშა

## მგლებს ლიდერები დაუშავდათ


ლუის ენრიკე

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რომას' ლაზარეთი ერთდროულად ორი ფეხბურთელით შეივსო და თანაც რა ფეხბურთელებით - ლაპარაკია ფრანჩესკო ტოტისა და დანიელე დე როსიზე. დედაქალაქური გუნდის ლიდერები ვარჯიშზე პრაქტიკულად ერთდროულად დაშავდნენ და წვრთნის გაგრძელება ველარ შეძლეს. ჯერჯერობით, უცნობია, თუ რამდენ ხანს მოუწევთ უქმობა "ჯალოროსის" სიმბოლოებს - უახლოეს პერიოდში მათ დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდებათ და საბოლოო დიაგნოზიც გაცხადდება. ამ მოკლე ინფორმაციის შემდეგ კი სიტყვა ლუის ენრიკეს უნდა გადავცეთ, რომელიც აპენინელ ჟურნალისტებს არაერთ საინტერესო თემაზე ესაუბრა და მათ შორის, ლიდერთა დაშავების შესახებ გააკეთა კომენტარი. მოვუსმინოთ ესპანელ სპეციალისტს...

### ტრავმები

ვერ ვიტყვი, რომ ამ სეზონში სხვებზე მეტად დავიჩაგრეთ, მაგრამ ტრავმირებულ ფეხბურთელთა ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. თუნდაც პაბლო ოსვალდო ავიღოთ, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იყო როცა დაშავდა და ამან დათვური სამსახური გაგვიწია. განსაკუთრებული პრობლემები დაცვის ხაზში გვექმნება, რის გამოც ხშირად ნახევარმცველებს უხდებათ უკან დახევა. დანიელე დე როსიმ არაერთხელ შეასრულა ცენტრალური მცველის ფუნქცია, როდრიგო ტადეი და სიმონე პეროტა კი რამდენჯერმე ფლანგებზე გამოვიყენე.

ფრანჩესკო ტოტის დაშავებამ ძალიან შემაშფოთა, თუმცა მინდორი თავისი ფეხით დატოვა და დიდი იმედი მაქვს, რომ სერიოზული არაფერია. იგივე შემიძლია ვთქვა დე როსიზე, რომელიც გუნდისთვის შეუცვლელი მოთამაშეა. საერთოდ, გრძელი სათადარიგოთა სკამით ვერ დავიკვეხნით და შესაბამისად, თითოეული ფეხბურთელი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია.

### მიზანი

ჩემპიონთა ლიგის ზონიდან შვიდი ქულა და სამი საფეხური გვაშორებს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ჯობია რეალისტები ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ სამეულში მოხვედრის შანსი არცთუ დიდი გვაქვს. ჩვენი მიზანი მიმდინარე სეზონს სცილდება და ამიტომ, სატურნირო ცხრილსა და კონკრეტულ ადგილებზე საუბარი გამიჭირდება. ევროპული ფეხბურთის გრანდს ჩავუყარეთ საფუძველი და მჯერა, რომ ამ რთულ გზას უმოკლეს დროში გავივლით. სწორედ ამიტომ გავაკეთეთ აქცენტი ახალგაზრდებზე და სწორედ ამიტომ არ იქნება ტრაგედია, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოვიპოვებთ.

რომში დიდი ხნით ჩამოვედი და აქედან წასვლა ყველაზე რთულ მომენტშიც კი არ მიფიქრია. ასეთი მომენტები კი უკვე იყო და მაგალითის მოყვანაც შეიძლება - როდესაც ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან ზედიზედ მეორეჯერ აგებ, შეიძლება ამან საბოლოოდ გაგტეხოს... თუმცა, ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს და ემოციებს ვერ ავყვებით.

### რომაული დერბი

ეს არის განსაკუთრებული მატჩი, რომლის მსგავსიც მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. არაერთხელ მითამაშია ესპანურ ელ კლასიკოში და თქმა არ სჭირდება, რომ „ბარსა“-“რეალი“ ყველასგან გამორჩეულია, მაგრამ თუ დამიჯერებთ, რომაულ დერბიში მონაწილეობა კიდევ უფრო დიდ წნეხთან არის დაკავშირებული. ქალაქში სრულიად არანორმალური ატმოსფეროა და ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ მარცხს სიკვდილი სჯობია. ანუ, მე უკვე ორჯერ ვინატრე სიკვდილი, მაგრამ საბედნიეროდ, ორჯერვე გადავრჩი.

კარგად ვიცი, რომ ჩვენი გულშემატკივრებისთვის დერბიში მარცხი განსაკუთრებულად მტკივნეულია - ამიტომ, მომავალ „დერბი დელა კაპიტალეს“ აქედანვე სულმოუთქმელად ველოდები. კარგი იქნება თუ სამომავლოდ მსაჯები ასე უხეშად აღარ ჩაერევიან დერბის მსვლელობაში და ძლიერი ღირსეულ ბრძოლაში გამოვლინდება.

### კალჩო

როდესაც სათადარიგოთა სკამიდან სერია A-ს მატჩებს ვუყურებ, გული მწყდება, რომ იტალიაში ფეხბურთი არასდროს მითამაშია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუ აქ ფეხბურთელი წარმატებით ასპარეზობს, მას არც სხვაგან გაუჭირდება თავის გამოჩენა. რა თქმა უნდა, ყოფილა ასეთი შემთხვევები, მაგრამ ძალიან იშვიათად და ეს სრულიად ბუნებრივია. განსაკუთრებით თავდამსხმელებისთვისაა თამაში რთული, რადგან სერია A-ს აბსოლუტურად ყველა გუნდი თავს შესანიშნავად იცავს. სიამოვნებით გამოვცდიდი თავს აპენინებზე ფეხბურთელის რანგში და გული მწყდება, რომ თავის დროზე, ამის საშუალება არ მომეცა.

მილანი

# კორიერე: მონტოლივო მილანელია

## გალიანი: ტრანსფერებზე ზაფხულში ვიფიქრებთ

გუშინ, "კორიერე დელო სპორტმა" უკვე ათასჯერ ნავარაუდები და შესაბამისად, მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან „ფიორენტინას" 27 წლის ნახევარმცველი **რიკარდო მონტოლივო** „მილანში“ იასპარეზებს. იტალიის ნაკრების შუახაზელს ფლორენციულ კლუბთან სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება კონტრაქტი და თავისუფალი აგენტის სტატუსს იღებს. შესაბამისად, იქ გააგრძელებს კარიერას, საითაც გული გაუწევს. გავრცელებული ცნობის თანახმად, რიკარდო სწორედ „როსონერის“ მესვეურებს შეუთანხმდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამწლიან ხელშეკრულებასაც გამოჰკრავს ხელს. ეს ამბავი, როგორც შემდგარი ფაქტი, ისე გავრცელდა – ამან კი „მილანის“ მესვეურები გააკვირვა, რაც ასეთ დროს ჩვეულებრივი ამბავია. გუშინვე, ჟურნალისტებს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან გავრცელდა ასეთი ინფორმაცია. მონტოლივო შესანიშნავი ფეხბურთელია და ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ზაფხულში მის გადაბირებაზე ვიფიქროთ, მაგრამ ამ ეტაპზე არანაირი შეთანხმება არ შემდგარა. სატრანსფერო საკითხებზე სეზონის დასრულების შემდეგ ვიზრუნებთ, დღეს კი ვინმეს გადაბირებაზე საუბარი ნაადრევია“.*


რიკარდო მონტოლივო

მოსაზრება


მარჩელო ლიპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარჩელო ლიპი: მილანი ფავორიტია

## მაესტრომ იუვეც გაამხნევა

**მარჩელო ლიპის** შეთავაზებები ნამდვილად არ აკლია, მაგრამ როგორც ჩანს, თავს უქმადაც შესანიშნავად გრძნობს და არსად წასვლის სურვილი არ აქვს. არის თავის რანჩოზე რეჯიო კალაბრიაში და პერიოდულად ჟურნალისტებს თავის შთაბეჭდილებებსა თუ მოსაზრებებს უზიარებს. გუშინ, მარჩელო "რაი სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა და სერია A-ში არსებული ვითარება გააანალიზა. მოვუსმინოთ მაესტროს:

*"ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უპირატესობას "იუვენტუსს" ვანიჭებდი, მაგრამ დღეს ფავორიტად "მილანი" მიმაჩნია. ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს, მაშინ "იუვე" იყო ლიდერი, დღეს კი "როსონერია". როდესაც ცხრილში პირველი ადგილი გიკავია, მხოლოდ საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული და აღარ გიწევს იმაზე ნერვიულობა, როგორ ითამაშეს კონკურენტებმა. თუ "მილანი" დარჩენილ თამაშებში ქულათა მაქსიმუმს აიღებს, სკუდეტოც მას დარჩება და ბუნებრივია, რომ ფავორიტი სწორედ მასიმილიანო ალეგრის გუნდია. თუმცა, სეზონის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და არ გამოვრიცხავ, რომ ვითარება კიდევ შეიცვალოს. ერთი ფაქტია, დღეს 'მილანი" ყველაზე მაღალი ხარისხის ფეხბურთს აჩვენებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ალეგრის ტრავმების გამო ნახევარი გუნდი აკლია".*

ლიპის კიდევ ერთხელ ჰკითხეს **ანტონიო კონტეს** შესახებ და კოლეგის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასება სთხოვეს: *"კონტემ ყველაზე მთავარი შეძლო, მან ერთ მუშტად შეკრა გუნდი და ერთი მიზნის ქვეშ გააერთიანა. ყოველთვის ამას ვიმეორებ, მთავარია, რომ გუნდი ერთსულოვანი იყოს და ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდეს. მართალია, ბოლო დროს ტურინელებს ფრეები დასჩემდათ და ყველაფერი ისე კარგად აღარ არის, როგორც იყო, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. "იუვეს" კონტეს თავკაცობით მთავარი თამაშები ჯერ კიდევ წინ აქვს და არა მხოლოდ ამ სეზონში, ზოგადად. "იუვეს" ასეთი აღმასვლა შესაძლოა თვითონ ფეხბურთელებისთვისაც მოულოდნელი იყო და რაღაც ეტაპზე ამან უკურეაქცია გამოიწვია – თუმცა, ეს დროებითია და დარწმუნებული ვარ, "ვეკია სენიორა" მალე დაიბრუნებს ოპტიმალურ ფორმას".*

ბოლოს, ლიპიმ იტალიური საკლუბო ფეხბურთის პრობლემებზე ისაუბრა და სერია A-ს მიერ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის დაკარგვაზე გაამახვილა ყურადღება. იტალიელმა ჟურნალისტმა ლიპის თავისივე კომენტარი გაახსენა, რომელიც მაესტრომ დაახლოებით ორი წლის წინ გააკეთა, როდესაც სერია A-ს ჯერ კიდევ ოთხი გუნდი გაჰყავდა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე – ჯერ სწორედ ის ძველი კომენტარი გავიხსენოთ და შემდეგ ახალსაც გავეცნოთ...

აი, რა თქვა დაახლოებით ორი წლის წინ მაესტრომ: *"სერია A-სა და ბუნდესლიგას შორის ძალიან პატარა სხვაობაა და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ ერთი საგზური დავკარგოთ. თუმცა, ეს შეიძლება დადებითადაც აისახოს ჩვენს ფეხბურთზე, ცოტა გამოვფხიზლდეთ და ევროპაექრობებს მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. ჩემპიონთა ლიგაზე ეს არ ითქმის, მაგრამ მეჩვენება, რომ ევროპის ლიგის თამაშებში სერია A-ს წარმომადგენლები ბოლომდე არ იხარჯებიან. არადა, სეზონის მსვლელობისას საშუალო იტალიური გუნდები გამალებით იბრძვიან ევროპის ლიგის საგზურის მოსაპოვებლად, მაშინ რაღა აზრი აქვს ასეთ ბრძოლას, თუ ტურნირში განახევრებული შემადგენლობით და ნახევარი ძალით უნდა ითამაშო? ამან კარგი არაფერი მოგვიტანა, როგორც ხედავთ, უეფას რეიტინგში პოზიციას ვკარგავთ და ეს პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს".*

აქვე, ახალი კომენტარი ამ მართლაც აქტუალურ საკითხზე: *"დიახ, მაშინ ვივარაუდე კიდეც, რომ ლიგის საგზურს აუცილებლად დავკარგავდით და სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. ძალიან ცუდია, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა – გერმანულ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაზე მთლიანობაში ვჯობნით, მაგრამ აი ევროპის ლიგას არა და არ დაადგა საშველი. მიმდინარე სეზონში ბევრი ვერაფრით დავიკვეხნით, მხოლოდ "უდინეზე" შემორჩა ამ ტურნირს და ისიც ახლოს არის გამოვარდნასთან. "ლაციო" მადრიდის "ატლეტიკოსთან" გაჩერდა და რომაელები იმით ინუგეშებდნენ თავს, რომ მათთვის პრიორიტეტული მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლდათ – კი, მაგრამ, რომ არა ასეთი წარუმატებელი ასპარეზობა ევროპის ლიგაზე, სერია A ისევ ოთხ გუნდს გაიყვანდა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე და "ლაციოს" ამოცანა დღეს ბევრად მარტივი იქნებოდა. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ეს კარგად უნდა გავითავისოთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ფიფა

# ინგლისური შურისძიება

ინგლისის პრემიერლიგის პრეზიდენტი **დეივ რიჩარდსმა** ორიოდე დღის წინ ყატარის დედაქალაქ დოჰაში საერთაშორისო პრესკონფერენციაში მონაწილეობდა, რომლის თემა სპორტი და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ღონისძიებები გახლდათ. მან თავის სიტყვაში კიდევ ერთხელ გაიხსენა ფიფასა და ინგლისური ფეხბურთის ხელმძღვანელთა დაპირისპირება, რომელიც მას მერე დაიწყო, რაც ციურიხში 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის არა ინგლისში, არამედ რუსეთში ჩატარება გადაწყვიტეს. აი, რა თქვა მან:

- ათეული წლების განმავლობაში სწორედ ინგლისი მართავდა მსოფლიო ფეხბურთს. ეს ჩვენ შევქმენით ფეხბურთის წესები და ვაჩუქეთ ის მსოფლიოს. შემდეგ მოვიდა ჩინოვნიკების ჯგუფი, რომელთაც ფიფა დაირქვეს და ჩვენ ის მოგვპარეს. შემდეგ ფუნქციონერთა კიდევ ერთი პატარა ჯგუფი მოგვადგა, ამჯერად უეფადან და რაც დაგვრჩა, იმის ნაწილი წაილეს. სერიოზულად თუ მივუდგებით, ინგლისი არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა. ამიტომ გახდა 2010 წლის დეკემბრის მოვლენები ამხელა იმედგაცრუების საფუძველი. ყველაზე მეტად გული იმის გამო გვეტკინა, რომ ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა განაცხადი შევიტანეთ, ფაქტობრივად, დარწმუნებულები ვიყავით საკუთარ გამარჯვებაში. შედეგად კი ისე მოხდა, რომ ციურიხის ოფისში მოგების მიზერული შანსიც კი არ დაგვიტოვეს.

რატომ არ გაგვაფრთხილეს, რომ არაფრის იმედი არ უნდა გვქონოდა? რატომ არ თქვეს გულწრფელად, რომ ფიფას ჩემპიონატის სადღაც აღმოსავლეთში ჩატარება სურდა? ჩვენ ჩვენს პრეზენტაციაში კოლოსალური თანხა, დაახლოებით 19 მილიონი ფუნტი დავხარჯეთ. ამ ფულის ჩადება ფეხბურთის განვითარებაში ჯობდა, ბავშვებს მაინც წაადგებოდათ. ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ასე მოხდებოდა, თორემ წამითაც კი რომ გვეეჭვა, ამხელა ფულს წყალში არ გადავყრიდით. განა ლოგიკური არ არის? წარმოიდგინეთ, თუკი ფიფა განაცხადებდა, რომ მისთვის პრიორიტეტული იყო მსოფლიო პირველობის სადღაც სპარსეთის ყურეში ჩატარება, განა ამერიკელებიც ჩვენსავით არ მოიქცეოდნენ და უაზრო ბრძოლას არ შეწყვეტდნენ? რატომ არ იყო განსაზღვრული ეს უმარტივესი წესები ყველასთვის? სამომავლოდ მსგავსი წესების დანერგვა ყველასთვის უკეთესი იქნება. ჩვენთვისაც და თავად ფეხბურთისთვისაც.


ინგლისური პრემიერლიგის პრეზიდენტი დეივ რიჩარდსი ფიფას აკრიტიკებს

**ლევან ბიბილაშვილი**

ვერდერი

# პისარო დაისაჯა

## კლაუდიოს პოგატეცისთვის სილის გარტყმა ორმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა


დისკუსია მომხდარის შემდეგ: ეს-ესაა, კლაუდიო პისარომ (შუაში) ემანუელ პოგატეცს (მარცხნივ) სახეში გაულაწუნა

კვირას „ვერდერის“ პერუელი გოლეადორი **კლაუდიო პისარო** ძალიან ცუდად მოიქცა – მან „ჰანოვერის“ მცველ **ემანუელ პოგატეცს** სილა გაარტყა! მართალია, ამ დღეებში პისარომ ბოდიში არაერთხელ მოიხადა და აღიარა, ძალიან სულელურად მოვიქეციო, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა: გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „ვერდერის“ ფორვარდს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და პრინციპში, პისაროს უნდა უხაროდეს, უფრო მძიმე სასჯელს რომ არ გამოჰკრა ხელი.

*„ისე, გულახდილად ვამბობ, რომ სილის გარტყმა არ მინდოდა. მე მხოლოდ პოგატეცის ხელის მოშორებას ვცდილობდი და საბოლოოდ სახეში არცთუ ძლიერი გარტყმა გამომივიდა. გასაგებია, რომ ეს ახლა არავის სჯერა, მაგრამ ეს ასეა,“* - თქვა გუშინ „ვერდერის“ თავდამსხმელმა.

თუკი „ვერდერი“ ამ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს (აზრი არც ექნება), პისარო უახლოეს ორ მატჩს გამოტოვებს და ბრემენელებს ვერც დორტმუნდში დაეხმარება და ვერც „აუგსბურგთან“. ეს **თომას შააფის** გუნდისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება, რადგან პერუელს მიმდინარე სეზონში 16 გოლი აქვს გატანილი.

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდის ბორუსია

# რობერტს ფული ეცოტავა

## ლევანდოვსკიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო

**რობერტ ლევანდოვსკის** დორტმუნდის „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ BVB-ს ხელმძღვანელები თავს მშვიდად ვერ გრძნობენ, რადგან პოლონელი თავდამსხმელი შესანიშნავ სეზონს ატარებს და მისთვის ახლავე ახალი ხელშეკრულების გაფორმება უნდათ. ეს ლოგიკურია, რადგან ლევანდოვსკის გადაბირების სურვილი უკვე არაერთმა გუნდმა გამოთქვა – მათ შორის მიუნხენის „ბაიერნმაც“. მართალია, პოლონელმა თქვა, დორტმუნდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და რეკორდმაისტერი არ მაინტერესებსო, მაგრამ „ბორუსიას“ ბოსები სერიოზულად დაშინდნენ.

გაირკვა, რომ „დორტმუნდმა“ ლევანდოვსკის ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელის მრჩეველი **ჩეზარი კუხარსკი** არ მალავს, რომ ახალი პირობებით იმედგაცრუებულია. მან პოლონურ პრესას განუცხადა, რომ დორტმუნდის შეფებისგან მიღებული წინადადება ფეხბურთელისთვის შეურაცხმყოფელია. მისი თქმით, რობერტი ახალ კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააფორმებს, თუ „დორტმუნდში“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება.

შეგახსენებთ, რომ რობერტს გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში 16 გოლი აქვს გატანილი და დორტმუნდელთა წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედია. თავდამსხმელის მრჩეველი ამბობს, თუ „ბორუსია“ ჩვენთვის უპირველესი პარტნიორია და რობერტი კლუბის გამოცვლაზე არ ფიქრობს, მაგრამ ასეთ პირობებს ნამდვილად არ დავთანხმდებით, სხვა მხრივ კი ახალი ხელშეკრულების გაფორმება ნამდვილად არ გვეჩქარებაო.


რობერტ ლევანდოვსკის ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 16 გოლი აქვს გატანილი

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### კოუტინიო, დარჩი ბარსელონაში

„ესპანიოლს“ სურს, ბრაზილიელი **ფილიპე კოუტინიო** იჯარის ვადის გასვლის მერეც შეინარჩუნოს. „ესპანიოლის“ დირექტორი **რამონ პლანიესი** ამბობს, რომ კოუტინიო გუნდს მომავალ სეზონშიც დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ბრაზილიელი შემტევი მილანის „ინტერის“ საკუთრებაა“ და სეზონის ბოლომდე იჯარით თამაშობს ბარსელონურ კლუბში. ტექნიკურმა გარემარბმა, რომელიც „ინტერში“ დაიჩაგრა, ლა ლიგაში თავი გამოიჩინა და „ესპანიოლის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. *„ჩვენ გვსურს კოუტინიოს შენარჩუნება. რა თქმა უნდა, საამისოდ „ინტერთან“ რთული მოლაპარაკება გველის, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია“*, - აცხადებს „ესპანიოლის“ დირექტორი.

### ჩავი მსაჯებს არ აბრალებს

„ბარსელონას“ ნახევარმცველმა **ჩავი ერნანდესმა** აღიარა, რომ „რეალთან“ 10-ქულიანი ჩამორჩენა არ არის არაობიექტური მსაჯობის ბრალი. კატალონიაში ბევრი მიიჩნევს, რომ „რეალს“ ხშირად ეხმარებიან მსაჯები და სწორედ ამის გამო ლიდერობს „სამეფო კლუბი“: „ჩვენ კლუბში არ ვლაპარაკობთ მსაჯობაზე. გვირჩევნია, თვითკრიტიკით შემოვიფარგლოთ - „რეალი“ იმიტომ გვისწრებს 10 ქულით, რომ წლეულს „ბარსელონა“ ისე კარგად ვერ თამაშობს, როგორც გასულ სეზონებში“, - განაცხადა ჩავიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩელსიმ ევროზღაპარი გაიგრძელა

**რეალი-ცსკა 4:1 (1:1)**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო – ხედირა, ჩაბი ალონსო – იოზილი (87. დიარა), კაკა (76. გრანერო), რონალდო – იგუაინი (69. ბენზემა).

**ცსკა (4-4-2):** ჩეპჩუგოვი – ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენნიკოვი – მუსა (60. ოლისე), ვერნბლუმი, ალდონინი (46. მამაევი), ტოშიჩი (81. ნეჩიდი) – ძაგოევი, დუმბია.

**გოლები:** 1:0 იგუაინი (26), 2:0 რონალდო (2:0), 3:0 ბენზემა (70), 3:1 ტოშიჩი (77), 4:1 რონალდო (90).

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო – ჩეპჩუგოვი, ვ. ბერეზუცკი, მუსა, მამაევი.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 12-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 70 000


ჩელსი-ნაპოლი

**ჩელსი-ნაპოლი 3:1 დ.დ. 4:1 (1:3)**

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი – ივანოვიჩი, დავიდ ლუიზი, ტერი (98. ბოსინგვა), კოული – ლამპარდი, ესიენი, რამირესი – სტარიჯი (63. ტორესი), დროგბა, მატა (95. მალუდა).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა (110. ვარგასი) – მაჯო (36. დოსენა), გარგანო, ინლერი, ცუნიგა – ჰამშიკი (106. პანდევი), ლავეცი - კავანი.

**გოლები:** 1:0 დროგბა (29), 2:0 ტერი (48), 2:1 ინლერი (55), 3:1 ლამპარდი (74-პენ.), 4:1 ივანოვიჩი (105).

**გაფრთხილება:** ლამპარდი, კოული – კანავარო, დოსენა, ინლერი, კამპანიარო.

**კუთხური:** 12-8; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 17-15 (8-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 45 000

თანამედროვე ფეხბურთში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა, მაგრამ მადრიდში რომ "რეალი" ცსკა-ს აჯობებდა, წინასწარ ვიცოდით და ეს ასეც მოხდა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა საკუთარი შესაძლებლობების ალბათ 50% გამოავლინა და მიუხედავად ამისა, მეტოქეს ოთხი ბურთი მიართვა. არმიელთა ერთი გოლი პრესტიჟის ამბავი გახლდათ და მეტი არაფერი. **კრიშტიანო რონალდომ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი **გონსალო იგუაინმა** და **ქარიმ ბენზემამ** შეაგდეს, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ მადრიდული გრანდის შეტევა ბრწყინვალე ფორმაშია... თუმცა, რატომ მარტო შეტევა? – მთლიანად "რეალია" მოწოდების სიმაღლეზე.

საოცრად დრამატული მატჩი ვიხილეთ ლონდონში, სადაც "ჩელსიმ" "ნაპოლი" დაამარცხა და ბევრისთვის მოულოდნელად, მეოთხედფინალში გაალწია. "არისტოკრატებმა" გადარეული ნეაპოლელები დამატებით დროში მოარჯულეს, გადამწყვეტი გოლი კი 105-ე წუთზე **ბრანისლავ ივანოვიჩმა** უძლიერესი დარტყმით გაიტანა. იქამდე კი იყო 3:1 – ნეაპოლელთაგან გოლი **გეკჰან ინლერმა** გაიტანა, მასპინძელთა რიგებში კი ვეტერანები გამოირჩნენ – დიახ, **ანდრე ვილაშ ბოაშის** მიერ ათვალწუნებული ვეტერანები: **დიდიე დროგბა, ჯონ ტერი** და **ფრენკ ლამპარდი;** ივანოვიჩი იქით იყოს და სწორედ ამ ტრიომ გადაწყვიტა მატჩის ბედი, **რობერტო დი მატეოს** კი ჩემპიონთა ლიგაზე ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა. "ჩელსი" მეოთხედფინალშია, "ნაპოლი" კი 4:1-ის მიუხედავად, თავაწეული ტოვებს ლიგის მიმდინარე გათამაშებას.

**ლაშა ნიკლაური**


რეალი-ცსკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ბრახ-ბრუხ, ბრახ-ბრუხ...

## მიუნხენში ჰორიზონტზე მიუნხენი გამოჩნდა

**ბაიერნი-ბაზელი 7:0 (0:1)**

7:1 „ჰოფენჰაიმთან", 7:0 „ბაზელთან" - ახლა კი მართლა თამამად უნდა ვთქვათ, რომ „ბაიერნი" დაბრუნდა. შესაბამისად, რეალური გახდა მიუნხენელთა ოცნებაც, ითამაშონ ფინალში, რომელიც მათ საკუთარ „ალიანს არენაზე" გაიმართება. რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგაში ასეთი სხვაობით აქამდე არასდროს მოეგო...

რაც შეეხება „ბაზელს": რომ არა ეს 0:7, შვეიცარიელები ჩემპიონთა ლიგას თავანეულები დატოვებდნენ, ამ სამარცხვინო, არასაფეხბურთო ანგარიშმა კი ჰაიკო ფოგელის გუნდის ყველა მიღწევა (მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედის" ჯგუფში ჩატოვებაც) გააბათილა.

### რეაქციები

**იუპ ჰაინკესი** („ბაიერნის" მწვრთნელი): *„მთელი კვირის განმავლობაში ვატყობდი, რომ ბიჭები ძალიან მონდომებულები იყვნენ და რომ „ბაზელს" აუცილებლად გავაგდებდით. ასეც მოხდა და თანაც, პირველიდან ბოლო წუთამდე აბსოლუტურად იდეალური ფეხბურთი ვითამაშეთ. სწორედ ეს არის „ბაიერნის" 100 პროცენტი."*

**ჰაიკო ფოგელი** („ბაზელის" მწვრთნელი): *„ასეთი ანგარიშით წაგება ჯოჯოხეთია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ეს დავიმსახურეთ. „ბაიერნმა" სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა."*

### TOP ფეხბურთელი

**მარიო გომესი (ბაიერნი)**

გასაგებია, რომ **მარიო გომესს** თანაგუნდელებმა საქმე ძალიან გაუადვილეს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში ოთხი გოლის გატანა ნებისმიერ შემთხვევაში გრანდიოზული მიღწევაა. „ჰოფენჰაიმთან" ჰეთ-თრიკი, „ბაზელთან" პოკერი - „ბაიერნის" გოლეადორმა საგოლე ალღო თავიდან აღმოაჩინა. გომესს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების 7 მატჩში 10 გოლი აქვს გატანილი.

### FLOP ფეხბურთელი

**პარკი (ბაზელი)**

„ბაზელის" ყველა ფეხბურთელმა ცუდად ითამაშა, განსაკუთრებით კი კორეელი შერცხვა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ **პარკს** მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ ეს ალიბად არ გამოადგება. მან პირველ ტაიმში **არიენ რობენს** ვერაფერი მოუხერხა და ყველა გადამწყვეტი ორთაბრძოლა წააგო. მეორე ნახევარში ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია.




### ტაქტიკა-სტრატეგია

ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** მოედანზე ზუსტად ის შემადგენლობა გაიყვანა, რომლითაც შაბათს „ჰოფენჰაიმიც" გაანადგურა. ამრიგად, „დონ იუპმა" ახალგამოჯანმრთელებული **ბასტიან შვაინშტაიგერი** კვლავ სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა. შვეიცარიელებს პარკი დაუბრუნდათ. „ბაზელმა" რეკორდმაისტერის 4-2-3-1-ს კლასიკური 4-4-2 დაუპირისპირა.

### ანალიზი

მიუნხენელებს დიდი დრო არ დასჭირდათ იმისათვის, რომ თავიანთი თამაში ეპოვათ. მართალია, შვეიცარიული კლუბი რეკორდმაისტერს პირველ წუთებში გაცილებით მედგრად ებრძოდა, ვიდრე „ჰოფენჰაიმი" შაბათს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰაინკესის შეგირდებს მაინც შეექმნათ საგოლე მომენტები და რობენმა ანგარიში მესამე მცდელობისას გახსნა.

თუკი პირველ მატჩში ბავარიელები ინერტულები იყვნენ და ცოტას მოძრაობდნენ, ამჯერად რადიკალურად განსხვავებული, გაცილებით მონდომებული და ეფექტური „ბაიერნი" ვნახეთ. შესამჩნევი იყო ისიც, რომ მიუნხენური გრანდის ფლანგის მცველები და ნახევარმცველები ამჯერად უკვე ძალიან კარგად კომბინირებდნენ: მარჯვნივ **ლამისა** და რობენის წყვილი იდგა მოწოდების სიმაღლეზე, მარცხნივ კი **ალაბა** აზღვევდა **რიბერის** იდეალურად. მართალია, ლამს მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაში არ უყვარს, მაგრამ ფაქტია, რომ რობენს გაცილებით უკეთ უგებს, ვიდრე **რაფინია**. ფილიპი ხშირად ერთვებოდა შეტევაში, რობენს ასწრებდა და ყოველთვის მინიმუმ ერთი მოწინააღმდეგე მიჰყავდა, რითაც ჰოლანდიელს მარწუხებიდან ათავისუფლებდა. რობენი კი დერეფნებს ცივსისხლიანად იყენებდა.

„ბაზელის" ტაქტიკა ფურცელზე 4-4-2 იყო, პრაქტიკაში კი 4-1-4-1 გამოვიდა, რადგან **ალექსანდერ ფრაიც** უკან იხევდა. ზოგადად „ბაზელი" ზედმეტად უკან იდგა, წინ კი ეულად და შესაბამისად უმოქმედოდ რჩებოდა აყლაყუდა ცენტრფორვარდი **მარკო შტრელერი**. როცა შვეიცარიელები გათამამდნენ და მეტი მოინდომეს, „ბაიერნმა" მაშინვე მეორე გოლი გაიტანა და მალე მესამეც მიაყოლა, რითაც თამაშისა და ზოგადად ამ დუელის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

შესაბამისად, მეორე ტაიმი უკვე მხოლოდ გართობა გახლდათ – ეს „ბაიერნისთვის", თორემ „ბაზელი" ზუსტად ისე იტანჯებოდა, როგორც შაბათს „ჰოფენჰაიმი". მიუნხენელებმა მეოთხე გოლი სწრაფადვე გაიტანეს, რის შემდეგაც „ბაზელიც" მცველებმა თეთრი დროშები ააფრიალეს, რათა მარიო გომესს გოლების რაოდენობა კიდევ გაეზარდა. „ბაიერნი" კი ხომ იცით, როგორი გუნდია – იყნოსეს რა, რომ მეტოქე განადგურებული იყო, მიუნხენელებმა უფრო მეტად მოინდომეს და შვეიცარიელები ბოლომდე ჩაქოლეს.

### დასკვნა

მორიგი არასაფეხბურთო ანგარიში ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ ესეც აბსოლუტურად ლოგიკური და დამსახურებული იყო. ჩვენ კი უბრალოდ გული დაგვწყდა: „ბაზელმა" „მანჩესტერ იუნაიტედი" ჯგუფში იმიტომ ჩატოვა, რომ მერე ასე შერცხვენილიყო?

# ...და უცებ საიდანღაც გამოტყვრა ბრანდაო!

## დეშამი: იტალიური კლუბი იტალიურად გავაგდეთ!

**ინტერი-მარსელი 2:1 (0:1)**

უიღბლობაზე ლაპარაკი, შესაძლოა, უადგილოა, მაგრამ ფაქტია, რომ „ინტერს" ძალიან ცოტა დააკლდა ჯერ კიდევ პირველ მატჩში ფრის შენარჩუნებამდე, ახლა კი თამაშის დამატებით დროში გადაყვანამდე. თუკი სამი კვირის წინ, „ველოდრომზე" გამართულ შეხვედრაში **ანდრე აიუმ** 93-ე წუთზე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა, ამჯერად „მარსელის" გმირად **ბრანდაო** მოევლინა, რომელმაც 91-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა და ცხადი გახადა, რომ მილანელები მეოთხედფინალში ველარ გავიდოდნენ, რადგან **კლაუდიო რანიერის** გუნდს ორი გოლის გასატანად, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დრო აღარ რჩებოდა. მართალია, პაცინიმ 95-ე წუთზე პენალტით „ინტერი" მაინც გაიყვანა წინ, მაგრამ ამით მხოლოდ ის მოხდა, რომ „ინტერმა" ჩემპიონთა ლიგაში 50-ე მატჩი მოიგო, მეოთხედფინალში კი „მარსელი" ითამაშებს.

### რეაქციები

**კლაუდიო რანიერი** („ინტერის" მწვრთნელი): *„დღევანდელი უიღბლობა „ინტერის" მთელი სეზონის უიღბლობის სარკეა. ისევე, როგორც პირველ მატჩში, „მარსელს" დღესაც ვაჯობეთ, მაგრამ მაინც გამოვვარდით. ორი მატჩის ჯამში მეტოქემ კარში ზუსტად მხოლოდ სამჯერ დაგვირტყა, ჩვენ კი რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ფეხბურთი ასეთია: ვისაც გოლები გააქვს, ის იგებს. „მარსელი" ზოგადად კომპლიმენტებს იმსახურებს. სამწუხაროდ, დღეს „ინტერმა" თავისი მაქსიმუმი აჩვენა, ამ ეტაპზე ამაზე მეტი მართლა არ შეგვიძლია. თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ 20 წუთის შემდეგ ეს კარგი ფეხბურთიც დამთავრდა. ახლა ჩვენი მიზანი იტალიის ჩემპიონატში უკეთ თამაშია."*

**დიდიე დეშამი** („მარსელის" მწვრთნელი): *„ძალიან გაგვიჭირდა, ბოლოს კი გაგვიმართლა. როცა ბრანდაო მოედანზე შემყავდა, შემპირდა, ერთ გოლს აუცილებლად გავიტანო და მართლაც სასწაული მოახდინა. საერთო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიურ კლუბს იტალიურად მოვუგეთ."*



ბრანდაომ მარსელი მეოთხედფინალში გაიყვანა

### TOP ფეხბურთელი

**ნიკოლა ნ'კულუ (მარსელი)**

„მარსელის" ცენტრალურმა მცველმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. **ნ'კულუ** ბრწყინვალე იყო როგორც პოზიციურად, ისე ორთაბრძოლებშიც და შეტევებსაც უდიდესი თავდაჯერებით იწყებდა. მასთან ვერას გახდნენ ვერც **დიეგო მილიტო** და მით უმეტეს, ვერც **დიეგო ფორლანი**.

### FLOP ფეხბურთელი

**იუტო ნაგატომო (ინტერი)**

„ინტერის" მარცხენა მცველმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ოღონდ, უარყოფით ასპექტში. **ნაგატომო** არ იყო კონცენტრირებული და ხშირად უაზრო გადაწყვეტილებებს იღებდა. დაცვითი ფუნქციების შესრულების დროს ძალიან შეშინებული ჩანდა, შეტევაში კი ერთი ხეირიანი გარღვევა ან ჩაწოდებაც კი ვერ გვაჩვენა.

### ტაქტიკა-სტრატეგია

რანიერიმ ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა: **კივუს, კამბიასოსა** და **სარატეს** ნაცვლად, „ნერაძურის" სასტარტო თერთმეტეულში ნაგატომო, **პოლი** და **მილიტო** ვიხილეთ. „მარსელის" თავკაც **დიდიე დეშამს** კი **მბია** და **რემი** დაუბრუნდნენ, რომლებმაც ძირითადში **შეირუსა** და **ბრანდაოს** ადგილები დაიკავეს.

რანიერის ტაქტიკურად არაფერი შეუცვლია: „ინტერის" სქემა ისევ 4-3-1-2 გახლდათ, სადაც ნახევარდაცვაში თითქმის ყველაფერი **ვესლი სნეიდერის** კრეატივზე გახლდათ დამოკიდებული. დეშამმა კი ისევ ასე პოპულარული 4-2-3-1 აირჩია, ფლანგებზე **ამალფიტანო** და **ვალბუენა** დატვირთა, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი გამოჯანმრთელებული ლოიკ რემი.

### ანალიზი

შეხვედრის დასაწყისი „მარსელს" კარგს არაფერს უქადდა, რადგან მილანელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და დეშამის გუნდი გვარიანად დაწნეხეს. თავად განსაჯეთ: ათი წუთის შემდეგ შეიძლებოდა, ანგარიში უკვე 2:0 ყოფილიყო - „ნერაძურის" სასარგებლოდ. „ინტერი" განსაკუთრებით კარგად მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, სადაც **ხავიერ ძანეტი** და **მაიკონი** იდეალურად კომბინირებდნენ.

სადღაც 20 წუთის შემდეგ „მარსელი" გამოსწორდა და ველოდრომელთა რამდენიმე ხეირიანი იერიშიც ვნახეთ. რაც მთავარია, დეშამის გუნდი დაცვაში კომპაქტურად იდგა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში სნეიდერი, მილიტო და ფორლანი განსაკუთრებული მონდომებით არ გამოირჩეოდნენ.

მეორე ტაიმი გაცილებით ინერტულად დაიწყო და გუნდებს საკმაოდ დიდი ხანი დასჭირდათ იმისათვის, რომ აზრზე მოსულიყვნენ. ეს უფრო „ინტერისგან" გაგვიკვირდა, თორემ „მარსელს" არსად ეჩქარებოდა. „ნერაძურის" შეტევაში იდეებთან ერთად თითქოს კლასიც აკლდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო მას მერე გახდა, რაც სნეიდერი დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

„ინტერი" თითქოს მოთმინებით ელოდა თავის შანსს, რომელიც მილანელებს 75-ე წუთზელა მიეცათ და გამოიყენეს კიდეც: კუთხურის დროს მილიტომ ყველაზე ჭკვიანურად იმოქმედა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ „მარსელი" მხოლოდ იმასღა ცდილობდა, რომ თამაში როგორმე დამატებით დროში გადაეყვანა, თუმცა ვერც იმას დავიჩემებთ, რომ „ინტერს" ძალიან უნდოდა ძირითად დროში მეორე გოლის გატანა.

იმ დროს, როცა ყველამ იფიქრა, რომ დამატებითი ტაიმები გარდაუვალი იყო, შეცვლაზე შესულმა **ბრანდაომ** „ინტერის" მცველების უხეში შეცდომებით ისარგებლა და ყველასათვის მოულოდნელად წონასწორობა აღადგინა. მერე კი გამოცოცხლდნენ მილანელები და პენალტიც მოიპოვეს, რომელიც პაცინიმ გაიტანა, მაგრამ ცხადია, უკვე ზედმეტად გვიანი იყო.

### დასკვნა

„ინტერი" ჩემპიონთა ლიგასაც დაემშვიდობა და წესით, **მასიმო მორატის** რანიერის დღეები „ნერაძურის" მწვრთნელის პოსტზე დათვლილი უნდა ჰქონდეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# მარსელო ბიელსამ ისტორია ბოლომდე უნდა დაწეროს

## თავი ქუდში არავის აქვს, შანსიც ყველას დარჩა

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ბილბაო-მან. იუნაიტედი | 22:00 | (3:2) |
| ჰანოვერი-სტანდარდი | 22:00 | (2:2) |
| პსვ-ვალენსია | 22:00 | (2:4) |
| უდინეზე-ალკმაარი | 22:00 | (0:2) |
| ბეშიქთაში-ატლეტიკო | 00:05 | (1:3) |
| მან. სიტი-სპორტინგი | 00:05 | (0:1) |
| ოლიმპიაკოსი-მეტალისტი | 00:05 | (1:0) |
| შალკე-ტვენტე | 00:05 | (0:1) |

დღეს ევროპალიგის საპასუხო მერვედფინალური მატჩებია. პირველმა 8 დაპირისპირებამ აბსოლუტურად ვერც ერთ კითხვაზე ვერ გაგვცა პასუხი, ამიტომ ყველაფერი დღეს გადაწყდება. მართალია, ბილბაოს „ატლეტიკმა" „ოლდ ტრეფორდზე" ისტორიული გამარჯვება მოიპოვა (3:2), მაგრამ მხოლოდ უგუნური თუ ჩათვლის საქმეს მომთავრებულად, მეტოქე ხომ „მანჩესტერ იუნაიტედია". „ვალენსიამ" გოლთაცვენა დაატეხა თავს „ეინდჰოვენს", მაგრამ ბოლოსკენ ორიც გაუშვა და ამით ჰოლანდიელებს შანსი გაუჩინა. სხვა დაპირისპირებებშიც ბევრი საინტერესო გველის...

### მწვრთნელი შეცვალეს, ბედიც?

პსვ და „ვალენსია" შემტევი გუნდებია, თუმცა „გამშვებიც", რაც მათ კარგად დაამტკიცეს პირველ მატჩში (4:2). ახლა ჰოლანდიელებს, შესაძლოა, ორგოლიანი უპირატესობა წინსვლისთვის ეყოს. თუკი ესპანელთა დღევანდელ ფორმას გავითვალისწინებთ, ამაში სასწაული არაფერი იქნება. **უნაი ემერის** სკამი მას მერე შეერყა, რაც „მალიორკასთან" გუნდმა მე-2 ტაიმში გაუშვა ხელიდან გამარჯვება. როგორც ჩანს, **მანუელ ლორენტეს** აკმაყოფილებს „ვალენსიას" მე-3 ადგილი და გარანტირებული საჩემპიონთალიგო საგზური (ესპანეთში გიჟი უნდა იყო, რომ მწვრთნელს მეტი მოსთხოვო, სანამ „ბარსელონა" და „რეალი" არსებობენ), მაგრამ, როგორც კი ამას კითხვის ნიშანი დაესმება, ემერის ვალენსიური კარიერა დასრულდება. ამას დაერთო ისიც, რომ არგენტინელ ნახევარმცველ **ტინო კოსტას** სრულიად „შემთხვევით" „ტვიტერზე" მწვრთნელის საწინააღმდეგო აზრები „შემოეპოსტა".

**პირველი დაპირისპირება:** „ვალენსია" 4:0-ს იგებდა **ვიქტორ რუისის** პირველი გოლის (11), **სტანისლავ მანოლევის** ავტოგოლის (13), **რობერტო სოლდადოს** პენალტით (43) და **პაბლო პიატის** გოლის წყალობით, მაგრამ ბოლოს მოდუნდა და **ოლა ტოივონენმა** (83) და **ჯორჯინიო ვინალდუმმა** (90) დასაჯა - 4:2. პსვ-მ ამით 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა ევროსარბიელზე.

**ფაქტები**

■ სამი გოლიც და პსვ ევროპალიგაზე (და მის წინამორბედ უეფას თასზე) 200 გოლს გაიტანს.

■ პსვ-ისთვის ეს მატჩი ევროსარბიელზე 295-ე იქნება, პირველივე გოლი კი 450-ე.

■ პსვ-ს **ტიმ მატავჟი** ერთ-ერთი იმ ბომბარდირთაგანია, რომლის გუნდიც შემორჩენილია ტურნირში. სლოვენიელს 5 გოლი აქვს გატანილი.

■ ორშაბათს პსვ-მ მწვრთნელი შეცვალა, **ფრედ რუტენის** ნაცვლად სეზონის ბოლომდე **ფილიპ კოკუ** დაინიშნა. კოკუ პსვ-ს ყოფილი ფეხბურთელია და „ვალენსიასაც" კარგად იცნობს, რადგან 1998-2004 წლებში „ბარსელონაში" თამაშობდა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსვ:** *ტიტონი - მანოლევი, მარსელო, ბოუმა, პიეტერსი - ვინალდუმი, სტროოტმანი - ლაბიადი, ტოივონენი, მერტენსი - მატავჟი.*

**ვალენსია:** *გუაიტა - ბარაგანი, რამი, რუისი, მატიო - ალბელდა, ტ. კოსტა - ფეგული, ჟონასი, ალბა - ადურისი.*

**დისკვალიფიკაცია:** *სოლდადო (ვალ)*

**ტრავმა:** *კანალესი, ბანეგა, მადურო, მიგელი (ვალ)*



სტანისლავ მანოლევს საქმე გამოსასწორებლად აქვს, „მესტალიაზე" მან საკუთარ კარში გაიტანა, მისმა პსვ-მ კი 2:4 წააგო



კარლოს ტევესი და სერხიო აგუერო სიტის ვარჯიშზე



ასე ზეიმობდა ატლეტიკი ერთი კვირის წინ ოლდ ტრეფორდზე

### მწვრთნელთა დუელი: დებიუტანტი და რეკორდსმენი

სერ **ალექს ფერგიუსონისგან** შექებული **მარსელო ბიელსა** შეეცდება ბილბაოს „ატლეტიკი" 1977 წლის შემდეგ პირველად გაიყვანოს ევროთასების მეოთხედფინალში. ამისთვის მას მანჩესტერში კარგად დაწყებულის „სან მამესზე" დაგვირგვინება მართებს.

*„ყოველთვის მჯეროდა და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ კარგი შედეგების მისაღწევად საჭიროა კარგად თამაში. არასოდეს მიფიქრია წარმატების მიღწევის სხვა გზებზე. კარგად რომ ითამაშო, ბურთი უნდა აკონტროლო და შეუტიო",* - აცხადებს ბიელსა. მოკლედ, მისი საფეხბურთო ფილოსოფია მკვეთრად ჩამოყალიბებული და გასაგებია.

**პირველი დაპირისპირება: უეინ რუნიმ** (22) დააწინაურა „იუნაიტედი", მაგრამ **ფერნანდო ლორენტემ** (44) გაათანაბრა. მეორე ტაიმში **ოსკარ დე მარკოსმა** (71) და **იკერ მუნიაინმა** (90) ბასკები დააწინაურეს, მაგრამ სულ ბოლოს რუნიმ პენალტით 2:3 დააფიქსირა.

**ფაქტები**

■ „იუნაიტედის" ესპანელ მეკარე **დავიდ დე ხეას** სამჯერ აქვს ნათამაშები „ბილბაოს" წინააღმდეგ, როგორც „ატლეტიკოს" ფეხბურთელს.

■ „ბილბაოს" გამოცდილი სპეციალისტი მარსელო ბიელსა ევროთასებისთვის დებიუტანტია.

■ სერ ალექს ფერგიუსონი 25 წელია „იუნაიტედს" წვრთნის. სერი 70 წლისაა.

■ თუკი „იუნაიტედი" ევროპალიგას მოიგებს, ფერგიუსონი ისტორიაში მესამე მწვრთნელი გახდება სამივე ევროპული საკლუბო ტურნირის მომგები: **ჯოვანი ტრაპატონისა** და **უდო ლატეკის** შემდეგ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბილბაო:** *ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, აურტენეჩე - მარტინესი, ანდერი - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი - ლორენტე.*

**იუნაიტედი:** *დე ხეა - ჯონსი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა - ნანი, კერიკი, სქოულზი, იანგი - რუნი, უელბეკი.*

**ტრავმა:** *დე მარკოსი (?), ლორენტე (?) - სმოლინგი*

### ორი გუნდი, ერთი გაგება

გელზენკირხენში „ხუმარებს" ჰოლანდიური მინიმალური წაგების ამოქაჩვა მართებთ. ჰოლანდიაში თამაში, სხვათა შორის, ძალზე მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. ჰოლანდიელმა ფანებმა ბანერიც კი გადმოფინეს: *„ორი გუნდი, ორი სხვადასხვა ფერი, ერთი გაგება".* „შალკეს" სასარგებლოდ საუბრობს ის, რომ გუნდი ყოველთვის უმკლავდებოდა ჰოლანდიურ ბარიერს და ამ სეზონში შინ დაუმარცხებელია.

**პირველი დაპირისპირება:** „ტვენტემ" ლუკ დე იონგის პენალტის წყალობით 1:0 იმარჯვა შინ.

**ფაქტები**

■ უეფამ „შალკეს" ნება დართო ნახევარმცველი **ჯოელ მატიფი** ათამაშოს. არადა, მატიპი პირველ შეხვედრაში გააძევეს, თუმცა გერმანელებმა საჩივარი შეიტანეს, რომელმაც ნაყოფი გამოიღო.

■ „შალკეს" ჰოლანდიელი ფორვარდი **კლაას-იან ჰუნტელაარი** გათამაშებას შემორჩენილთა შორის ყველაზე მეტი გოლით იწონებს თავს - 6.

■ კარში ყველაზე ხშირად ამ სეზონში „ტვენტე" ურტყამს - 57.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე:** *ჰილდებრანდი - უჩიდა, მატიპი, პაპადოპულოსი, ფუხსი - ჰოგერი, ჯონსი - ობასი, რაული, დრაქსლერი - ჰუნტელაარი.*

**ტვენტე:** *მიჰაილოვი - კორნელისი, ვიზგერჰოფი, დუგლასი, როსალესი - ბრამა, ფერი, იანსენი - ჩადლი, დე იონგი, ჯონი.*

**ტრავმა:** *ჰიოვედესი, უნერშტალი, ფაჰრმანი - რენდლა, ლანდზაატი, ვერჰოეკი.*

### სტამბოლში სტუმრობა არ გეგონოთ გასეირნება

მადრიდული კლუბი მონადინებულია 2009/2010 წლების სეზონის წარმატება გაიმეოროს, როცა ახალდაქმნილი ევროპალიგის პირველი გამარჯვებული გახდა. **დიეგო სიმეონეს** გუნდის მერვედფინალური წინაღობა თურქული „ბეშიქთაშია".

*„სტამბოლში ჩასვლა ყოველთვის რთულია ევროპული კლუბებისთვის. აქ ბევრმა მოიტეხა კისერი. თამაში ისე უნდა დავიწყოთ, თითქოს, 0:0-ია",* - აფრთხილებს თავისიანებს მადრიდელთა თურქი ნახევარმცველი **არდა თურანი.**

**პირველი დაპირისპირება: ედუარდო სალვიომ** სამ წუთში ორჯერ გაიტანა (24, 27), ტაიმის დასრულებამდე **ადრიან ლოპესმა** (37) ერთიც დაამატა. რომ არა ყოფილი „როხიბლანკო" **სიმაო** (53), „შავი არწივები" მთლად უშანსოდ იქნებოდნენ - 3:1.

**ფაქტები**

■ „ატლეტიკოს" კოლუმბიელმა ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** 5 გოლი გაიტანა ამ სეზონში, 2-ით ნაკლები, ვიდრე ბომბარდირთა დავის ლიდერმა **მათიას სუარესმა**, რომლის გუნდიც აღარ ასპარეზობს.

■ ოთხი გოლიც და „ატლეტიკო" ევროთასებზე მე-400-ეს გაიტანს. არა გვგონია, ეს სტამბოლურ დაპირისპირებაში მოხდეს.

■ „ბეშიქთაშის" **მანუელ ფერნანდეშს** 5 საგოლე პასი დაუგროვდა.

■ „ბეშიქთაშის" ამ ფეხბურთელებს უთამაშიათ ესპანურ კლუბებში: სიმაო (ბარსელონა, ატლეტიკო), **რუშთუ რეჯბერი** (ბარსელონა), **მეჰმეთ აურელიო** (ბეტისი), მანუელ ფერნანდეში (ვალენსია) და **რიკარდო კვარეჟმა** (ბარსელონა).

■ „ბეშიქთაშის" პორტუგალიელი ნახევარმცველი **ჟულიო ალვეში** „ატლეტიკოს" ეკუთვნის და თურქულ კლუბში იჯარით თამაშობს.

■ „ატლეტიკოს" თურქ ნახევარმცველ არდა თურანს „გალათასარაის" რიგებში 9-ჯერ უთამაშია „ბეშიქთაშის" წინააღმდეგ და ერთი გოლიც გაუტანია.

■ „ატლეტიკოს" **დიეგო** და „ბეშიქთაშის" **უგო ალმეიდა** ერთ დროს „ვერდერის" შემტევ დუეტს ქმნიდნენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბეშიქთაში:** *გონენი - თორამანი, შივოკი, სიდნეი, კოიბაში - ფერნანდეში, აურელიო, უისალი - ჰოლოშკო, სიმაო - პეკტემეკი.*

**ატლეტიკო:** *კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - გაბი, სუარესი - სალვიო, ადრიან ლოპესი, კოკე - ფალკაო.*

**დისკვალიფიკაცია:** *ერნსტი (ბეშ)*

**ტრავმა:** *ტიაგო, დიეგო, ა. ლოპესი (ატლ)*

### ჰოლანდიიდან შორს

„უდინეზე" პირველი მატჩის შემდეგ 2-ბურთიანი სხვაობით აგებს „აზ ალკმაართან", მაგრამ იტალიური კლუბის საშინაო რეკორდი და ჰოლანდიურის ტრადიციულად ცუდი თამაში სტუმრად, გვაფიქრებინებს, რომ იტალიელებს შურისძიების კარგი შანსი აქვთ.

**პირველი დაპირისპირება:** ამერიკელი **ჟოზი ალტიდორის** ორი საგოლე პასით **მაარტენ მარტენსმა** (63) და **ერიკ ფალკენბურგმა** (84) იხეირეს, „ალკმაარმა" 2:0 მოიგო.

**ფაქტები**

■ ამ ეტაპზე გაღწეულთაგან „უდინეზეს" ყველაზე ნაკლები გოლი გააქვს - 9 გოლი ამდენივე მატჩში.

■ „უდინეზეს" მცველი **იოელ ეკსტრანდი** და აზ-ს ნახევარმცველი **რასმუს ელმი**, 2009 წელს შვედეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თანაგუნდელები იყვნენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**უდინეზე:** *ჰანდანოვიჩი - ფერონეტი, ბენატია, დომიცი - ეკსტრანდი, პინცი, პაციენცა, ასამოა, არმერო - ფლორო ფლორესი - დი ნატალე.*

**აზ:** *ალვარადო - მარსელისი, მოისანდერი, ვიერხევერი, პოულსენი - ელმი, ფალკენბურგი, მაჰერი - ბეერენსი, ალტიდორი, ჰოლმანი.*

**დისკვალიფიკაცია:** *დანილო (უდი)*

**ტრავმა:** *აგემიანგ-ბადუ, მაურისიო - ბენშოპი, მარტენსი*

### სიტიმ დაკარგული უნდა დაიბრუნოს

ამ გუნდების პირველ დაპირისპირებამდე „სიტის" ყველაფერი „ხუთიანზე" ჰქონდა აწყობილი, როგორც ევროპულ ასპარეზზე, ასევე ინგლისის ჩემპიონატში. წააგო **რობერტო მანჩინის** გუნდმა ლისაბონში და დაკარგა კიდევაც პირველი ადგილი ინგლისში.

**პირველი დაპირისპირება:** მცველი **ჩანდაო**, რომელიც ტრავმირებულ **ოგუჩი ონიეუს** ცვლიდა, ერთადერთი გოლის ავტორი შეიქნა, მან ქუსლით (51) გაუტანა „სიტის" - 1:0.

**ფაქტები**

■ პირველივე გოლი, რომელსაც სიტი (თუ) გაუშვებს იქნება 50-ე გაშვებული ბურთი ევროპალიგასა და მის წინამორბედ უეფას თასის გათამაშებაზე.

■ „სპორტინგის" თავკაცი **რიკარდოსა პინტუ** ფეხბურთელობისას **ჯეიმს მილნერს** და **ადამ ჯონსონს** მოედანზე შეხვედრია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სიტი:** *ჰარტი - რიჩარდსი, კ. ტურე, სავიჩი, კლიში - ნასრი, დე იონგი, მილნერი - ჯონსონი, ბალოტელი, სილვა.*

**სპორტინგი:** *პატრისიო - პერეირა, პოლგა, ჩანდაო, ინსუა - ფერნანდესი, კარიკო, იზმაილოვი, სუარესი, კაპელი - ვან ვოლფსვინკელი.*

**ტრავმა:** *კომპანი, ლესკოტი, საბალეტა, ბერი (სიტი)*

*კიდევ ორი დაპირისპირება პირეოსსა (საბერძნეთი) და ჰანოვერში (გერმანია) გაიმართება.*

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# საბოლოოდ გადაწყდა... თბილისი!

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ მოჭიდავეებს შეხვდა. ვინაიდან სამინისტროს შენობაში რემონტია, შეხვედრა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში შედგა. შეგახსენებთ, რომ ბელგრადში გამართულ ევროპის პირველობაზე ჩვენმა დელეგაციამ 6 მედალი მოიპოვა. აქედან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წილად 5 ჯილდო მოდის - 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო, ბერძენ-რომაელთა მონაგარი კი 1 ვერცხლია. „თავისუფალთაგან" ჩემპიონი დავით მარსაგიშვილი (84) გახდა, ბესიკ გოჩაშვილმა (55) და დავით ხუციშვილმა (74) ვერცხლი მოიპოვეს, მალხაზ ზარქუა (60) და დავით მოძმანაშვილი (120) მესამეზე გავიდნენ. ბერძენ-რომაელთაგან კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი მანუჩარ ცხადაია (74) გახდა.**


დავით მარსაგიშვილი

შეხვედრას ეს ბიჭებიც ესწრებოდნენ და ევროპაზე უმედლოდ დარჩენილი სხვა ფალავნებიც, თუმცა გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარ მოვლენად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) გარდამავალი დროშა იქცა, რომელიც ბელგრადში გადასცეს ჩვენს დელეგაციას, როგორც ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელს. დიახ, საკმაოდ ძლიერი კონკურენტების მიუხედავად, საბოლოოდ გადაწყდა, რომ კონტინენტის 2013 წლის პირველობას 19-24 მარტს თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (აგრეთვე ქალებში), თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. ეს ნის ტურნირთა კარგი ორგანიზების გამოცდილება უკვე აქვს - გემახსოვრებათ, 2009 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდული პირველობა გაიმართა და გახსნის მაშინდელ ეფექტურ ცერემონიალს ბევრი დიდი ტურნირი ვერ დაიკვეხნის. ვიმედოვნებთ, ამჯერად უფრო პრესტიჟულ შეჯიბრებას კიდევ უფრო ღირსეულად ჩავატარებთ, რაშიც მინისტრის სიტყვები გვაიმედებს: *„მინდა, ყველას მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს საქართველოში ჭიდაობის კიდევ უფრო პოპულარიზაციას. სახელმწიფომ, ფედერაციამ, თითეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ*


კახა გეწაძე (მარცხნივ) და ლადო ვარძელაშვილი

*ჩვენი ფედერაციისთვის ყველაზე მასშტაბური შეჯიბრება იქნება, რომელსაც, იმედია, ღირსეულად ვუმასპინძლებთ. ბევრად უკეთ, ვიდრე ეს ბელგრადმა შეძლო. იქ ადგილზე ორგანიზაცია როგორი იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ საინფორმაციო უზრუნველყოფა კრიტიკას ვერ უძლებდა - როცა ძიუდოში ან სპორტის უმრავლეს სახეობაში ინტერნეტით საშუალო დონის ტურნირების პირდაპირი რეპორტაჟიც კი ეწყობა, ბელგრადიდან ინფორმაციის მიღება ლამის შეუძლებელი იყო. მხოლოდ ფინალურ ბლოკს აჩვენებდნენ, აი, ინტერნეტში ბადეების განახლება კი ლამის „ქრისტეს პერანგის კერვად" აქციეს. „თავისუფალთა" ტურნირზე დღის ბოლოს მაინც აახლებდნენ ბადეებს, ბერძენ-რომაელებისაზე კი ჯერ ჩემპიონატის ოფიციალური საიტი გაითიშა, მერე - თვით FILA-სი და მხოლოდ კვირა სალამოს ჩაირთო, თორემ მკითხველს კვარცხლბეკს ვერც მივაწვდიდით. პირდაპირი რეპორტაჟების უზრუნველყოფა და საშეჯიბრო ბადეების განახლება უფრო FILA-ს ტექნიკური ჯგუფის პრეროგატივაა, თუმცა, იმედია, საკუთარი პრესტიჟისთვის მასპინძლებიც იზრუნებენ და მათ საიტის გამართულ მუშაობას მოსთხოვენ. მანამდე აუცილებელია, ინტერნეტის პრობლემა თავად სპორტის სასახლეში მოგვარდეს და ის პრესლოჟამდე მიიყვანონ. ასევე აუცილებელია პრესცენტრის მოწყობა, რათა მან გამართულად იმუშაოს. იმედია, ჩვენი ფედერაცია ამ პრობლემებს წარმატებით გადაჭრის. მით უფრო, რომ მაღალი დონის ტურნირთა კარგი ორგანიზების...*

*საიმისოდ, რომ ეს იყოს გამორჩეული ჩემპიონატი, ის მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება"* - განაცხადა ვარძელაშვილმა.

## ევროპამ მწვრთნელები დააიმედა

FILA-ს გარდამავალი დროშა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** წარმოგვიდგინა, რომელმაც პრესკონფერენცია გახსნა. მის გარდა სპორტსმენებს ვარძელაშვილი და ცნობილი ვეტერანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **გურამ სალარაძეც** მიესალმნენ. გეწაძემ და ვარძელაშვილმა „თავისუფალთა" კარგ გამოსვლასთან ერთად ბერძენ-რომაელთა მოკრძალებული შედეგიც აღნიშნეს, თუმცა ისიც დაამატეს, რომ ამ გუნდში მიღწეულზე მეტი პოტენციალი დაინახეს და სალიცენზიო ტურნირებს იმედიანად ხვდებიან. ახლა ზოგიერთმა თავის წონაში არ იჭიდავა,




თორემ შედეგი უკეთესი იქნებოდაო, თქვეს მათ. ხელმძღვანელთა გამოსვლებში გამოსჭვიოდა იმის იმედი, რომ ეს წარმატება სპორტსმენებისთვის სტიმული იქნება და ოლიმპიადისთვის გაათმაგებული შემართებით მოემზადებიან.

პრესკონფერენციის დასასრულს ნაკრებთა მთავარ მწვრთნელებს - **ზაზა თურმანიძესა** და **ბეგი დარჩიას** ვთხოვეთ, შეეფასებინათ ბელგრადში ჩვენი გუნდების გამოსვლები, რამდენად კარგად შეასრულეს შეგირდებმა დავალებები და რამდენად სრულყოფილად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.

ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა): *„გოჩაშვილის გამოსვლამ მოლოდინს გადააჭარბა, თუშიშვილისამ - ათჯერ მეტად. ზარქუამაც გაამართლა იმედები, 74-ში კარგი შედეგია, მაგრამ ხუციშვილს ცოტა მეტად რომ მოენდომებინა, უკეთესი მაჩვენებელი გვექნებოდა. ეტყობა, მეტოქის ავტორიტეტმა მაინც იმოქმედა - ცარგუში ხომ მსოფლიოს ორგზის ევროპის აწ უკვე სამგზის ჩემპიონია. 84-ში დავით მარსაგიშვილის ჩემპიონობა აუცილებელი და საჭირო იყო სამომავლოდ თავად სპორტსმენის კიდევ უფრო მეტი თავდაჯერებისთვის. ცხადია, გოგშელიძის გამოსვლით ოდნავადაც არ ვარ კმაყოფილი და მძიმე წონაშიც მოძმანაშვილს, მინიმუმ, ფინალი უნდა ეჭიდავა. სალიცენზიო ტურნირებზე ვინ იჭიდავებს, ამაზე ლაპარაკი ჯერ ცოტა ადრეა, ჩამოყალიბებული არ ვართ. თუმც, ვფიქრობ, რომ 55-ში პირველივე ტურნირზე უნდა მოვიპოვოთ ლიცენზია. ეს ძნელი იქნება, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საამისოდ".*

ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა): *„ყველაზე მეტად კმაყოფილი იმით ვარ, რომ 84-ში ვლადიმერ გეგეშიძის, 96-ში კი სოსო ჯაბიძის გამოსვლაში პოტენციალი დავინახე. მანუჩარ ცხადაია სხვა თემაა - ის 66-ის მოჭიდავეა და არა 74-ის, თუმცა მაინც გავიდა ფინალში ანუ მასაც დიდი შესაძლებლობები აქვს. ცოტა მიჭირს მძიმეწონოსან გურამ ფერსელიძის კრიტიკა, რადგან ძნელ ჯგუფში მოხვდა - მსოფლიოს ჩემპიონი და ამ შეჯიბრების მომავალი გამარჯვებული თურქი რიზა კაიალააპი და სომეხთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იური პატრიკეევი ჰყავდა, რომელიც ბელგრადში მესამეზე გავიდა. ქემალ ხარაბაძეც ახალ წონაში გამოდიოდა - 55-ში და რევაზ ლაშხიც ზედა წონაში - 66-ში ჭიდაობდა, თუმცა მისგან მაინც მეტს ველოდი. მინიმუმ - სამეულში შესვლას, მაგრამ მოსამზადებელ პერიოდში ჯანმრთელობის მხრივ გარკვეული პრობლემები მასაც ჰქონდა. ამის მიუხედავად, მაინც გამოვიყვანეთ, რადგან სტარტი სჭირდებოდა. მთლიანობაში, შედეგით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა გუნდის შესაძლებლობები გაიზარდა. ფინალს რაც შეეხება, ოქრო უნდა წამოგველო, რადგან ის შეხვედრა, ფაქტობრივად, მოგებული იყო. პირველი პერიოდი ჩვენსას მსაჯებმა წააგებინეს, მეორეს კი იგებდა და უპირატესობა არ უნდა დაეთმო. საწყენია, რომ ცხადაიას დონის ფალავანმა ასეთი შეცდომა დაუშვა.*

*სალიცენზიო ტურნირებზე ვინ სად იჭიდავებს, ამაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. თან ჩვენი შეჯიბრება აპრილის ბოლოს იწყება, მანამდე კი ანალოგიური ასპარეზობები პან-ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში ჩატარდება. იმათ შედეგებსაც გადავხედავთ და შემადგენლობის შერჩევისას გავითვალისწინებთ".*

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პროფესიული კრივი

# რიხით დაიწყო, ნოკაუტით დასრულდა

გუშინ ვერის ბაღში საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციის (პრეზიდენტი **გიორგი კანდელაკი**) დარბაზმა ტრადიციულ საერთაშორისო სარეიტინგო ორთაბრძოლებს უმასპინძლა. რინგზე ბორჯომის, გორის, ახალციხის, დუშეთის, ზუგდიდის, ვარიანის, გურჯაანის, თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენლებმა მოსინჯეს ძალები. პროფესიულ კრივში შედარებით ახალბედებმა ოთხრაუნდიანი პაექრობები გამართეს. განსაკუთრებით დებიუტანტებმა იყოჩაღეს. 56 კილოში **მერაბ შანთაძემ** (ახალციხე) პირველსავე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია **ღვთისო თითბერიას** (გორი), 62 კილოში **ზვიად გოგიას** (ზუგდიდი) ორი რაუნდიც არ დასჭირვებია **მიშიკო წითლანაძის** (ბორჯომი) დასამარცხებლად. მე-3 რაუნდში მიაღწიეს წარმატებას **ზურაბ ჭეჭელაშვილმა** (91 კგ, გორი) და **პაატა ადუაშვილმა** (81 კგ, ვარიანი) **გიგა ლაბაძესთან** (ქუთაისი) და **რუსლან ბადიშოვთან** (თბილისი) შეხვედრებისას. თუმცა უნდა ითქვას, რომ პროფესიულ რინგზე არც წაგებულებს ჰქონიათ დიდი გამოცდილება - თითო-ოროლა შეხვედრა თუ გაუმართავთ.


ბორის მდინარაძე (მარცხნივ), ვოლოდიმირ ბოროვსკი

გუშინდელი დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **როლანდ დიდმანიძე** (52 კგ, ბორჯომი) - **მიხეილ სალონინიკი** (გორი), 39:39, **არჩილ მჭედლიშვილი** (56, დუშეთი) - **თორნიკე თორთლაძე** (გორი) 38:40, **გიგა ნადირაძე** (64, ვარიანი) - **ტარიელ მამიტაშვილი** (გორი) 39:38, **გიორგი აბრამიშვილი** (64, გურჯაანი) - **გიორგი კოლოტაშვილი** (გორი) 39:39, **გიორგი კანდელაკი** (75, გორი) - **გიორგი ჯოჯუა** (თბილისი) 40:38, **რამაზ გოგიჩაშვილი** (69, ვარიანი) - **მერაბ გუკასიანი** (ბორჯომი): პირველსავე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გოგიჩაშვილმა გაიმარჯვა. **დავით ტლაშაძე** (66, გორი) - **ნოდარ რობაქიძე** (ბორჯომი) 40:37, **ომარ ციხელაშვილი** (75, დუშეთი) - **დავით გოგოხია** (თბილისი) 40:40, **ანზორ გამგებელი** (64, ვარიანი) - **მამუკა გუკასიანი** (ბორჯომი) 40:38, **ალექსანდრე ვახტანგიშვილი** (62, ვარიანი) - **მიხეილ ავაკიანი** (ბორჯომი) 60:57, **გარი აბაჯიანი** (69, თბილისი) - **ამბროსი სუთიძე** (ქუთაისი) 80:80, **მიხეილ ხუციშვილი** (72, ვარიანი) - **რობიზონ ომსარაშვილი** (გურჯაანი) 59:59.

ტურნირის მშვენება გამოდგა 72 კილოში ვარიანელი **ბორის მდინარაძისა** და ვინიცელი (უკრაინა) **ვოლოდიმირ ბოროვსკის** რვარაუნდიანი ორთაბრძოლა. მდინარაძეს გუშინდლამდე პროფესიულ რინგზე 21 შეხვედრა ჰქონდა გამართული, საიდანაც 20 მოიგო, მათ შორის - 16 ნოკაუტით და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. საგულისხმოა, რომ 22 წლის ვარიანელმა მოკრივემ შარშან UBO-ს (მსოფლიო კრივის ორგანიზაცია) ვერსიით 23-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის გადამწყვეტ პაექრობაში გორის სტადიონზე ტანზანიელ სელემან საიდს მე-4 რაუნდში ნოკაუტით სძლია. ბოროვსკი 35 წლისა. პროფესიულ რინგზე 68 შეხვედრა გამართა, საიდანაც 20 მოიგო (10 - ნოკაუტით), 46 წააგო (7 ნოკაუტით) და 2 ფრედ დაამთავრა. ვინიცელისთვის 69-ე პაექრობა უიღბლო გამოდგა, არადა, პირველ რაუნდში ყოჩაღად გამოიყურებოდა, ორთაბრძოლაც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მე-2 რაუნდიდან ინიციატივას თანდათან ჩვენებური დაეუფლა, მე-4 რაუნდში კი მდინარაძემ თავბრუდამხვევი დარტყმები მდინარესავით მიუშვა და მეტოქეც რინგზე გაიშხლართა, თუმცა რეფერის მე-10 დათვლამდე წამოდგომა მოასწრო და ორთაბრძოლაც განაგრძო. უცხო თვალიც იოლად შეამჩნევდა, ის უკვე ის ბოროვსკი აღარ იყო, შეხვედრა რომ რიხით დაიწყო. მე-7 რაუნდში ვარიანელი მოკრივის მორიგ სერიულ დარტყმებს ვინიცელმა ველარ გაუძლო და ნოკაუტში აღმოჩნდა.

„მართალია, ვადამდე დავამარცხე, მაგრამ ბოროვსკი, ვისაც კი დღემდე შევხვედრივარ, ყველაზე ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. მხოლოდ მე-7 რაუნდის დასაწყისში ვიგრძენი, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა. მიხარია, რომ ასეც მოხდა და გულშემატკივრები გავახარე. თვე-ნახევარში 23-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის დაცვა მომიწევს. ეს ორთაბრძოლა გორში გაიმართება. ყველაფერს ვიღონებ, რომ ქომაგები არ გავაწბილო", - მითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ბორის მდინარაძემ.

**გიორგი კანდელაკი:** "საინტერესო პაექრობები ვნახეთ. სასიამოვნოა, რომ პროფესიულ კრივში პერსპექტიული სპორტსმენები მოგვიმრავლდნენ, ამიტომაც სარეიტინგო შეხვედრები უფრო მიმზიდველი გახდა. ასე ვთქვათ, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ. რაც შეეხება ბორის მდინარაძეს, მან ჭკვიანურად იჩხუბა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. პერსპექტიულია და შრომისმოყვარე. მწამს, რომ ერთ წელიწადში იგი საერთაშორისო სარბიელზე უფრო ხმაურიანი წარმატებებით გაგვახარებს"...

გულშემატკივრებს აქვე შევახსენებთ, რომ 17 მარტს ქუთაისელი **ბექა სუთიძე** კიევში სარეიტინგო 10-რაუნდიან პაექრობას გამართავს უკრაინელ ვლადიმირ სპილკოსთან, ხოლო ვარიანელ **ლევან ჯომარდაშვილს** 14 აპრილს იტალიაში მოუწევს ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

## მჭედლიშვილი ვერცხლს დასჯერდა

პირველი უზბეკი დიდოსტატის - გიორგი აგზამოვის მე-6 საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც 110 მოჭადრაკე მონაწილეობდა გუშინ დამთავრდა ტაშკენტში. მთავარი პრიზის (5000 დოლარი. სულ საპრიზო ფონდი - 20.000$) უპირველეს მაძიებელთა შორის იყვნენ რუსი მაქსიმ ტუროვი და თბილისელი **მიხეილ მჭედლიშვილი.** გადამწყვეტ ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თეთრებით ქართველი დიდოსტატი თამაშობდა, მაგრამ გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწია და მეტოქეს დაუზავდა. ორივემ 7-7 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით პირველობა ტუროვს ერგო, მჭედლიშვილი მეორე ადგილზე გავიდა. ასევე, 7 ქულა მოაგროვა ვიორელ იორდაჩესკუს (მოლდოვა) მძლეველმა ანტონ ფილიპოვმა (უზბეკეთი), რომელიც მესამე ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი




რუბრიკას უძღვება
**ალექსანდრე ჯინორიძე**

### მშვიდობით, კაპიტანო!

ეს არის ქართული კინოდოკუმენტალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის **ოთარ გურგენიძის** ფილმი, რომელიც **შოთა იამანიძის** ხსოვნას ეძღვნება.

მიუხედავად მცირე მეტრაჟისა (ფილმი ერთნაწილიანია), მასში ამაღელვებლად და ოსტატურადა ნაჩვენები იმდროინდელი საქართველოს მთავარი საფეხბურთო გუნდის კაპიტნის სახე. „ბედნიერი კაპიტანი იყო შოთა, მისმა თაობამ ჩემპიონობა მოიპოვა (სსრკ-ის ჩემპიონობა იგულისხმება), რაც ჩვენ ვერ შევძელით". - ამბობს ფილმში **ბორის პაიჭაძე.** თუმც სურათის გმირის ბედი ტრაგიკულია, ფილმი უაღრესად ოპტიმისტურია და ამხნევებს მაყურებელ-გულშემატკივარს. აშკარად იგრძნობა ავტორთა ჩანაფიქრი უჩვენოს ყველას, რომ ასეთი „გორის" ადამიანი სპორტშიც და ნებისმიერ სხვა სფეროშიც, ყოველთვის ეყოლება ჩვენს ერს და ეს საწინდარია ჩვენი მომავალი გამარჯვებებისა.

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ქართული ფილმების პირველ ფესტივალზე, 1976 წელს ქუთაისში, სურათმა „მშვიდობით, კაპიტანო!" დოკუმენტური ფილმების ნომინაციაში მთავარი ჯილდო მოიპოვა და ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სპორტულ თემაზე გადაღებულმა ფილმმა, ქართული ფილმების ფესტივალზე ასეთ წარმატებას მიაღწია.

სცენარის ავტორი ა. ყლენტი.
რეჟისორი ო. გურგენიძე.
ოპერატორი გ. შიოშვილი
სტუდია „მემატიანე". 1973.



**სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი**

## იქნებ, დიდ ჩემპიონთან ივარგოს

გუშინ ოსაკაში, გაზაფხულის ბაშოს მე-4 დღეს სამივე ქართველმა წააგო. **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** ჯერაც არ მოუგია კომუსუბის რანგში, სუმოს ელიტის უმძიმესმა ფალავანმა **კისენოსატოსთან** წააგო. ქართველი ჩინებულად მიანვა მეტოქეს, მაგრამ „იშვიათმა ტალანტმა" კონტრშეტევაზე გამოიჭირა ჩვენებური. დღეს გაგამარუს დიდი გამოცდა ელის - მის წინააღმდეგ დოჰიოზე თვით დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** დადგება.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ვერაფერი გაახერხა **ვაკაკოიუს** ცუპარისთან და წააგო. მისი ბალანსი უარყოფითია: 1-3. დღეს ტოჩინოშინი ბულგარელ ოძეკის, **კოტოოშუს** ხვდება.

ძურიოს დივიზიონში ზედიზედ მეორედ დამარცხდა **ლევან ცაგურია (კოკაი)** და ბალანსი გაუნულდა: 2-2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



**IV დღე**

(მნიშვნელოვანი მატჩები): ჰაკუჰო-ტოკიტენკუ (სუკუინაგე), კოტოოშუ-მიოგირიუ (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), კაკურიუ-ბარუტო (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), კისენოსატო-**გაგამარუ** (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), არანი-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ვაკაკოიუ-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), ტოიონოშიმა-შოჰოზანი (შიტატედაშინაგე). **ძურიო:** ტოსაიუტაკა-**კოკაი** (ოშიდაში).

**საპრიზო მდგომარეობა**

**4-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კაკურიუ (სეკივაკე), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7)... **1-3:** ტოჩინოშინი (მ 3)... **0-4:** გაგამარუ (კომუსუბი).

**V დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები: ჰაკუჰო-**გაგამარუ**, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი, ბარუტო-ტოჩინოვაკა, ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე, კისენოსატო-ტოკიტენკუ, **ტოჩინოშინი**-კოტოოშუ, ამინიშიკი-კაკურიუ, კიოკუტენჰო-მიოგირიუ, ვაკაკოიუ-ტოიონოშიმა, ჰომაშო-არანი. **ძურიო:** **კოკაი**-კაისეი.

## ლელო წარმოგიდგენთ: ქართული სპორტის ქრონიკები

**მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან**

## ვახტანგ იაგორაშვილი



დაიბადა 05.04.1964, თბილისი. **თანამედროვე ხუთჭიდი.** XXIV ოლიმპიური თამაშების (1988, სეული) მესამე პრიზიორი პირად ჩათვლაში (V ადგილი გუნდურ პირველობაში), XXVI ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996, ატლანტა) - XX ადგილი. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ (1990) და მეორე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (1989), ევროპის ორგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1987, 89), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1986, 88, 89), სსრკ თასის მფლობელი (1986, 88), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1986). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**„ლელო"-ში 40 წლის წინათ...**

## 1972 წლის 1-15 მარტი

**1 მარტი.** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: ფეხბურთში - **ო. კინწურაშვილს** (თბილისი „ლოკომოტივი"); **ი. შუდრას** (თბილისი, „განთიადი"), **კ. მესხს** (თბილისი, ბურევესტნიკი"); **ბ. კარკოვს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები").

**2 მარტი.** მოსკოვში დაიწყო საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადა. პირველ ტურში საქართველოს გუნდმა სომხეთის ნაკრებს 7:2 მოუგო.

**2 მარტი.** თბილისის სპორტის სასახლეში ვაჟ კალათბურთელთა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში თბილისის „დინამომ" კიევის ასკ-ს უმასპინძლა. მატჩი სტუმრებმა მოიგეს 86:81 (40:43).

**4 მარტი.** დაიწყო საქართველოს 1972 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

**4 მარტი.** ამ დღეს ვაჟ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში თბილისის „დინამო" შინ კიევის „სტროიტელს" ეთამაშა და დაძაბულ ბრძოლაში 87:86 სძლია (41:38, 75:75, 81:81). საჭირო გახდა ორი დამატებითი 5-5 წუთიანი ტაიმი.

**7 მარტი.** ცისკარას მთაზე გაიმართა აჭარის „განთიადის" პირველობა სათხილამურო სპორტში.

**7 მარტი.** თბილისის სპორტის სასახლეში ვაჟ კალათბურთელთა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკმა" კიევის „სტროიტელთან" ჩაატარა. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა - 83:67 (47:29). 28 ქულა გუნდს **ბიჭიაშვილმა** მოუტანა.

**8 მარტი.** გაიმართა ფეხბურთში საქართველოს 1972 წლის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები.

**10 მარტი.** თბილისის სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა ჩემპიონატის მატჩი: „ბურევესტნიკი" (თბილისი) - ცსკა (მოსკოვი) 83:84 (42:42).

**11 მარტი.** „ლელომ" გამოაქვეყნა ლეგენდარული ფალავნის **არსენ მეკოკიშვილის** ნეკროლოგი. იგი 60 წლისა გარდაიცვალა. იყო სსრ კავშირის 16-გზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. 45 წლისა გახდა ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, 40 წლისამ იასპარეზა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში და მოიპოვა ოქროს მედალი. იყო მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს სამგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

**11 მარტი.** მოსკოვისა და თბილისის დინამოელ კალათბურთელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე შინ თბილისელებმა 81:76 (38:39) მოიგეს.

**12 მარტი.** გრენობლში ევროპის მძლეოსანთა ზამთრის III ჩემპიონატი **ვიქტორ სანეევმა** სამხტომში გამარჯვებით და მსოფლიოს ახალი რეკორდით - 16.97 მ დაასრულა.

**14 მარტი.** თბილისში ადგილობრივმა „დინამომ" საბჭოთა კავშირის ვაჟ კალათბურთელთა ჩემპიონატის მატჩი მოსკოვის ცსკასთან 69:86 დათმო. მასპინძლებმა შეხვედრის პირველი ნახევარი 46:38 მოიგეს.

**15 მარტი.** თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ლიუბლიანის (სლოვენია) სპორტული დელეგაცია.

**ქართული ხალხური თამაშები**

## ჭაკუნობა



**ჭაკუნობა** საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხალხური თამაშია. ჩამოჰგავს ბალახის ჰოკეის. მონაწილეობს ორი გუნდი. მოთამაშეთა მიზანია ჭაკუნებით (ჩოგნებით) ბურთის მეტოქის ლელოში გატანა.

ჭაკუნობის შესახებ პირველი წერილობითი ცნობები XIX საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. პოპულარული ყოფილა გურიასა და იმერეთში, აგრეთვე სამეგრელოსა („ჭაკინი") და სვანეთში („კავშლიბურთელი"). სათამაშოდ ირჩევდნენ ბალახით დაფარულ ვაკე ადგილს. დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე გაჭიმული მოედნის თავსა და ბოლოში ლელო იყო მონიშნული. თამაშის ძირითადი იარაღი, ჭაკუნი (სიგრძე 6-7 მტკაველი), ერთგვარი თავკომბალა ან თავმოღუნული ჯოხ-ბურთი მუშტისოდენა უნდა ყოფილიყო და უმეტესად საქონლის ბეწვისგან ამზადებდნენ. გურიაში ჭაკუნობით ქალებიც ერთობოდნენ.

გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ე. წ. შერეული ჭაკუნობა: ერთი გუნდი ჭაკუნით თამაშობდა, მეორე - ფეხით. როგორც კი რომელიმე მხარე ლელოს გაიტანდა, როლები იცვლებოდა ჭაკუნით მოთამაშენი იარაღს მეტოქეს გადასცემდნენ, თავად კი ფეხით თამაშზე გადადიოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ყოფილა თითქმის ანალოგიური თამაში „ხაჩაობა".

**15 - 21 მარტი**

**15. 1937 წ.** დაიბადა **შოთა იამანიძე** - ფეხბურთი. დაიღუპა 1971 წელს. დაბადებიდან 75 წელი.

**15. 1948 წ.** დაიბადა **ლევან თედიაშვილი** - თავ. ჭიდაობა.

**15. 1976 წ.** დაიბადა **მირიან გიორგაძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**16. 1937 წ.** დაიბადა **იური ოსიპოვი** - ფარიკაობა. დაბადებიდან 75 წელი.

**16. 1960 წ.** დაიბადა **ზურაბ აზმაიფარაშვილი** - ჭადრაკი.

**17. 1932 წ.** დაიბადა **რევაზ გოგელია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 1999 წელს.

**17. 1936 წ.** დაიბადა **ჯუმბერ დავლიანიძე** - თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 2011 წელს.

**18. 1968 წ.** დაიბადა **თემურ ქეცბაია** - ფეხბურთელი, მწვრთნელი.

**18. 1965 წ.** დაიბადა **ზაზა ტყეშელაშვილი** - თავ. ჭიდაობა.

**18. 1986 წ.** დაიბადა **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი.

**19. 1936 წ.** დაიბადა **ედუარდ გუფელდი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**20. 2010 წ.** საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ტრაბზონში რუსეთის ნაკრებს 36:8 მოუგო, ერთა თასის (ზედიზედ მეორედ) და მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვა.

**21. 1928 წ.** დაიბადა **ოთარ დადუნაშვილი** - ველოსპორტი (სპრინტი). გარდაიცვალა 1992 წელს.

**21. 1939 წ.** დაიბადა **გურამ სალარაძე** - თავ. ჭიდაობა.

**ვიქტორინა**

**1. რომელი წლიდან ტარდება ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირი?**
ა - 1964 წლიდან
ბ - 1970 წლიდან
გ - 1982 წლიდან

**2. რომელ გუნდში დაიწყო ფეხბურთის თამაში ანატოლი (გიგა) ნორაკიძემ?**
ა - თბილისის „სპარტაკში"
ბ - სოხუმის „დინამოში"
გ - ოჩამჩირის „დინამოში"

**3. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელი ფეხბურთელი დააჯილდოვა ამ სპორტული ორგანიზაციის მედლით?**
ა - ოლეგ ბლოხინი
ბ - მიშელ პლატინი
გ - ილია დათუნაშვილი

**4. რომელი ქვეყნის სახელით გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (2004) ბატუტზე ხტომაში ანა დოლონაძე?**
ა - საბერძნეთის
ბ - ესპანეთის
გ - გერმანიის

**5. ვინ იყო 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებში, პეკინში საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშე?**
ა - რამაზ ნოზაძე
ბ - ნინო სალუქვაძე
გ - რევაზ მინდორაშვილი

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ; 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

**პირველი, პირველმა, პირველად...**

**პირველი** 8-ბილიკიანი და 50-მეტრიანი საცურაო აუზი საბჭოთა კავშირში აშენდა თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, 1936 წელს.

■ ■ ■

**პირველმა** აფხაზეთის თანამედროვე ხუთჭიდელებთან სპორტის ოსტატის ნორმატივი **იური ჭანტურიამ** შეასრულა 1972 წელს.

■ ■ ■

**პირველად** დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საერთო-გუნდურ ჩათვლაში 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში მიაღწია საუკეთესო შედეგს - 32-ე ადგილი 201 ქვეყანასა და 11099 ოლიმპიელს შორის. თუ იმ ქართველ ათლეტთა შედეგებსაც გავითვალისწინებთ, რომლებმაც სხვა ქვეყნების სახელით მოიპოვეს მედლები, საქართველო 26-ე ადგილზე გავიდოდა.

## TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი


ფაჩულია VS ჯეიმსი


კობიაშვილი VS პოდოლსკი


კოლელიშვილი VS ტინკუ

# ქეჩოთი

**საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მეტოქე გუნდის ვარსკვლავს უხეშობა არ შეარჩინა, ქეჩოში სწვდა, თავისკენ მოქაჩა... ამასობაში თანაგუნდელებმაც მიირბინეს და გაცხარებულები ერთმანეთს მოაშორეს.**

როგორ ფიქრობთ, ზემოთ ნათქვამი ვის ეხება? კალათბურთის ქართველ ქომაგს უთუოდ **ზაზა ფაჩულიასა და დუეინ უეიდის** გაწევ-გამოწევა გაახსენდებოდა. ხოლო ფეხბურთის გულშემატკივარი საქართველოს ნაკრების კაპიტანში **ლევან კობიაშვილს** ამოიცნობდა. საოცარი დამთხვევაა - ლევანსა და ზაზას ორი დღის შუალედში ზუსტად ერთნაირი ამბები შეემთხვათ. კობიაშვილმა გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **ლუკაშ პოდოლსკი** „წამოილო კისრულით", ფაჩულიამ - ამერიკის ნაკრების თავდამსხმელი დუეინ უეიდი. ორივე დასაჯეს: „ჰერტას" მოთამაშე წითელი ბარათით, „ატლანტას" კალათბურთელი - ტექნიკური ჯარიმით.

წითელი ბარათი... ჩხუბი... კისერი... სპორტის სხვა სახეობა არ გახსენდებათ? მაგალითად რაგბი. თანამემამულეებს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მოთამაშე **ვიქტორ კოლელიშვილმა** აშკარად აჯობა - რუმინელ მეტოქეს (რომელიც მთელი თამაში არასპორტული მეთოდებით ცდილობდა ჩვენიანის მწყობრიდან გამოყვანას) ერთი მოუქნია და აცილა; მეორედ მოუქნია, ყბაში მოარტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო; მესამედ კისერში ისეთი უთავაზა, უმალ მოედანზე დააგდო... ამ შემთხვევასაც, ცხადია, წითელი ბარათი მოჰყვა.

მოკლედ, „კრივის შვიდდღეული" გვქონდა. ქართველმა სპორტსმენებმა მსოფლიოს დაანახვეს, რომ მხოლოდ ბურთით თამაში კი არა, სპორტის საბრძოლო სახეობებშიც ეთქმით სიტყვა.

...ეს ყველაზე კარგად გასულ კვირაში **დავით მარსაგიშვილს** გამოუვიდა: მაკედონელი, ესპანელი, რუმინელი, თურქი და ბულგარელი კისერზე ატრიალა და ევროპის ჩემპიონობა ერთი ამოსუნთქვით მოიგო. იგი თავისუფალი სტილით მოჭიდავეა. დღეს მასზე ვთქვათ. რაგბის, კალათბურთისა და ფეხბურთის „საბრძოლო ეპიზოდებს" თავს მოვუყრი და უახლოეს მომავალში ცალკე „ტაიმლაინს" დავუთმობ.


1/16 ფინალი. VS დეიან ბოჯდანოვი (მაკედონია) 4:0
1/8 ფინალი. VS ბორის ანდონოვი (ესპანეთი) 7:0
1/4 ფინალი. VS სტეფან გეორგიტა (რუმინეთი) 9:1


ფინალი. VS მიხაილ განევი (ბულგარეთი) 2:0


1/2 ფინალი. VS სერდარ ბოჯე (თურქეთი) 9:0


გამარჯვების სიხარული

# როგორ გაოფლიანებულხარ, გაცივდები შვილო!

2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობისას საფრანგეთის ნაკრების მატჩს გულშემატკივართა დიდ წრეში ვუყურებდი. **ზინედინ ზიდანი** ახლო კადრით რომ უჩვენეს, ერთმა პატარა ქომაგმა იკითხა: როგორ გაოფლიანებულა, ნეტავ, დედამისი არ ეჩხუბებაო? შემდეგ წავიკითხე, რომ ზიდანს ბავშვობაში შინ ჭალი არ დაუტოვებია ჩაულეწავი. როგორც ჩანს, მშობლები არც სახლში თამაშს უშლიდნენ და არც გაოფლიანებისას ეუბნებოდნენ - გაცივდებიო. ზიდანი გაიზარდა და ჭალების ნაცვლად მეტოქეთა კარის „ცხრიანებში" გაჩენილი აბლაბუდების ჩამოხსნას მიჰყო ხელი.

ფრანგი ფეხბურთელის ამბავი **დავით მარსაგიშვილის** მონათხრობმა გამახსენა:

- მამაჩემი სპორტის დიდი გულშემატკივარია. თვითონ ეფექტური კარიერა არ ჰქონია, მაგრამ ძალიან მონდომებულია და სურდა შვილები სპორტსმენები გამოვსულიყავით. სახლის ერთ-ერთ ოთახში სპეციალური საჭიდაო ხალიჩები დააგო და ყოველდღიურად გვაჭიდვებდა. მხოლოდ სამი ძმა როდი ვვარჯიშობდით, ჩვენს თანატოლებს ეძახდა, უამრავ ბავშვს შეგვკრეფდა და გვაჯიბრებდა.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: თბილისის ბინაში მცხოვრები რომელი მშობელი დართავს შვილს თუნდაც 2-3 თანატოლის მოყვანის ნებას, მით უმეტეს ჭიდაობისთვის? ოციდან ერთი მშობელი? სამაგიეროდ, „ჯოკერის" თამაშს არ დაუშლიან - ოღონდ წყნარად მოიქეცითო, გააფრთხილებენ.

გავა დრო და ის, ვინც ჭალს ჭალზე ამტვრევდა, ან ჭიდაობით სახლს იკლებდა, ევროპის ჩემპიონი გახდება. ხოლო ოფლის გარეშე გაზრდილი „ჯოკერის" მოთამაშე ეზოში გადაინაცვლებს და, ვთქვათ, დომინოში უბნის ჩემპიონობას არავის დაუთმობს.

უმაღლესი მწვერვალის მიღწევისთვის მხოლოდ სპორტულ წრეზე კვირაში სამჯერ ვარჯიში არ კმარა, სხვას რომ აჯობო, მასზე მეტი უნდა იშრომო. მოინდომებ და გამოგივა. ერთ ბრძენ კაცს აქვს ნათქვამი: ყველა ქართველი ნიჭიერია, უბრალოდ, ერთნი ამჟღავნებენ, მეორენი - ვერაო. პირველ რიგში, სწორედ მშობელმა უნდა შეუწყოს ხელი შესაძლებლობების გამოვლენაში და ქართველების კიდევ ერთი თვისება, სიზარმაცე საფუძველშივე უნდა აღმოფხვრას... მეტ-ნაკლებად...

ავტორის კარიკატურა



იოლი მისახვედრია, რატომ გაჩნდა დავით მარსაგიშვილის კარიკატურაზე ყაზბეგის მთა და ხინკალი. იგი მოხევეა, ყაზბეგის რაიონის სოფელ არშაში დაიბადა, მე-9 კლასამდე ყაზბეგში სწავლობდა.

ხომ გაგიგიათ, კარგი ყველას უნდაო, მარსაგიშვილს ჩრდილოკავკასიელები გვეცილებიან. თავად დათოს მოვუსმინოთ:

- შეჯიბრებებზე ჩეჩნებსა და ინგუშებს რომ ვხვდები, მეუბნებიან: ჩვენიანი ხარო. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი გვარის ფუძის ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაშიც ცხოვრობს. ყველას ვპასუხობ, ქართული გვარი მაქვს და ქართველი ვარ-მეთქი.

## კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ეს რომ ჩაეგდო...

### ზაზა ფაჩულია: ჩემს თავზე ვიღებ



ეროვნული ბიბლიოთეკა

დენვერში, ადგილობრივ „ნაგეტსსა" და „ატლანტას" შორის ოვერტაიმის დასრულებამდე 2 წამით ადრე, ჯორჯიელებმა ბურთი პირითი ხაზიდან შემოიტანეს, ფარქვეშ გახსნილ **ზაზა ფაჩულიას** გადააწოდეს, რომელიც ორ ნაბიჯში კალათს მიუახლოვდა და ისეთი ბურთი ააცილა, სხვა შემთხვევაში ათიდან ათს რომ ჩააგდებდა. ამ ეპიზოდს დიდი გამოხმაურება იმიტომაც მოჰყვა, რომ შეეძლო მატჩის ბედი შემოეტრიალებინა. „ატლანტამ" ხომ მინიმალური სხვაობით, 117:118 წააგო.

სხვათა შორის, იგივე დაემართათ დენვერელებს: ძირითადი დროის დასრულებამდე 15 წამით ადრე ფარქვეშიდან როგორ ვერ ჩააგდო **ლოუსონმა**, ალბათ თავადაც ვერ მიხვდა, ხოლო ოვერტაიმში ზაზას ტყორცნამდე მასპინძელ **ილარიოს** თანაგუნდელების 2 ქულით დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ მანაც წარმოუდგენლად იოლი ბურთი გააფუჭა და 2+1 ქულის ნაცვლად 1+1 მოინაგრა.

მოკლედ, ეს იყო მატჩი, რომელიც დრამატიზმით ბევრ ფილმს სჯობდა. თანაც, აქ ყველაფერი ნატურალურად მოხდა. „ატლანტას" ძირითად დროშიც შეეძლო მოგება, მაგრამ ანგარიშზე 104:102 („ჰოქსის" სასარგებლოდ) სირენამდე 3 წამით ადრე იტალიელმა **გალინარიმ** ჯორჯიელთა კალათში მოედნის კუთხიდან საოცარი ბურთი ჩააგდო. თუმცა, დარჩენილ 3 წამში **ჰაინრიხმა** ორი ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა. პირველი გამოიყენა, მეორე - ვერა და ასე გაგრძელდა შეხვედრა ოვერტაიმში.

- ჰაინრიხისა და ფაჩულიას აცილებულ ტყორცნებს თამაშის წაგებას ვერ დავაბრალებთ. ბიჭებსაც ვუთხარი - ეს შეხვედრა პირველ ტაიმში დავთმეთ, როცა „დენვერის" მოძალებას ვერ გავუძელით, - აღნიშნა ნამატჩევს „ჰოქსის" თავკაცმა **ლარი დრიუმ**.

„დენვერის" დამრიგებელმა **ჯორჯ კარლმა** კი ფაჩულიას მიერ ბოლოს ნატყორცნის გახსენება არ ისურვა:

- ეს ის შემთხვევა იყო, როცა ფორტუნამ ჩვენ გადმოგვხედა. „ატლანტას" მანამდეც შეეძლო მოგება, მაგრამ საოცარი ტყორცნები გამოვიყენეთ.

ზაზამ მატჩის შემდეგ მითხრა:

- ეგ შეხვედრა ისტორიიდან უნდა ამოვშალო. ძალიან ცუდი გასახსენებელია. ბოლო ეპიზოდში ბურთზე ხელი ოდნავ წამიკრა დანილო გალინარიმ. ამიტომაც ვერ ჩაეშვა კალათში...

28 წლის ქართველმა გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტ **მაიკლ კანინგემთან** საუბრისას აღნიშნა:

- ვერ ჩავაგდე. არადა, შესანიშნავი შანსი მომეცა თამაშის გადარჩენისა. მანამდე გუნდსაც ჰქონდა არაერთი შანსი, მაგრამ იღბალი მეტოქის მხარეს იყო. თავად განსაჯეთ: ჯერ (ძირითადი დროის დასრულებამდე 9 წამით ადრე) პარგოს ბურთი ფეხზე მოხვდა, გვერდითი ხაზი გადაკვეთა და შეტევის უფლება მეტოქეს დარჩა; შემდეგ გალინარიმ ჩააგდო წარმოუდგენელი სამქულიანი; ამას მოჰყვა ჰაინრიხის მიერ აცილებული საჯარიმო; ბოლოს მეც ვერ გამოვიყენე... თუმცა იღბალი თავის გასამართლებლად არ გამოდგება. უნდა ჩამეგდო. ყველაფერს საკუთარ თავზე ვიღებ.

ასეა თუ ისე, ზაზამ მიმდინარე სეზონში პირადი რეკორდი გააუმჯობესა - მოედანზე 45 წუთი გაატარა. აქამდე ყველაზე მეტი, 42 წუთი ჰქონდა ნათამაშები.

**დენვერი-ატლანტა 118:117**

**ზაზა ფაჩულია:** 45 წუთი, 6 ქულა (8-დან 3 ორქულიანი), 13 მოხსნა, 2 პასი, 1 შეცდომა, 3 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 11:48 | ორქულიანი: 2ძ | 2-0 |
| 11:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 2-0 |
| 10:06 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-2 |
| 8:34 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 4-7 |
| 7:18 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 8-10 |
| 6:28 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 | 11-12 |
| 3:58 | ორქულიანი: არაზუსტი | 18-14 |
| 3:57 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 18-14 |
| 3:56 | შეცდომა: 1 | 18-14 |
| 3:32 | დემპიემ ზაზა შეცვალა | 18-16 |
| **II პერიოდი** | | |
| 10:03 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 | 30-32 |
| 7:52 | ორქულიანი: არაზუსტი | 36-39 |
| 6:24 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 42-45 |
| 4:01 | ორქულიანი: 4ძ | 46-50 |
| 2:13 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 | 52-54 |
| 1:15 | ორქულიანი: არაზუსტი | 55-56 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:03 | ფოლი: 1 | 58-66 |
| 7:39 | ფოლი: 2 | 62-74 |
| 7:37 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 | 62-74 |
| 7:13 | მოხსნა: შეტ-4, დაც-6 | 62-74 |
| 6:56 | პასი: 1 (ჯონსონი 3ძ) | 65-74 |
| 3:24 | ფოლი: 3 | 76-78 |
| 2:24 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა | 78-80 |
| **IV პერიოდი** | | |
| 10:15 | ზაზამ რადმანოვიჩი შეცვალა | 85-84 |
| 9:33 | ორქულიანი: 6ძ | 88-84 |
| 6:48 | პასი: 2 (სმითი 2ძ) | 90-92 |
| 3:55 | მოხსნა: შეტ-4, დაც-7 | 98-96 |
| 3:15 | მოხსნა: შეტ-4, დაც-8 | 100-96 |
| 0:09 | უილიამსმა ზაზა შეცვალა | 104-102 |
| 0:09 | ზაზამ უილიამსი შეცვალა | 104-102 |
| **ოვერტაიმი** | | |
| 3:48 | მოხსნა: შეტ-5, დაც-8 | 108-107 |
| 0:02 | ორქულიანი: არაზუსტი | 117-118 |

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ღია ვარჯიში: განვლილის გამეორება, მიღწეულის დახვეწა


ტონი ბარჯესი და შალვა სუთიაშვილი


ვარჯიში რაკის გაწმენდისას


მარცხნიდან: ლაშა მალაღურაძე და თედო ზიბზიბაძე

გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოს ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა. „ბორჯღალოსნები" სამი დღეა შაბათს რუსეთის ეროვნულ გუნდთან გასამართი მატჩისთვის ემზადებიან.

წვრთნა ტრადიციული მოთელვით დაიწყო. მასში არ მონაწილეობდა ტრავმირებული გარემარბი **გიორგი შკინინი** (არმია). მის ნაცვლად **მილტონ ჰეიგმა** „ლელოს" ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** იხმო. რუმინეთთან მატჩში ფეხი დაიშავა და ინდივიდუალურად ვარჯიშობდა მესამეხაზელი **შალვა სუთიაშვილი**, რომელიც, მოგვიანებით, ფიზმომზადების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ტონი ბარჯესმა** თითქმის ერთი საათი კრივში ავარჯიშა.

გუშინ პირველად ჩაერთო წვრთნის პროცესში საქართველოს ნაკრების ლიდერი **მამუკა გორგოძე**. თუმცა მუდამ ცდილობდა ფიზიკური კონტაქტისთვის თავი აერიდებინა.

მოთელვის შემდეგ, რომელიც სათადარიგო მოედანზე გაიმართა, **მილტონ ჰეიგმა** გუნდი რაკში თამაშში ავარჯიშა. მიზანი რაკის სწრაფად გასუფთავება და ბურთის დროულად ხაზზე გატანა იყო.

მერე „ბორჯღალოსნებმა", რომლებსაც წინა მატჩისგან განსხვავებით **დავით ხინჩაგიშვილი** და **ლევან დათუნაშვილი** დაემატნენ, ბალახის მოედანზე გადაინაცვლეს და სხვადასხვა სტატიკური მდგომარეობიდან შეტევის ორგანიზებას ცდილობდნენ. იერიშის მიმართულების ხშირი ცვლა, სწრაფი გადაწყობა და შეტევის რამდენიმე ეშელონის ჩამოყალიბება, ბურთის ხაზზე ბოლომდე ჩატანა - აი, ის კომპონენტები, რომლის დახვეწას გუნდმა ვარჯიშის მეტი ნაწილი მოანდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეპიზოდებში ჩვენს გუნდს ყველა ელემენტი შესანიშნავად გამოსდიოდა, იმდენად, რომ თვითონვეც რამდენჯერმე ტაშით გამოხატეს აღფრთოვანება.

ვარჯიშის მსვლელობის მიხედვით ძნელი სათქმელია, რომელ თხუთმეტეულს ანიჭებს უპირატესობას მილტონ ჰეიგი. ის პირობითად ძირითად შემადგენლობას ხშირად ცვლიდა. ვფიქრობთ, რუსეთთან მატჩისთვის შემადგენლობა ასეთი იქნება:

**15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

**ირაკლი აბუსერიძე**, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„რუსებთან მატჩს ყოველთვის ყველა განსკუთრებულად ელოდება. ვიცით, რომ ძალიან რთული თამაში გვექნება. აღსანიშნავია, რომ რუსებთან თბილისში 2007 წლის შემდეგ აღარ გვითამაშია. ეს შეხვედრას დამატებით ელფერს სძენს.*

*არ მინდა ამ თამაშს პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდეს. გპირდებით, რომ ყველაფერს ვიღონებთ, რათა საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ გავახაროთ."*

**მერაბ კვირიკაშვილი:**

„რუსებთან მატჩი ყოველთვის საინტერესოა, როგორც ქომაგებისთვის, ისე ჩვენთვისაც. ვეცდებით სათანადოდ მოვემზადოთ და მაღალი ხარისხის თამაში ვაჩვენოთ, რაც ვფიქრობ, გამარჯვების და ჩვენი გულშემატკივრების გახარების საწინდარი იქნება".

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს აქამდე ერთმანეთთან თხუთმეტჯერ უთამაშიათ. აქედან 13 მატჩში „ბორჯღალოსნებმა" მოიგეს, ერთი ფრედ დასრულდა და ერთშიც რუსებმა შორეულ 1993 წელს გაიმარჯვეს.

„ბორჯღალოსნებმა" საიმისოდ, რომ ერთა თასის მოპოვების შანსი შეინარჩუნონ, რუსეთის ნაკრებს მინიმუმ ოთხი ლელო უნდა გაუტანონ, რისთვისაც ერთ პრემიალურ ქულას მიიღებენ. ამ დროს ჩვენი კონკურენტები, ესპანეთისა და რუმინეთის ეროვნული გუნდები ერთმანეთს მადრიდში ხვდებიან. ამ მატჩში ნებისმიერის გამარჯვება გვაძლევს ხელს, ოღონდ ისე, რომ ოთხი ლელო ვერ უნდა გაიტანოს.

შეგახსენებთ, რომ თამაში საქართველოს და რუსეთის ნაკრებებს შორის, შაბათს, 15 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი გადასცემს.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ვასილ კაკოვინი, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლა სეინი), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

№12-13: მერაბ შარიქაძე (გლოსტერი), დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო),

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ-ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (არმია).

№15: ბექა წიკლაური (გდინია).

### რუსეთის ნაკრები

შერკინება: დენის ანტონოვი, ვლადიმირ ბოლტენკოვი, ვლადიმირ ბოტვინიკოვი, არტიომ ფატახოვი, ანდრეი გარბუზოვი, ნაზირ გასანოვი, ვიქტორ გრესევი, კირილ კოპეშკინი, კირილ კულემინი, პაველ კვერნაძე, სტანისლავ სელსკი, ანტონ სინიცინი, მაქსიმ სტურცა, ევენი ტიტოვი, ინოკენტი ზიკოვი, ალექსეი ვოლკოვი.

უკანა ხაზი: მიხაილ ბაბაევი, პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, გერმან გოდლიუკი, ალექსანდრ იანუშკინი, იური კუშნარიოვი, ალექსეი მაკოვეცკი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი ტრიშინი.

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადონი, მიჰაი მაკოვეი (სამიცე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), ფლავიუს დობრე, ადრიან იონი (ორივე-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (კასტლსარასინი).

უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ, ფლორინ ვლაიკუ (ორივე-ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინისი, იონუც ნიაჩსუ (სამივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

### ესპანეთის ნაკრები

ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლაიონზი, სერხიო გერერო (სამივე-სანტაბოიანა), ხოსე კარლოსი (ვიგო), ჯო ჰატჩინსონი, ჯონათან ფიპსი (ორივე-ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს ნუნესი (ლილი), ბენატ ეჩეპერი, მატიო ვისენსანგი (ორივე-ტიროსი), სებასტიან რუე, ხაიმე ნავა (ორივე-სენტ ეტიენი), მატიო პელუკონი (ოში), სერხი ობენალი (კლერმონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), იონ ინსაუსტი (სენ ჟან და ლუზი), მანუელ გარსია (კასტრი), ანტონი პრადალი, ადრიენ აიესტარანი (ორივე-პერიგო), მატიო როსა (ორიაკი), დავიდ ბარერა (მონ დე მარსანი), სესარ სემპერე (ნორსჰემპთონი).

**ერთა თასი 2012**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +36 | 10 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | +24 | 10 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +27 | 10 |
| 4.რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | -5 | 9 |
| 5.პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | -28 | 6 |
| 6.უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | -54 | 0 |

**ორი წლის ჯამი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 8 | 7 | 0 | 1 | +157 | 32 |
| 2.რუმინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | +124 | 26 |
| 3.ესპანეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -47 | 20 |
| 4.რუსეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -3 | 20 |
| 5.პორტუგალია | 9 | 4 | 0 | 5 | -13 | 20 |
| 6.უკრაინა | 7 | 0 | 0 | 7 | -218 | 0 |

**ერთა თასი**

**V ტური**

**17 მარტი**

საქართველო-რუსეთი
ესპანეთი-რუმინეთი
უკრაინა-პორტუგალია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


დერეფანში გიორგი ჩხაიძე


ბურთით ირაკლი აბუსერიძე

● სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი



კლაუს კრიოლი




ლინდსი ვონი

# ვონი რეკორდებს ებრძვის

**ლინდსი ვონის** დომინირებამ ქალებს შორის მიმდინარე სეზონს ყოველგვარი აზრი დაუკარგა. დარჩენილ რბოლებში ინტრიგა მხოლოდ იმაში მდგომარეობს - შეძლებს თუ არა ამერიკელი კიდევ რამდენიმე რეკორდის გაუმჯობესებას.

გუშინ, ვონმა მსოფლიოს თასის მფლობელის რანგში მოიგო სეზონის ბოლო სწრაფდაშვება. ეს ავსტრიის კურორტ შლადმინგში მოხდა. ამერიკელმა წუთსა და 46,56 წამში დაფარა დისტანცია და დიდი უპირატესობით - 92 მეასედი წამით მოუგო მეორე ადგილზე გასულ ფრანგ **მარიონ როლანდს**. მესამეადგილოსანი სლოვენიელი **ტინა მაზე** ვონს წამითა და 22 მეასედით ჩამორჩა. ამ მოგებით ვონმა გაინაღდა სწრაფდაშვებაში ბროლის მცირე გლობუსი.

ლინდსიმ კარიერაში 53-ე და სეზონში მე-12 ეტაპი მოიგო. ერთ სეზონში უფრო მეტი გამარჯვება 1988-89 წლების სეზონში შვეიცარიელ **ფრენი შნაიდერს** ჰქონდა - 14 მოგება.

გარდა ამისა, ვონი წელს მეჩვიდმეტედ ავიდა პოდიუმზე, რაც ერთით ნაკლებია ყველა დროის რეკორდზე, რომელიც ლიხტენშტაინელ **ჰანი ვენცელს** (1980) და შვედ **პერნილა ვიბერგს** (1997) ეკუთვნის.

საერთო ჩათვლაში ვონს ახლა 1908 ქულა აქვს, რაც ქალებს შორის ახალი აბსოლუტური რეკორდია. წინ არის სუპერგიგანტისა და გიგანტური სლალომის სტარტები და თუ ამერიკელს გაუმართლებს, მოხსნის ავსტრიელი **ჰერმან მაიერის** რეკორდს, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია, ვისაც სეზონში 2000 ქულა აქვს დაგროვილი.

■ ■ ■

შლადმინგში მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე მამაკაცებიც შეიკრიბნენ და მათაც გუშინ სწრაფდაშვებაში გამოავლინეს მსოფლიოს თასის მფლობელი.

ქალებისგან განსხვავებით, აქ ძალიან დაძაბული ბრძოლა იყო. გუშინდელი სტარტის წინ, სწრაფდაშვების ჩათვლაში ლიდერობდა ავსტრიელი ვეტერანი **კლაუს კრიოლი**. ასეთ შემთხვევას მის 14-წლიან კარიერაში პირველად ჰქონდა ადგილი, შესაბამისად, პირველად შეეძლო მოეგო მსოფლიოს თასის მცირე გლობუსი.

კრიოლის უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფ **დიდიე კუშთან** 48 ქულას შეადგენდა, მესამეადგილოსან **ბიტ ფოიცთან** - 51-ს.

რა თქმა უნდა, სხვაობა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა კრიოლმა მაინც მისცა შანსი კონკურენტებს. ავსტრიელმა მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა და ლიდერობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ვეტერანი ნორვეგიელმა **აქსელ-ლუნდ სვინდალმა** გადაარჩინა, რომელმაც საუკეთესო დრო აჩვენა და პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე არ აუშვა ბიტ ფოიცი. ეს უკანასკნელი მეორე იყო ფინიშზე და საბოლოოდ, შვიდი ქულა წააგო კრიოლთან. არადა, ეტაპის მოგების შემთხვევაში, ბროლის მცირე გლობუსი მისი საკუთრება გახდებოდა. რაც შეეხება მესამე პრეტენდენტს დიდიე კუშს, მას მხოლოდ მე-17 დრო ჰქონდა და ქულის გარეშე დაასრულა ეტაპი.

რაც შეეხება ბროლის დიდი გლობუსისთვის ბრძოლას, აქ ყველაზე კარგი შანსი იმავე ფოიცს გააჩნია. მან გუშინ 80 ქულა მოიპოვა და გაზარდა უპირატესობა უახლოეს მდევართან, ავსტრიელ **მარსელ ჰირშერთან**, რომელმაც ჩააგდო გუშინდელი სწრაფდაშვება. ახლა ფოიცის უპირატესობა 135 ქულას შეადგენს, სეზონის ბოლომდე კი სამი რბოლაა დარჩენილი. სხვათა შორის გუშინდელი გამარჯვებით სეზონის მოგების მცირე შანსი სვინდალმაც დაიტოვა – მისი ჩამორჩენა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერთან 199 ქულას უდრის.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სუპერმენმა ნასვლა გადაიფიქრა

**ორი** საათი და 47 წუთი გრძელდებოდა მატჩი, რომელშიც „ლეიკერსმა“ ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრა მოიგო. სტუმრად „მემფისის“ დამარცხება ყოველთვის რთულია, თან მასპინძლებს მოტივაცია ძალიან დიდი ჰქონდათ - დასავლეთის ცხრილში „გრიზლისის“ ჩამორჩენა „ლეიკერსთან“ სწორედ ერთ მოგებას შეადგენდა. თუმცა „მემფისის“ მდგომარეობას ის ამძიმებდა, რომ ტრავმირებული **რუდი გეის** გარეშე უწევდა თამაში.



დუაიტ ჰოვარდი

რა თქმა უნდა, ამ მატჩს განსაკუთრებულ ელფერს მატებდა ძმები **გასოლების** დაპირისპირება. წელს **პაუ** თავისი უმცროსი ძმის ჩრდილში მოექცა, თუნდაც იმიტომ, რომ „ოლ სტარზე“ მემფისელი გასოლი წავიდა. მაგრამ ამჯერად უფროსი გასოლის ჯერი იყო. მან მრისხანე დუეტი შეადგინა **ენდრიუ ბინუმთან** და ამ უკანასკნელმა 37 ქულით სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

მაგრამ ამ დუეტის მონდომება ფუჭი იქნებოდა, ჩვეულ სტილში რომ არ ემოქმედა **კობი ბრაიანტს**. „ლეიკერსმა“ ოვერტაიმამდე სწორედ „შავი მამბას“ წყალობით მიაღწია (ბოლო მეოთხედის წინ, „მემფისი“ 11 ქულას იგებდა) - კობიმ მეორე ტაიმში 22 ქულა დააგროვა, აქედან 11 ბოლო 12-წუთეულზე მოდის.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წამით ადრე ბრაიანტმა ააცილა პოტენციურად გამარჯვების მომტანი ტყორცნა, პირველი ოვერტაიმის დასრულებამდე წამით ადრე, კვლავ არაზუსტი იყო.

და მაინც, ბოლო სიტყვა იმ საღამოს „ლეიკერსის“ ლიდერმა და მისმა თანაგუნდელებმა თქვეს. მეორე ოვერტაიმის ბოლო 40 წამში ბრაიანტმა და ბინუმმა მშვიდად გამოიყენეს ოთხი საჯარიმო და უპირატესობა ხუთ ქულამდე აიყვანეს, ხოლო **კონლის, მაიოსა** და უმცროსი გასოლის სამქულიანები უშედეგო აღმოჩნდა.

■ ■ ■

როგორც ჩანს, დასრულდა „საპნის ოპერა“ სახელწოდებით - „დუაიტ ჰოვარდის ტრეიდი“. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „ორლანდოს“ სუპერცენტრი „მეჯიქში“ დაასრულებს მიმდინარე სეზონს. ამის შესახებ თავად „სუპერმენმა“ თქვა - „ორლანდოს“ ჩემპიონობის შანსი აქვს და სხვაგან რატომ უნდა წავიდეო.

გუშინ, ორლანდოელი გულშემატკივრები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი გუნდისთვის ჰოვარდი. „მაიამის“ დამარცხებაში დუაიტის დაახლოებით 80-პროცენტიანი წილია. ჰოვარდმა „ჰიტის“ ყველა ცენტრისა და მძიმე ფორვარდის მოხსნებზე მეტი გააკეთა (მას და **რაიან ანდერსონს** ერთად კი უფრო მეტი მოხსნა ჰქონდათ, ვიდრე მთელ „მაიამის“), თანაც ფარქვეშ დომინირებით მან მთავარი იარაღის გამოყენების საშუალება მოუსპო ფლორიდელებს - სწრაფი კონტრშეტევები. მთელი „მაიამი“ „სუპერმენის“ ნეიტრალიზაციას ცდილობდა, დუაიტი კი ან თვითონ აგდებდა ან თავისუფალ პარტნიორებს ამარაგებდა გადაცემებით. ჰოვარდს საჯარიმოების პროცენტი უკეთესი რომ ჰქონოდა (18-დან 6 ჩააგდო), არანაირი ოვერტაიმი არ იქნებოდა. შეიძლებოდა დამატებითი დრო არ ყოფილიყო სხვა მიზეზითაც - უეიდმა თანაბარი ანგარიშისას ბოლო წამზე ისროლა და თითქოს ჩავარდნილი ბურთი კალათიდან ამოვარდა.

ოვერტაიმში კი ჰოვარდმა და **ნელსონმა** გამოიჩინეს თავი. პირველის ანგარიშზე ორქულიანი და ორიდან ორი გამოყენებული ჯარიმა მოდის, ნელსონმა კი ორი ლამაზი გარღვევა განახორციელა, რის შემდეგაც 55 წამით ადრე ანგარიში 102:96 გახდა.

■ ■ ■

„დალას მავერიქსი“ ვალდებული იყო საკუთარ მოედანზე დაემარცხებინა ლიგის ყველაზე უარესი გუნდი, მით უმეტეს, რომ ჩემპიონს ზედიზედ სამი წაგება ჰქონდა, ბოლო ცხრა მატჩში კი შვიდჯერ დამარცხდა. ტექსასელებმა საბოლოოდ შეძლეს გამარჯვება, თუმცა უფრო ღირსშესანიშნავი მომენტი იყო ის, რომ დიადმა გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** NBA-ში თავისი 1300-ე მატჩი ჩაატარა. ამ მაჩვენებლით ის ლიდერია მოქმედ კალათბურთელებს შორის და მე-11 ლიგის ისტორიაში. კიდი 10 დღის შემდეგ 39 წლის გახდება.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში ცოცხალ ლეგენდას ქულა არ დაუგროვებია, მეოთხე მეოთხედი კი მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა - მის ნაცვლად ფრანგი **როდრიგ ბობუა** თამაშობდა. სხვათა შორის ეს კარგად გააკეთა - 28 წუთში 19 ქულა და 4 შედეგიანი პასი.

**კლივლენდი–ტორონტო 88:96**

**22:21, 24:33, 19:21, 23:21**

კ: ჯეიმისონი (20), გი (16+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), სეშენსი (16+6 პასი), ირვინგი (14+7 მოხსნა+7 პასი).

ტ: ბეილესი (20+7 პასი), ბარნიანი (19+8 მოხსნა), ბარბოზა (17), ა. ჯონსონი (10+9 მოხსნა).

**ორლანდო–მაიამი 104:98 (ო)**

**30:27, 15:29, 27:17, 22:21, 10:4**

ო: ნელსონი (25), ჰოვარდი (24+25 მოხსნა+3 ჩაჭრა), რედიკი (17), ანდერსონი (16+12 მოხსნა).

მ: უეიდი (28+6 მოხსნა+5 პასი), ბოში (23+8 მოხსნა), ჯეიმსი (19+11 მოხსნა+8 პასი), ჩელმერსი (10).

**მემფისი–ლეიკერსი 111:116 (2ო)**

**29:21, 23:30, 28:20, 17:26, 6:6, 8:13**

მ: სპეიტსი (25+7 მოხსნა+5 პასი), მ. გასოლი (20+11 მოხსნა), ალენი (18+3 ჩაჭრა), მაიო (14+6 მოხსნა), პონდექსტერი (12), კონლი (10+11 პასი).

ლ: ბინუმი (37+16 მოხსნა), ბრაიანტი (34+9 მოხსნა+5 პასი), პ. გასოლი (14+8 პასი+5 მოხსნა).

**დენვერი–ატლანტა 118:117 (ო)**

**30:26, 34:29, 18:25, 23:25, 13:12**

დ: ნენე (22+6 მოხსნა+5 პასი), ლოუსონი (21+7 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), გალინარი (19), ჰარინგტონი (19+8 მოხსნა), ბრიუერი (12).

ა: ჯ. ჯონსონი (34), სმიტი (33+13 მოხსნა+7 პასი), ჰაინრიხი (22), უილიამსი (10+3 ჩაჭრა), ფაჩულია (6+13 მოხსნა).

**ინდიანა–პორტლენდი 92:75**

**19:15, 29:23, 27:14, 17:23**

ი: ამუნდსონი (21+8 მოხსნა), გრეინჯერი (11+6 მოხსნა), ჯორჯი (11+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰილი (11), უესტი (10+10 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (17+5 მოხსნა), სმიტი (10).

**ოკლაჰომა–ჰიუსტონი 103:104**

**22:23, 31:30, 20:24, 30:27**

ო: დურანტი (28+12 მოხსნა), უესტბრუკი (19), ჰარდენი (16+7 პასი), იბაკა (12+8 მოხსნა), მოჰამედი (10+6 მოხსნა).

ჰ: პარსონსი (21+7 მოხსნა+6 პასი), ლი (21), სკოლა (18+5 მოხსნა), დრაგიჩი (12+7 პასი+6 მოხსნა), პატერსონი (12), ბადინგერი (10).

**დალასი–ვაშინგტონი 107:98**

**27:26, 33:25, 23:24, 24:23**

დ: ნოვიცკი (27), ტერი (24), ბობუა (19+6 მოხსნა), კარტერი (14+5 მოხსნა), მერიონი (10+13 მოხსნა).

ვ: ბუკერი (20+12 მოხსნა), უოლი (18+10 პასი+3 ჩაჭრა), იანგი (15), კროუფორდი (15+5 მოხსნა), მაკგი (12+5 მოხსნა+3 დაფარება), ბლეტჩი (11).

**საკრამენტო–გ. სტეიტი 89:115**

**24:29, 25:25, 24:30, 16:31**

ს: კაზინსი (19+12 მოხსნა), ევანსი (16), ტომასი (15), გარსია (11).

გ-ს: ლი (17+8 მოხსნა), რობინსონი (17), რაში (17+8 მოხსნა), ჯენკინსი (15), რაიტი (14+10 მოხსნა), ტომპსონი (14+5 პასი).

# პირველი დიდი ტრეიდი

ახალი ირმები




**ეროვნულ** საკალათბურთო ასოციაციაში პირველი ხმაურიანი ტრეიდი განხორციელდა. გაფორმდა გარიგება, რომლის მიხედვითაც „გოლდენ სტეიტის“ საუკეთესო სნაიპერი **მონტა ელისი** „მილუოკიში“ გადავიდა. მასთან ერთად „ირმების“ რიგებში ვიხილავთ ფორვარდ **ეკპე უდოსა** და ტრავმირებულ **კვამე ბრაუნს**. საპირისპირო მიმართულებით გაემართნენ ვეტერანი **სტივენ ჯექსონი** და ავსტრალიელი სუპერცენტრი **ენდრიუ ბოგუტი**, რომელიც ამჟამად ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის.

ელისმა განაცხადა, რომ ცუდს ვერაფერს ხედავს გუნდის შეცვლაში და ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საყვარელ საქმეს სხვა ადგილას გააკეთებს.

ელისი „უორიორზის“ რიგებში საშუალოდ 22 ქულასა და 6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. უდომ ბოლო დროს „გოლდენ სტეიტის“ სასტარტოში დაიბევა ადგილი და თავის გუნდს 5.5 ქულითა და 4.0 მოხსნით ეხმარებოდა. ბოგუტმა და ჯექსონმა წელს ჯამში 38 მატჩი ჩაატარეს და საშუალოდ 11 ქულა მოიპოვეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სტემკოსი პირველი ორმოცდაათიანია

დივიზიონში კონკურენტებმა – "ვაშინგტონმა" და "ფლორიდამ" ბოლოდროინდელი წარმატებებით ფაქტობრივად ამოაგდეს პლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლთა სიიდან "ტორონტო". გუშინ, "ვაშინგტონმა" ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და სასწაულებრივ გადაარჩინა "აილენდერსთან" წაგებული მატჩი. "კუნძულელები" მეორე პერიოდში 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს დედაქალაქელებს, რომლებმაც, საბოლოოდ, ბულიტების სერიაში მოიგეს. სტუმრებს ორი ქულა **მეტ ჰენდრიქსის** ბულიტმა მოუტანა. ამ მოგებით "კეპიტალზი" დროებით გადავიდა დივიზიონის პირველ პოზიციაზე, მაგრამ მოგვიანებით, "ფლორიდამ" 5:2 დაამარცხა "ტორონტო". "პანტერების" რიგებში ორი შაიბა გაიტანა **შონ ბერგენჰაიმმა**, რომელსაც ახლა 16 გოლი აქვს, რაც ფინელი ფორვარდის პირადი რეკორდი გახლავთ. ფლორიდული კლუბი ლიდერობს სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონს და ერთი ქულით უსწრებს "ვაშინგტონს", თან თამაში აქვს მარაგში.

აღმოსავლეთში უფრო მაღალი ადგილებისთვის მებრძოლი "ფილადელფია" და "ნიუ ჯერსი" შეხვდნენ ერთმანეთს და "მფრინავებმა" რევანში აიღეს ამასწინდელი 1:4 მარცხის გამო. "ფლაირეზმა" 3:0 მოიმარჯვა, **ილია ბრიზგალოვმა** კი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მესამე "შათაუტი" შეასრულა, თუმცა რუსმა მადლობა უნდა უთხრას თავის მცველებს, რომლებმაც მეტოქეს მხოლოდ 17-ჯერ დაარტყმევინეს,

ძალების დაძაბვა უწევს "რეინჯერსს", რომელმაც გაფლანგა კომფორტული უპირატესობა დივიზიონსა და კონფერენციაში. მალე ნიუიორკელებს უახლოეს კონკურენტ "პიტსბურგთან" უწევთ შეხვედრა, მანამდე კი "რეინჯერები" "კაროლინას" გაუსწორდნენ – 4:2. შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს **გაბორიკმა, რიჩარდსმა** და **ჰაგელინმა**, რომლებმაც სამ-სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. "რეინჯერსი" ექვსი ქულით უსწრებს "პიტსბურგს", მაგრამ ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული.

ყველაზე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ტამპაში, სადაც "ლაითნინგმა" გაანადგურა "ბოსტონი" – 6:1. **სტივენ სტემკოსმა** ორი შაიბა გაიტანა და პირველი მოთამაშე გახდა სეზონში, ვინც 50-შაიბიან ზღვარს მიაღწია, "ბოსტონმა" კი ასეთი ტემპებით, შესაძლოა, დაკარგოს ლიდერობა დივიზიონში. "ოტავა" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება "დათვებს".

22 წლის სტემკოსი იმ მოთამაშეთა ელიტურ ჯგუფში შევიდა, რომლებმაც 23 წლამდე ზედიზედ ორ სეზონში გაიტანეს მინიმუმ 50 შაიბა. ადრე ასეთი რამ მოახერხეს: **მაიკ ბოსიმ** („აილენდერსი", სეზონი-1977/79 (53 გოლი), 1978/79 (69), **უეინ გრეტცკიმ** („ედმონტონი", 1979/80 (51), 1980/81 (55), 1981/82 (92), 1982/83 (71), **მარიო ლემიემ** („პიტსბურგი" (1986/87 (54), 1987/88 (70), **ალექსანდრ ოვეჩკინმა** („ვაშინგტონი", 2005/06 (52), 2007/08 (65).



სტივენ სტემკოსი

*"50 შაიბა სეზონში განსაკუთრებულია, - ამბობს სტემკოსი ჰოკეის ეროვნული ლიგის ვებგვერდზე. – ეს მაგიური რიცხვია ჰოკეიში. სასიამოვნოა, რომ ამ შედეგს საკუთარი გულშემატკივრების წინაშე მივაღწიე".*

დასავლეთში "სენტ ლუისის" ბრწყინვალე სვლა შეაჩერა "ჩიკაგომ", რომელმაც ბულიტების სერიაში გაიმარჯვა – 4:3. ჩიკაგოელებმა ჩააგდეს პირველი პერიოდი, მაგრამ 1:3-ის შემდეგ **სტალბერგმა** და **სიბრუკმა** თითო პერიოდში თითო შაიბა შეაგდეს და "ჩიკაგოს" შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის საშუალება მისცეს. მართალია, "ბლეკჰოქსი" "სენტ ლუისს" ცხრილში ველარ დაეწევა, სამაგიეროდ, ოდნავ გაზარდა უპირატესობა "ფინიქსთან".

დივიზიონში ლიდერობის შენარჩუნება მოახერხა "დალასმა", რომელიც თანდათან შორდება კონკურენტებს. გუშინ, "ვარსკვლავებმა" საფეხბურთო ანგარიშით – 1:0 დაამარცხეს "მინესოტა". ერთადერთი შაიბა მესამე პერიოდში **ჯეიმი ბენმა** გაიტანა. "დალასმა" ზედიზედ მეექვსე შეხვედრა მოიგო.

"კალგარისა" და "სან ხოსეს" შეხვედრაში ყველაფერი ოვერტაიმში გადაწყდა. "ფლეიმზის" რიგებში მეორე გოლი გაიტანა სეზონში დებიუტანტმა **სვენ ბრეტჩიმ**, "შარქსის" მხრიდან კი დუბლი შეასრულა **ლოგან კუტურმა**. დამატებით დროში "კალგარის" მოულოდნელად გამარჯვება **მეტ სტაიანმა** მოუტანა, რომელმაც მხოლოდ მეხუთე შაიბა გაიტანა სეზონში. წაგების მიუხედავად, "ზვიგენები" დაბრუნდნენ მერვე ადგილზე, თან კონკურენტებზე ნაკლები მატჩები აქვთ ჩატარებული.

**აილენდერსი–ვაშინგტონი 4:5 (ბ)**

**2:0, 2:2, 0:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 მოულსონი-30 (ენდრიუ მაკდონალდი-13, ოკსოპო-19), 2:0 ჰამონიკი-2 (ტავარესი-39, ნილსენი-21), 3:0 ტავარესი-29 (შტრაიტი-32, ჰამონიკი-17), 3:1 ნუბლი-4 (უაიდემანი-34, კ. ოკუანი-3), 4:1 ტავარესი-30 (ოკსოპო-20, ჰამონიკი-18), 4:2 ოვეჩკინი-28 (ლეიჩი-21, მ. იოჰანსონი-24), 4:3 ორლოვი-3 (მ. იოჰანსონი-25, კ. ოკუანი-4), 4:4 ოვეჩკინი-29 (კ. ოკუანი-5, ჯ. უორდი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ტავარესი (აილენდერსი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ჰენდრიქსი (ვაშინგტონი).

**რეინჯერსი–კაროლინა 4:2**

**1:0, 2:2, 1:0**

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-34 (ჟირარდი-20, ჯ. მიტჩელი-10), 2:0 ბ. რიჩარდსი-22 (ჰაგელინი-19), 3:0 ბ. რიჩარდსი-23 (ჰაგელინი-20, გაბორიკი-29), 3:1 ბრენტი-10 (ე. სტაალი-41, სკინერი-21), 3:2 ბოუმენი-3 (სატერი-13, დუაიერი-6), 4:2 ჰაგელინი-13 (გაბორიკი-30, ბ. რიჩარდსი-30).

**ფილადელფია–ნიუ ჯერსი 3:0**

**0:0, 1:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 კუტურიე-12 (ქობურნი-15), 2:0 ვორაჩეკი-13 (ბრიერი-24), 3:0 ბრიერი-14 (ვორაჩეკი-24, ქობურნი-16).

**ტამპა ბეი–ბოსტონი 6:1**

**4:0, 1:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 პიატი-8 (მელოუნი-25, კონოლი-9), 2:0 ტომპსონი-9 (ა. ჰოლი-4, უაიმანი-8), 3:0 შენონი-4 (ჰედმანი-11, ტოკარსკი-1), 4:0 ჰედმანი-4, 5:0 სტემკოსი-49 (პურსელი-36, ლი-10), 5:1 კერონი-7 (ბოიჩუკი-9, ხარა-32), 6:1 სტემკოსი-50 (სან ლუი-41, ლი-11).

**ფლორიდა–ტორონტო 5:2**

**1:0, 1:1, 3:1**

**გოლები:** 1:0 ბერგენჰაიმი-15 (სამუელსონი-13, ელერბი-5), 2:0 გარისონი-15 (გოკი-12, ვოლსკი-7), 2:1 ბოჟაკი-15 (მაკარტური-19, კესელი-38), 3:1 კოპეცკი-7 (გარისონი-13, ჯოვანოვსკი-7), 4:1 გოკი-9 (ვოლსკი-8), 4:2 გრაბოვსკი-22 (შენი-18, მაკარტური-20), 5:2 ბერგენჰაიმი-16 (კოპეცკი-19).

**მინესოტა–დალასი 0:1**

**0:0, 0:0, 0:1**

**გოლი:** 0:1 ბენი-21 (მოროუ-15).

**ჩიკაგო–სენტ ლუისი 4:3 (ბ)**

**1:3, 1:0, 1:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბრუნეტი-11 (მარიან ჰოსა-41, პ. კეინი-39), 1:1 ლანგენბრუნერი-5 (არნოტი-16), 1:2 ენდი მაკდონალდი-9 (პერონი-21, ბერგლუნდი-19), 1:3 ბერგლუნდი-16 (ჯეკმენი-12, ენდი მაკდონალდი-10), 2:3 სტალბერგი-17 (კრუგერი-13, ოდუია-13), 3:3 სიბრუკი-6 (მარიან ჰოსა-42, შარპი-33).

**ბულიტები გაიტანეს:** კ. კეინი (ჩიკაგო).

**კალგარი–სან ხოსე 3:2 (ო)**

**0:1, 2:0, 0:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 კუტური-29 (ბერნსი-22, ჯ. ტორნტონი-50), 1:1 ბრეტჩი-2 (იგინლა-31, ჰორაკი-8)., 2:1 იგინლა-30 (ჯორდანო-14), 2:2 კუტური-30 (მარლო-28, ჯ. ტორნტონი-51), 3:2 სტაიანი-5 (კომო-8).

**ლოს ანჯელესი–დეტროიტი 5:2**

**2:0, 1:1, 2:1**

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-17 (დაუტი-21, დ. ბრაუნი-25), 2:0 კოპიტარი-21 (დ. ბრაუნი-26), 2:1 ჰუდლერი-21 (ზეტერბერგი-41, ფილპულა-36), 3:1 დაუტი-9 (კინგი-6, ჯ. კარტერი-12), 4:1 ვოინოვი-6 (სტოლი-14, ჯასტინ უილიამსი-32), 4:2 ფრანცენი-26 (ბ. სტიუარტი-13, ქლირი-20), 5:2 ჯ. კარტერი-20 (კოპიტარი-39).

● ფორმულა 1

# ალონსო 35 მილიონზე მუშაობს



ფერნანდო ალონსო

ფრანგმა ჟურნალისტებმა საინტერესო ინფორმაციას მიაკვლიეს – მათ გაიგეს და გამოაქვეყნეს ფორმულა 1-ის პილოტების ხელფასები. როგორც ირკვევა, გამომუშავებულ თანხაში შედის ხელფასი, პრემიები, საპრიზო თანხები და სპონსორებისგან შემოსავალი.

2011 წელს ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტი გახდა "ფერარის" წევრი **ფერნანდო ალონსო**, რომელმაც შარშან 35 მილიონი ევრო გამოიმუშავა. უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელი პილოტი უკვე მესამე წელია ყველა თავის კოლეგაზე მეტს იღებს.

მეორე ადგილი უკავია ფორმულა 1-ის ვეტერანს, "მერსედესის" პილოტს **მიხაელ შუმახერს** – 2011 წელს მან თავისი საბანკო ანგარიში 31 მილიონი ევროთი შეავსო. შემოსავლის ოდენობით მესამეა **ლუის ჰემილტონი** "მაკლარენიდან" – 29.7 მილიონი ევრო.

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, 24 წლის **სებასტიან ფეტელი** ჯერჯერობით ვერ გავიდა ხელფასის სათანადო დონეზე. თავის მეორე საჩემპიონო წელს "რედ ბულის" პილოტმა 18.5 მილიონი ევრო გამოიმუშავა. თუმცა, 2010 წელთან შედარებით პროგრესი სახეზეა – იმ სეზონში მისი შემოსავალი მხოლოდ 2 მილიონი ევრო იყო.

აღვნიშნავთ რომ იმ 27 პილოტიდან, რომლებიც 2011 წელს ტრასაზე ვიხილეთ, ხელფასს მხოლოდ 18 იღებს. დანარჩენი ცხრა ავტომრბოლი ფორმულა 1-ში გამოსვლისთვის არაფერს იღებს, პირიქით, საკუთარი სპონსორების დახმარებით, აქეთ უხდიან ფულს გუნდებს "დიდ ცირკში" გამოსვლის სანაცვლოდ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩელსი-ნაპოლი | 3:1 დ.დ. 4:1 (1:3) |
| რეალი-ცსკა | 4:1 (1:1) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ოსტერი-კრისტიანსტადი | 6:1 |
| ტისტედი-ბლოხუსი | 0:1 |
| ტუზეკე-ანდერლეხტი | 1:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-მიუნხენი | 0:0 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| უნტერჰახინგი-ობერჰაუზენი | 1:2 |
| ვერდერი A-ჰაიდენჰაიმი | 2:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| კოტბუსი A-ჰაველსე | 2:1 |
| მაგდებურგი-პლაუენი | 0:0 |
| ვილჰელმსჰავენი-მოისელვიცი | 2:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ფერლი-ლევერკუზენი A | 1:2 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰაკა-ტურკუ | 0:4 |
| ლაჰტი-მიუპა | 2:0 |
| კუიპიო-იარო | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-ვინერი | 1:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ლევადია-იანინა | 1:1 |
| დოქსა-ატრომიტოსი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კალითეა-კალონისი | 0:3 |
| აგროტიკოსი-ანაგენისი (ი) | 1:1 |
| ანაგენისი (ე)-ფოკიკოსი | 1:1 |
| ეთნიკოსი-ირაკლისი (პ) | 0:2 |
| ლარისა-პანსერაიკოსი | 0:1 |
| პანახაიკი-ვერია | 0:0 |
| პიერიკოსი-ვიცასი | 2:0 |
| პანთრაკიკოსი-პლატანიასი | 1:0 |

**კვიპროსის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| აელ-ანორთოსისი | 1:0 |
| აეკ-ალკი | 1:0 |
| ომონია-ერმისი | 6:0 |

**ჩეხეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-ვიქტორია | 2:0 |

**პოლონეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| რუხი (ჰ)-რუხი (ხ) | 1:4 |
| არკა-შლიონსკი | 2:0 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| ბორაცი-ბორჩა | 0:2 |
| მეტალაკი-სპარტაკი | 0:0 |
| სევოინო-რადი | 0:2 |
| ჰაიდუკი-იაგოდინა | 0:2 |
| ბაჩკა-ვოივოდინა | 1:2 |
| ოფკ-პარტიზანი | 1:2 |
| რადნიჩკი-იავორი | 2:0 |
| ცრვენა ზვეზდა-სმედერევო | 4:0 |

**უნგრეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| მტკ-[illegible] | 3:0 (3:0) |
| [illegible] | 0:1 (1:5) |

**[illegible] თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბოტევი-ლუდოგორეცი | 0:3 |
| ლიტექსი-მინიორი | 2:0 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| ბერანე-ლოვჩენი | 2:1 |
| დეციჩი-ბოკელი | 0:1 |
| გრბალი-მოგრენი | 1:1 |
| მლადოსტი-პეტროვაცი | 0:1 |
| ზეტა-სუტიესკა | 0:0 |
| ბუდუჩნოსტი-რუდარი | 0:2 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| დრამასი-ილისიაკოსი | 94:81 |
| იკაროსი-კავალა | 71:79 |
| კოლოსოსი-მარუსი | 86:62 |
| პანათინაიკოსი-რეტიმნო | 105:78 |
| არისი-პაოკ | 81:71 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიროიტი-ბრაუნშვაიგი | 64:72 |
| სკაილაინერსი-გიოტინგენი | 61:62 |
| ალბა-ვიურცბურგი | 81:73 |
| გისენი-ბაიერნი | 71:80 |
| ოლდენბურგი-ბამბერგი | 89:96 |
| ტიუბინგენი-ბრემერჰავენი | 88:82 |
| ულმი-ლუდვიგსბურგი | 84:80 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბანვითი-გალათასარაი | 64:73 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ვისლა-კილი | 24:36 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 0:1 (ო) |
| ტრაქტორი-აკ ბარსი | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 1:5 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 4:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-ლილეჰამერი | 4:3 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვანი | 2:5 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 3:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-პლზენი | 1:0 |
| ბრნო-სპარტა | 2:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეო-აიკ | 2:3 |
| შელეფტეო-მოდო | 2:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ალმაგრო | 4:6, 0:6 |
| ჯოკოვიჩი-ანდუხარი | 6:0, 6:7, 6:2 |
| ისნერი-ებდენი | 6:4, 7:5 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-ა. რადვანსკა | 6:0, 6:2 |

● TV პროგრამა

**15 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. მალაგა-ლევანტე.
**12:00** ჰოლანდის ჩემპიონატი. XXV ტური. აიაქსი-ვალვაიკი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. მილანი-ლეჩე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. ლიონი-ლილი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. პალერმო-რომა.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:00** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ბილბაო-მანჩესტერ იუნ. საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:05** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. მანჩესტერ სიტი-სპორტინგი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ბოლონია.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მაიამი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-დორტმუნდი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. საფრანგეთი-ინგლისი.
**19:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მაიამი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ეინდჰოვენი-ვალენსია. საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. შალკე-ტვენტე. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ვალენსია-ეინდჰოვენი. პირველი მატჩი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).



უილიამსების ოჯახი

# ჩოგბურთში რასიზმი ყოფილა

ინდიანუელსის მასტერსის დროს მომხდარმა სკანდალმა, როცა ფრანგმა **მიკაელ ლოდრამ** ჩინელი ფანების მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები ისროლა, ახალი პოლემიკა წარმოშვა ჩოგბურთში რასიზმის თემის თაობაზე. პორტალ The Tennis Space-ის მიმომხილველი **მარკ ჰოჯკინსონი** იმ აზრამდე მივიდა, რომ პრობლემის სათავე არა კორტზე, არამედ ტრიბუნებზე უნდა ეძებონ. გთავაზობთ ამ სტატიის ფრაგმენტებს:

ჩვეულებრივ, როცა ჩოგბურთში რასიზმზე ლაპარაკობენ, მხედველობაში ჰყავთ ცალკეული გულშემატკივრები, რომლებიც ზოგიერთ მოთამაშეს შეურაცხყოფას აყენებენ. მაგრამ ინდიან უელსში ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა - ჩოგბურთელმა შეურაცხყო მაყურებელი. ფრანგი მიკაელ ლოდრა 2.500 დოლარით დააჯარიმეს ორი აზიელი გულშემატკივრის მისამართით სალანძღავი რეპლიკების გამო.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ პროფესიონალი ჩოგბურთელები და ამ თამაშის თაყვანისმცემლები, საერთო ჯამში კარგად აღზრდილი, კოსმოპოლიტი და ტოლერანტი ადამიანები არიან. მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჩოგბურთში რასიზმის პრობლემა არ არსებობს.

ეს შეიძლება იყოს ახსნა იმისა, რატომ არ თამაშობს **სერენა უილიამსი** ამ კვირას კალიფორნიაში და რატომ არ გამოდის ის უკვე ათი წელია ინდიან უელსში. სკანდალი 2001 წელს მოხდა, როცა უილიამსების ოჯახმა მიიჩნია, რომ მათზე რასისტული იერიშები მიიტანეს.

მაშინ **ვენუს უილიამსი** მოიხსნა ტურნირიდან "საოჯახო" ნახევარფინალის დაწყებიდან ათი წუთით ადრე, რაც გულშემატკივრებს არ მოეწონათ. ფინალში **კიმ კლაისტერსის** წინააღმდეგ სერენას მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდნენ, რის შემდეგაც მან გადაწყვიტა, რომ ჩვეულებრივ რასიზმთან ჰქონდა საქმე.

ჩოგბურთელების მამამ **რიჩარდ უილიამსმა** განაცხადა, რომ ის და ვენუსი რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყვეს იმ დროს, როცა ტრიბუნებზე საკუთარ ადგილებს იკავებდნენ. *"როცა მე და ვენუსი ჩვენი ადგილებისკენ მივემართებოდით, რამდენიმე გულშემატკივარი შეურაცხყოფას გვაყენებდა,* - იხსენებს უილიამსი. *– ერთმა ბიჭმა დაიძახა: "სამწუხაროა, რომ ახლა 1975 წელს არ არის (ამ წელს ლოს ანჯელესში რასობრივ ნიადაგზე სერიოზული არეულობები მოხდა) - ჩვენ კარგად დაგამუშავებდით!"* ამის შემდეგ უილიამსების ოჯახმა სამუდამოდ გამოუცხადა ბოიკოტი ინდიან უელსის ტურნირს და სერენასა და ვენუსისთვის საჰარდო სერია მაიამის ტურნირით იწყება.

თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე მაიამიში ერთმა მაყურებელმა რასისტული ფრაზები ისროლა სერენას მატჩის დროს. ბუნებრივია, ჩოგბურთელი აღშფოთდა და ტურნირის დაცვის სამსახურს ამ გულშემატკივრის სტადიონიდან გაძევება სთხოვა. მისი თხოვნა შესრულდა. ასევე შეიძლება გავიხსენოთ სტვენა, რომელიც სერენას როლან გაროსზე აუტეხეს. შესაძლოა, აქაც რასიზმთან გვქონდა საქმე.

რამდენიმე წლის წინ, ბრიტანულ გაზეთ "გარდიანში" დაიბეჭდა სტატია, რომლის ავტორები ირწმუნებოდნენ: *"ჩოგბურთი სავსეა რასიზმით – დროა ამას ბოლო მოეღოს!"*

სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ საშუალო ფენის თეთრ წარმომადგენლებს, რომლებსაც ტრიბუნებზე უკავიათ ადგილი, სურთ, რომ თეთრმა სპორტსმენებმა გაიმარჯვონ. *"მართალია, ვენუსსა და სერენას ყოველთვის თბილად იღებენ უიმბლდონზე, მაგრამ ტრიბუნებზე, კომენტატორებსა თუ რეპორტიორებს შორის იშვიათად თუ ნახავთ შავკანიანს. ამ ადამიანთა უმეტესი ნაწილისთვის დები უილიამსები უცხოები არიან, განსაკუთრებით თეთრ მეტოქეებთან შედარებით".*

*"ყველაზე დაუჯერებელი ის არის, რომ ჩოგბურთის სამყაროს ურჩევნია არ შეამჩნიოს რასიზმის პრობლემები,* - წერია სტატიაში. *– ამის ნაცვლად, დები უილიამსები და მათი მამა, რეგულარულად ისმენენ უსამართლო "ბრალდებებს": რომ მათ "შავებისთვის" დამახასიათებელი ფიზიკური მონაცემები აძლევს უპირატესობას, დები ქედმაღლები არიან, პოპულარობით არ სარგებლობენ დანარჩენ მოთამაშეებს შორის..."*

ფრანგმა ჩოგბურთელმა ჟო-ვილფრიდ ცონგამ ავსტრალიის ღია პირველობის დროს მომიყვა, რომ პერიოდულად იღებს რასისტული შინაარსის წერილებს. "გულშემატკივრები ხშირად მწერენ. ხანდახან კარგი წერილები მხვდება, მაგალითად, ბავშვებისგან, რომლებიც ოცნებობენ ჩოგბურთელობაზე. მაგრამ, ასევე მოდის რასისტული მუქარის წერილები, - ამბობს ცონგა. – საწყენია ასეთი რაღაცების წაკითხვა. ვცდილობ ავუხსნა საკუთარ თავს, რომ უბრალოდ არსებობენ ასეთი ადამიანები. მაგრამ მაინც გულს გტკენს ეს ყველაფერი. სამწუხაროდ, შეუძლებელია ადამიანთა სისულელის გაკონტროლება".

საინტერესოა, რა იგრძნო ცონგამ, როცა თავისი თანაგუნდელის რასისტული სკანდალის შესახებ შეიტყო? მაგრამ მსგავსი საქციელი ჩოგბურთელების მხრიდან, დიდი იშვიათობაა.

რა თქმა უნდა, შეიძლება გავიხსენოთ ამერიკის ღია პირველობის დროს ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** საქციელი, რომელიც აფროამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** ხვდებოდა და შავკანიანი მსაჯის შეცვლა მოითხოვა. თუმცა ავსტრალიელი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მას უბრალოდ არასწორად გაუგეს.

თუ ჩოგბურთში არსებობს რასიზმის პრობლემა, მისი წყარო ტრიბუნებზეა და არა კორტზე.

# ფედერერს სეტი წაართვეს

ინდიან უელსის ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ოთხშაბათს ქალებმა ყველა მეოთხედფინალისტი გამოავლინეს, მამაკაცებმა კი 1/16 ფინალში დაასრულეს ურთიერთობის გარკვევა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახდა **დენის ისტომინის** გამარჯვება მსოფლიოს მეხუთე ჩოგანთან **დავიდ ფერერთან,** რომელსაც ამ სეზონში მხოლოდ ერთი მარცხი ჰქონდა, ისიც სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან.** უზბეკმა ჩოგბურთელმა ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, თავად კი მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი გეიმი. უნდა აღინიშნოს, რომ ფერერი არც ისე დამაჯერებლად მოქმედებდა და მისთვის უჩვეულოდ ბევრი უნებლიე შეცდომა დაუშვა - 4:6, 3:6. ახლა ისტომინი **ხუან მარტინ დელ პოტროს** შეხვდება, რომელმაც ორი სეტში მოუგო **ფერნანდო ვერდასკოს.** საინტერესო იყო ამ მატჩის მეორე პარტია, რომელშიც ესპანელმა ექვსი სეტბოლი ვერ გამოიყენა.

ფერერს დავუბრუნდეთ. დავიდმა შეიძლება დაკარგოს რეიტინგში მეხუთე პოზიცია. მისი გასწრება **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეუძლია, ოღონდ ამისთვის ფრანგი ნახევარფინალში უნდა გავიდეს. მანამდე ცონგამ სამ სეტში მოუგო **რადეკ შტეპანეკს** და მერვედფინალში გააღწია, სადაც **დავიდ ნალბანდიანს** შეხვდება. არგენტინელმა, თავის მხრივ, სამ პარტიაში მოუგო მსოფლიოს მე-10 ჩოგან **იანკო ტიპსარევიჩს.**

რაც შეეხება რაფაელ ნადალს, მისი დღევანდელი ფორმის შეფასება რთულია, რადგან ჯერჯერობით სუსტი მეტოქეები ხვდებიან - ვერც **ლეონარდო მაიერმა** და ვერც **მარსელ გრანოლერსმა** მსოფლიოს მეორე ნომერს პრობლემები ვერ შეუქმნეს.

მერვედფინალში ესპანელს უფრო სერიოზული გამოცდა ელის - მატჩი **ალექსანდრ დოლგოპოლოვთან.** თუმცა თავად უკრაინელი არ არის ოპტიმალურ მდგომარეობაში, რადგან მის თამაშში საკმარისზე მეტი შეცდომაა. მიუხედავად ამისა, მან ტურნირზე მეორე გამარჯვება გაიფორმა - სამ სეტში დაამარცხა **მარკოს ბაღდატისი.**

ასევე ითამაშებს მერვედფინალში **როჯერ ფედერერი.** მართალია, შვეიცარიელმა წააგო პირველი სეტი **მილოშ რაონიჩთან,** მაგრამ შემდეგ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. პირველ პარტიაში როჯერმა ვერაფერი მოუხერხა მეტოქის მოწოდებას, რამაც კანადელს ტაი-ბრეიკზე წარმატება მოუტანა. მეორე სეტი ფედერერმა გაცილებით უკეთ ჩაატარა და სწრაფად გააკეთა ორი ბრეიკი, მესამეში კი ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ასევე შვეიცარიელის ანგარიშზე იყო.

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 694 969 დოლარი

**III წრე**

**ტომას ბელუჩი (ბრა)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) უარი; **ხუან-მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 19) 6:2, 7:6(6); **დენის ისტომინი (უზბ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:4, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 28) 6:7(2), 6:3, 6:2; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:4, 5:7, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:1, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 10) 6:3, 3:6, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-მილოშ რაონიჩი (კან, 27) 6:7(4), 6:2, 6:4.

**1/8 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-ანდუხარი (ესპ); ალმაგრო (12)-ბერდიხი (7); ჰარისონი-სიმონი (13); ისნერი (11)-ებდენი; ისტომინი-დელ პოტრო (9); ბელუჩი-ფედერერი (3); ცონგა (6)-ნალბანდიანი; ნადალი (2)-დოლგოპოლოვი (21).



მილოშ რაონიჩი

# ივანოვიჩის შურისძიება

ქალთა ტურნირის მერვედფინალური მატჩებიდან, პირველ რიგში, აღვნიშნავთ მსოფლიოს პირველი ჩოგანის **ვიქტორია აზარენკას** ზედიზედ მე-20 გამარჯვებას (ბელარუსს ამ სეზონში წაგება არ აქვს). ვიკა იოლად გაუსწორდა **იულია გორგესს** - 6:3, 6:1. სტარტზე გერმანელს ასე თუ ისე გამოსდიოდა კარგი შეტევები, მაგრამ შემდეგ აზარენკამ გასაღები მოუძებნა მეტოქის თამაშს. აღსანიშნავია, რომ მეორე სეტი იულიამ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვსი გეიმი დათმო.

აზარენკას მეტოქე პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** იქნება, რომელსაც რთული მატჩი ელოდა 22 წლის ამერიკელ **ჯეიმი ჰემპტონთან.** შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა **ელენა იანკოვიჩი** გამოთიშა ბრძოლას და ამჯერადაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს. მან მოიგო მეორე სეტი, მაგრამ მესამეში ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

საინტერესოა, რომ რადვანსკას ამ სეზონში მხოლოდ აზარენკასთან აქვს წაგებული - ბელარუსმა პოლონელს სიდნეიში, ავსტრალიის ღიასა და დოჰაში მოუგო. სხვათა შორის უკვე გარკვეულია, რომ ორშაბათიდან რადვანსკა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი გახდება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მოქმედმა ჩემპიონმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ ანა ივანოვიჩთან** წააგო. შეხვედრის სტარტზე სერბმა ბევრი შეცდომა დაუშვა და ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება, თუმცა ორივეჯერ შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება. გარდამტეხი აღმოჩნდა მეხუთე გეიმი - ანამ ის 0:40-დან გადაარჩინა, რის შემდეგაც მატჩის ბოლომდე ერთი ბრეიკ-პოინტიც აღარ მისცა დანიელს. საბოლოოდ, სერბმა 70 წუთში გაიმარჯვა - 6:3, 6:2 და რევანში აიღო სეზონში კაროლინთან ორი წაგების გამო.

ვოზნიაცკი რეიტინგში 860 ქულას დაკარგავს და მეოთხედან მეექვსე ადგილამდე დაქვეითდება - რადვანსკას გარდა, მას **სამანტა სტოსურიც** გაუსწრებს.

პრობლემები არ ჰქონია **მარია შარაპოვას.** რუსების პირველ ნომერს თავიდან ოდნავ გაუჭირდა და ორჯერ მისცა საკუთარი მოწოდება **რობერტა ვინჩის.** თუმცა მარიამ მალე დაალაგა თამაში მოწოდებაზე და მატჩზე სრული კონტროლი დააწესა. საბოლოოდ, შარაპოვამ მხოლოდ საათი დახარჯა მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად - 6:2, 6:1.

მეოთხედფინალში მარიების დერბი შედგება - შარაპოვას მეტოქედ სეხნია **მარია კირილენკო** ერგო. ეს უკანასკნელი 6:1, 5:1-ს უგებდა თანამემამულე **ნადია პეტროვას,** მაგრამ მკვეთრად უკლო თამაშს და ზედიზედ ექვსი გეიმი წააგო! მაგრამ მესამე სეტის დასაწყისში მარიამ ისევ შეიქმნა კომფორტული უპირატესობა და მართალია, ერთხელ საკუთარი გეიმი წააგო, საქმე გამარჯვებამდე მაინც მიიყვანა - 6:1, 5:7, 6:2.



ანა ივანოვიჩი

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 5 536 664 დოლარი

**1/8 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:3, 4:6, 3:0 უარი; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-იულია გორგესი (გერ) 6:3, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 18)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ, 32) 6:3, 3:6, 7:6(4); **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-რობერტა ვინჩი (იტა, 21) 6:2, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 8)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:1, 6:0; **მარია კირილენკო (რუს, 20)**-ნადია პეტროვა (რუს, 30) 6:1, 5:7, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 7)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 23) 6:1, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ, 15)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4) 6:3, 6:2.

**1/4 ფინალი**

აზარენკა (1)-ა. რადვანსკა (5); კერბერი (18)-ნა ლი (8); ბარტოლი (7)-ივანოვიჩი (15); კირილენკო (20)-შარაპოვა (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;**
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია